პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- ხელმოწერილია ესტონეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება.
- გერმანიის პრესა გერმანია-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.
- ესპანელ მეზღვაურთა გაფიცვა.
- ფინეთის პროფკავშირთა ყრილობამ უარი განაცხადა შეუერთდეს ამსტერდამის ინტერნაციონალს.
- კომპარტიის გამარჯვება ნიუ-არკის (ამერიკა) მუნიციპალურ არჩევნებში.
- დირიჟაბლი „გრაფი ცეპელინი" საფრთხეშია.
- დააპატიმრეს ბელგიის კომკავშირის ცეკას მდივანი.

კვირა, 19 მაისი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 113 (2458)

პარტიის წმენდა

იწყება პარტიის წმენდა. ადგილობრივი ორგანიზაციები უკვე კარგა ხანია აწარმოებენ სამზადისს წმენდისათვის. ამრიგად ჩვენ შევუდექით ერთ-ერთ უაღრესი მნიშვნელობის ამოცანის პრაქტიკულად გადაწყვეტას. საჭიროა პარტიის თვითეულმა წევრმა, თვითეულმა პარტიულ ორგანიზაციამ ნათელი წარმოდგენა იქონიოს წმენდის ამოცანებზე და მნიშვნელობაზე.

წმენდის პრინციპიალურ დასაბუთებაზე საკმაოდ ბევრი დაიწერა და ითქვა. ამხანად ჩვენს წინაშე უშუალოდ სდგას წმენდის ტექნიკურად ჩატარების საკითხი. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვან კონკრეტულ მასალას იძლევა ინსტრუქცია წმენდის ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ, რომელიც წარმოადგენს საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის და მე-16 საკავშირო პარტკონფერენციის რეზოლიუციის დამატებას. პირველყოვლისა საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ წმენდამ ოდნავადაც არ უნდა იქონიოს გავლენა პარტიულ ორგანიზაციების მიმდინარე ნორმალურ მუშაობაზე. თვითეული კომუნისტი და ადგილობრივი ორგანიზაცია წმენდას უნდა შეხვდეს, როგორც მორიგ დიდმნიშვნელოვან მოვალეობას, პარტიული მასის მთელი აქტიობით, სრული დამშვიდებით და სერიოზულობით უნდა ჩაატაროს ის. არ უნდა დარჩეს პარტიის არც ერთი წევრი და კანდიდატი, რომელიც არ გაივლის წმენდას. საჭიროა არა მარტო იმის გამორკვევა, რამდენად გამოსადეგია პარტიისათვის მისი ესა თუ ის წევრი, არამედ იმის სრულად შესწავლაც, თუ რამდენად სწორად ატარებს კომუნისტურ-ბოლშევიკურ ხაზს ესა თუ ის ძირითადი პარტიული ორგანიზაცია, რამდენად წარმატებით ანხორციელებს ის თავის ყოველდღიურ მუშაობაში პარტიის ყველა დირექტივებს. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტიის წმენდა იწარმოებს საღი თვითკრიტიკის მაქსიმალურად განვითარების და წინასწარი მომზადების სწორი ორგანიზაციის პირობებში.

წმენდის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ჩვენი პარტიის სოციალურად გაჯანსაღება, მისი გაწმენდა კლასიურად ჩვენთვის უცხო და გადაგვარებულ ელემენტებისაგან. ასეთი მდგომარეობა თავისთავად გვიკარნახებს, რომ წმენდის დროს საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილით მოვეპყრათ დაზგის მუშებს, მოჯამაგირეებს და ღარიბ გლეხებს. ამასთანავე დიდი წინდახედულობაა საჭირო პარტიის წევრ ქალთა, კერძოდ დედა-ქალთა შემოწმების დროს. ამ შემთხვევაში უნდა გათვალისწინებულ იქნას ყველა ის სპეციფიური პირობები, რომელშიაც უხდება ცხოვრება და მუშაობა თვითეულ ზემოხსენებულ კატეგორიის კომუნისტს, და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნას მიღებული ესა თუ ის გადამწყვეტი დადგენილება.

ამავე დროს წმენდა უნდა გამოყენებულ იქნას მორიგ ძლიერ საშვალებად იმისათვის, რომ პარტიის რიგებში მოვიზიდოთ მუშებისა და მოჯამაგირეების საუკეთესო ნაწილი. კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი მშრომელ მასებში სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ ჩვენი პარტია მუდამ და ყველგან დაუნდობლად იბრძვის პირველყოვლისა საკუთარი რიგების მორალურ და იდეურ სიწმინდისათვის. გენერალური შემოწმება, რომელსაც ჩვენ ამჟამად ვიწყებთ, კიდევ უფრო უწყობს ხელს ქალაქისა და სოფლის მშრომელ მასებში ნდობის განმტკიცებას კომუნისტურ პარტიისადმი.

ამიტომ ადგილობრივი ორგანიზაციების მოვალეობაა, არ შემოფარგლონ წმენდა მარტო პარტიის რიგების შემადგენლობის შემოწმებით. ამასთან ერთად ყოველი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა განდევნილ გახრწნილ და გადაგვარებულ ელემენტების ადგილი ჩვენს პარტიაში დაიკავოს მუშებისა და მოჯამაგირეების საუკეთესო ნაწილმა.

განსაკუთრებულად უნდა იქნენ შემოწმებული პარტიის წევრი არამუშები, რომელნიც სამოქალაქო ომის შემდეგ იქნენ მიღებული ჩვენს რიგებში და სხვა პარტიიდან გამოსულები. საჭიროა ყოველმხრივ იქნეს შემოწმებული კომუნისტების ეს ნაწილი, რომ თვითეულ შემთხვევაში ნათლად გამოირკვეს, რამდენად ორგანიულად შეედულენ ისინი კომუნისტურ პარტიას, რამდენად მტკიცე არიან ეს ელემენტები იდეურ და პოლიტიკურ მომზადების დარგში.

მეტი სიფრთხილეა საჭირო იმ კომუნისტების შემოწმების დროს, რომელნიც წინად ემხრობოდნენ ამა თუ იმ ოპოზიციონურ დაჯგუფებებს. არ კმარა მარტო იმის დადასტურება, რომ პარტიის ასეთი წევრები გაეთიშნენ ოპოზიციას ფორმალურად. ამასთანავე უნდა გამორკვეულ იქნეს, რამდენად განთავისუფლდნენ ისინი პროლეტარიატისათვის უცხო იდეოლოგიისაგან. უნდა გამოირკვეს ისიც, თუ რაში გამოიხატება უჯრედის მუშაობა ასეთ ამხანაგების პარტიასთან დასაახლოვებლად და სწორ ბოლშევიკურ გზაზე დასაყენებლად.

ჩვენი აღმშენებლობისა და მუშაობის თავისებური პირობების გამო პარტიის ამა თუ იმ წევრებს ხშირად საქმე აქვთ ჩვენთვის კლასიურად უცხო ელემენტებთან. წმენდის დროს უნდა მიღებულ იქნას მხედველობაში სპეციფიური პირობები, რომელშიაც უხდება მუშაობა ასეთ საქმეზე წარგზავნილ კომუნისტებს. ამ შემთხვევაში საჭიროა იმის სავსებით გამორკვევა, რამდენად მტკიცე და კომუნისტურად სწორია პარტიის ასეთი წევრების საქმიანი დამოკიდებულება უცხო კლასიურ ელემენტებთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ეს დამოკიდებულება არ სცილდებოდეს წმინდა საქმიან ხასიათს და არ ღებულობდეს კერძო ურთიერთობის სახეს ყოფა-ცხოვრებაში.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს, რომ წმენდის დროს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყოველგვარ ანტისაზოგადოებრივ, ანტიპარტიულ მიდრეკილებებს, სასტიკად უნდა აღიკვეთოს რაიმე ცდა რომ წმენდა გამოყენებულ იქნას პირადი ანგარიშის გასასწორებლად, და მტკიცე, ურყევ კომუნისტების სახელის შესალახავად.

პარტია მშრომელი მასების აქტიური დახმარებით შესძლებს იმ მორიგ დიდ და საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტას, რომელიც მის წინაშე სდგას გენერალური წმენდისა და შემოწმების სახით.

უდიდესი ენერგია უმნიშვნელოვანესი დირექტივის შესასრულებლად

დავალება სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების 7 პროც.-ით შემცირების შესახებ, რაც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის 1928-29 წლის საკონტროლო ციფრებით, შორდება მიმდინარე სამეურნეო ამოცანების ფარგლებს. ეს დავალება ორგანიული ნაწილია ხუთ-წლიანი გეგმისა, რომელიც გაშლილი სოციალისტური შეტევის პროგრამას წარმოადგენს. ბრძოლა თვითღირებულების შემცირებისათვის მიმდინარე წელს, გამარჯვებანი და დამარცხებანი ამ ფრონტზე ასე თუ ისე გამოხატულებას ჰპოვებენ მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ყველა სხვა დარგში.

დავალებათა შეუსრულებლობა ხარისხობრივად სამრეწველო გეგმის განხორციელების პროცესში გამოიწვევს მეტად უარყოფით შედეგებს. იგი გაადიდებს იმ ზარალს, რომელიც უკვე განიცადა მრეწველობამ; აქედან სამუშაოს გაცდენით და საწარმოთა შეჩერებით გამოწვეული ზარალი, 360 მილიონ მან.-მდეა. თუ მრეწველობა არ მიიღებს სამრეწველო-საფინანსო გეგმით გათვალისწინებულ რესურსებს, რომლებიც უნდა დაგროვდეს თვითღირებულების შემცირების საშუალებით, მაშინ იგი იძულებული გახდება შეამციროს კაპიტალური სამუშაოები. ბოლოს, ეს შეუქმნის ახალ, უფრო მეტ სიძნელეს გეგმის განხორციელებას შემდგომ წლებში, რადგან არ შეგვიძლია დაუშვათ მეურნეობის რეკონსტრუქციის დასახული ტემპის შემცირება.

ამავე დროს ნათლად უნდა შევიგნოთ დასახული გეგმების განხორციელების ყველა სიძნელე, რასაც შეუძლია გააძლიეროს მერყეობა, პანიკური განწყობილების ზრდა წვრილბურჟუაზიულ ფენებში, რომლებიც მზად არიან ეს სიძნელენი გამოიყენონ საბაბად სოციალისტური ინდუსტრიის მიღებული ტემპის შენელების პროპაგანდისათვის. „სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდის სიძნელენი, განსაკუთრებით კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში, აუცილებლად იწვევენ მერყეობას მოსახლეობის წვრილბურჟუაზიულ ფენებში, მუშათა კლასის ზოგიერთ ფენებში და პარტიის რიგებშიაც კი" (მე-16 პარტკონფერენციის რეზოლიუციიდან).

გეგმის წარმატებით შესრულება იქნება ყველაზე უფრო ბასრი იარაღი პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში. ამიტომაც მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობა ასეთი დიდი დაკვირვებით ადევნებს თვალყურს წარმოების ხარჯების დონეს. ამიტომაც ასე მედგრად იბრძვის მრეწველობის თვითღირებულების შემცირებისათვის პროლეტარული ავანგარდი, რომელიც აქტიურად ანხორციელებს პარტიის დავალებებს. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე გამოქვეყნებული ფაქტიური ცნობები მოწმობენ, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დავალება თვითღირებულების შემცირების შესახებ შესრულებულ იქნა სანახევროზე უფრო ნაკლებად, საკონიუნქტურო შეფასების მიხედვით უნდა მოველოდეთ, რომ წლის პირველ ნახევარში თვითღირებულების შემცირების ციფრი 2-3 პროცენტს არ გასცდება.

იმ ხელსაყრელ მაჩვენებლებთან შედარებით, რომლებიც მოგვცა თვითღირებულების შემცირების საქმეში 1927-28 წელმა, როდესაც გეგმა თითქმის სავსებით შესრულდა, — შესრულება უდრიდა 6,2 პროცენტს ნავარაუდევი 6,5 პროცენტის ნაცვლად, — მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დამლევი არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. 1928-29 წლის საკონტროლო ციფრების დავალებანი ა ჯგუფისათვის მოითხოვდნენ თვითღირებულების შემცირებას — 7,8 პროცენტით, ბ ჯგუფისათვის — 6,35 პროცენტით, ხოლო საშუალოდ 7 პროცენტით. გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით, მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგები ასეთია: შემცირება შეადგენს ა ჯგუფში — 4,4 პროცენტს, ბ ჯგუფში — 0,45 პროცენტს, ხოლო სულ შემცირება უდრის 1,6 პროცენტს.

შემდეგ ორ თვეს, იანვარსა და თებერვლის, შედეგებში რაიმე თვალსაჩინო ცვლილება აღარ შეუტანია და მხოლოდ მარტში დაისახა ერთგვარი გაუმჯობესება, რომელიც აპრილშიაც გრძელდება. ეს, რა თქმა უნდა, ერთგვარ დადებით ფაქტორს წარმოადგენს, მაგრამ გადამჭრელ გარდატეხად ამას მაინც ვერ მივიჩნევთ.

საქმის ასეთი მდგომარეობის მიზეზები უნდა ვეძიოთ, როგორც შრომის ორგანიზაციაში, ისე საერთო საწარმოო პროცესის ტექნიკურ ხელმძღვანელობაში.

ეს დასკვნა განსაკუთრებით მკაფიო ხდება გასული წლის შედეგებთან შედარების დროს. გასულ წელს პირველად მივაღწიეთ იმას, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდამ (რომელიც, 1926-27 წელთან შედარებით, დაახლოვებით 15 პროცენტს უდრიდა) შესამჩნევად გადააჭარბა სამუშაო ხელფასის ზრდას (10,2 პროც.) და ეს საკმაო აღმოჩნდა იმისათვის, რომ საწარმოო ტექნიკურ მიღწევათა მეტად მცირე დონის პირობებში მიგვეღო თვითღირებულების შემცირება 6,2 პროცენტით. ძალების უკეთესი ორგანიზაციით და არსებული მატერიალურ-ტექნიკური დასაყრდენის სხვაგვარი, უფრო სრული გამოყენებით, ჩვენ შევძლებდით მიგვეღო უფრო მაღალი შედეგები მრეწველობის მუშაობაში.

მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში გასული წლის მაჩვენებლები დარჩნენ მხოლოდ ერთი ცვლილებით: შემცირდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი. მოწყობილებისა და ნედლეულის სუსტად გამოყენებასა, ქარხნების არასაკმაო სპეციალიზაციასა და შეკვეთების ცუდ ორგანიზაციასთან ერთად ჩვენ მივიღეთ შრომითი პროცესების მაჩვენებელთა გაუარესებაც. მუშა ხელის ნაჭარბის არსებობისა, მისი არასწორად გამოყენებისა, მისი შემადგენლობის ცვალებადობისა, შრომის დისციპლინის დაცემისა და სხვათა გამო, შრომის ნაყოფიერება 4 თვის განმავლობაში გაიზარდა მხოლოდ 10,1 პროცენტით, გეგმით ნავარაუდევი 17 პროცენტის ნაცვლად, ხოლო ამავე დროს სამუშაო ხელფასის ზრდა თითქმის შეეფერება გეგმით ნავარაუდევ სამუშაო წლიურ ზრდას.

ცალკე დარგებში საქმე უფრო ცუდადაა: შავი მეტალურგიის დარგში თვიური გამომუშავების გეგმის შესრულებას დააკლდა 13,3 პროცენტი, ხელფასის მომატების გეგმა კი შესრულდა, ქვანახშირის მრეწველობაში პირველ კვარტალში გამომუშავების გეგმის შესრულებას დააკლდა 9,7 პროცენტი, ხელფასის ზრდის გეგმის შესრულებას კი მხოლოდ 2 პროცენტი და სხვ. განსაკუთრებით არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა „დონუგოლ"-ში. 1927 — 28 წლის მეორე ნახევრის მუშაობის ყველა დეფექტი გადმოვიდა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი პროფორგანიზაციები საკმაოდ დამაკმაყოფილებლად ვერ ართმევენ თავს ზედმეტი მუშების განაწილებას საწარმოებში, რომ ისინი მცირე ყურადღებას აქცევენ შრომის ხარისხის აწევის ამოცანას მუშათა მასების აქტივობის გამოყენებით, რომ ისინი ზოგჯერ ბიუროკრატიულად უდგებიან წარმოებაში ახლად ჩაბმული გამოუცდელი მუშების სოციალისტურად აღზრდის ამოცანას და ამ ფენებში შრომის დისციპლინის დაცემასთან ბრძოლას.

მეორეს მხრივ — სამეურნეო მუშაკები, საკმაოდ ვერ განიმსჭვალნენ იმის შეგნებით, რომ 1928 — 29 წელი წარმოადგენს „დიად სამუშაოთა გეგმის" განხორციელების პირველ წელს. ისინი უმთავრესად ყურადღებას აქცევდნენ წარმოების რაოდენობითი გაშლის შესრულებას და კაპიტალურ სამუშაოთათვის ფინანსების მიწოდების საკითხებს, მაშინ, როდესაც ყურადღება უნდა მიექციათ ტექნიკური ხელმძღვანელობისა და ტექნიკური რეკონსტრუქციისათვისაც.

ამიტომ სავსებით სწორად უნდა ჩაითვალოს ის დასკვნა, რომელიც გამოიყვანა ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა: „ახალი, რეკონსტრუქციის ეტაპი, რომელზედაც ჩვენ ასეთი თვალსაჩინო ტემპით ვაწარმოებთ მრეწველობის გარდაქმნას, მოითხოვს, სრულიად სხვანაირი ყურადღება მივაპყროთ ხარისხობრივი კოეფიციენტების პრობლემებს. მთელი სიგრძე-სიგანითა და სიმწვავით ისმება ჩვენს წინაშე ის პრობლემა, რომ ტრესტების მთავარი სამმართველოები გარდაიქმნენ ტექნიკური პოლიტიკის შტაბებად, რომელნიც სავსებით უნდა შეეფერებოდნენ სოციალისტური რეკონსტრუქციის ახალ ეტაპს".

„პრავდა", 18 მაისი.

ამერიკის მრეწველთა დელეგაცია მოსკოვში ჩამოვა 17 ივლისს

უცხოეთის პრესა დიდ მნიშვნელობას აძლევს დელეგაციის გამომგზავრებას

საარჩევნო ბრძოლა ინგლისში.—ყურადღების ცენტრში სდგას საბჭ. კავშირთან ურთიერთობის განახლების საკითხი.

ხმები ფინ-იუ-სიანის და ჩან-კაი-შის ჯარების შეტაკების შესახებ

ინგლისი არჩევნების წინ

ლონდონი, 17 მაისი. უმუშევრობა ისევ რჩება საარჩევნო ბრძოლის მთავარ საკითხად, საერთოდ კი ეს ბრძოლა მიმდინარეობს რაიმე თვალსაჩინო მოვლენის გარეშე. იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც უფრო მისდევენ თევზის ჭერას, მანქანათმშენებლობის მრეწველობას და სხვ., ლიბერალები და მუშათა პარტიის კანდიდატები დაჟინებით აყენებენ პირველ რიგში ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის აღდგენის საკითხს. ამ უკანასკნელ დღეებში დამდგარი კარგი ამინდი ხელს უწყობს მუშათა პარტიისა და კომუნისტების საარჩევნო კამპანიას, ვინაიდან საშუალებას აძლევს მათ, გამართონ მიტინგები ცის ქვეშ, რაც ძალიან იაფი ჯდება და, რაც წარმოადგენს კომუნისტების აშკარა უპირატესობას ლიბერალებთან და კონსერვატორებთან შედარებით.

ცნობები იმ საარჩევნო ოლქებიდან, რომლებშიაც გამოდიან კომუნისტების კანდიდატები, მოწმობენ, რომ კომუნისტების შანსები ხელსაყრელია შოტლანდიის სამ ოლქში. საარჩევნო ბრძოლის შესუსტებას მახლობელ დღეებში ხელს შეუწყობს სამების დღესასწაული; აგრეთვე მასიური მოგზაურობა უქმე დღეებში ქალაქ გარედ კურორტებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ლანკაშირსა და იორკშირში, სადაც სამებასთან დაკავშირებული რელიგიური ცერემონიები განსაკუთრებული ზეიმით იმართება, მომწიფდა სერიოზული სამრეწველო კრიზისი. იორკშირში, მდინარე კოლდერის ხეობაში, გაიფიცა 2.500 ფეიქარი; პროტესტის ნიშნად, იმის გამო, რომ ხელფასი შემცირებულ იქნა 10 პროცენტით. ხელფასის შემცირების საფრთხე მოელის ბევრი ოლქის მუშებსაც. გაფიცვა მოსალოდნელია ამ ოლქებშიაც, სადაც თითქმის 100.000 მუშა მიიღებს მონაწილეობას. ლანკაშირის საფეიქრო საწარმოთა მფლობელნი იმუქრებიან, რომ ლოკაუტს გამოუცხადებენ 200.000 მუშას.

თუ ლანკაშირსა და იორკშირში კრიზისი განვითარდა და მან მუშაობის შეწყვეტა გამოიწვია საწარმოებში საყოველთაო არჩევნების წინ, მისი პოლიტიკური შედეგები ძალიან ასწევენ მუშათა პარტიის შანსებს. (ადს).

გერმანიის პრესა გერმანია-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ბერლინი, 17 მაისი. ბერლინის ამბების გამო „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ი მოყვანავე წერილში მკაცრად ილაშქრებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ შემდეგ წერილის ავტორი ეხება ზოგიერთი გაზეთის, კერძოდ მძიმე მრეწველობის ორგანოს „ბერგვერკს ცეიტუნგ"-ის სურვილს, რომ „შესუსტდეს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა", და სწერს:

„ჩვენს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან განსაზღვრავს გერმანიის საშუამავლო მდგომარეობა. ამას აშკარად ადასტურებენ აღმოსავლეთის ბაზრობა კენიგსბერგში, საერთო ინტერესები ბალტიის ზღვაზე და ბოლოს, ის პერსპექტივები, რომლებსაც გერმანიას უმზადებს ამერიკის კაპიტალის შეჭრა საბჭოთა კავშირში. უფრო ცხად საბუთს წარმოდგენს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის საერთო ცდა ჟენევაში".

„ბერზენ ცეიტუნგ"-ი ეხება გერმანია-საბჭოთა ურთიერთობას და იმედს გამოსთქვამს, რომ მოხერხდება გერმანია-საბჭოთა ურთიერთობის გაუარესების თავიდან აცილება. გაზეთის აზრით, პირველ ყოვლისა, წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს ბირჟენხედის მომხრე წრეებს, რომელთა პოლიტიკასაც შეადგენს აშკარა ორიენტაცია დასავლეთისაკენ და ასევე აშკარად ჩამოშორება საბჭოთა კავშირისაგან. საჭიროა, რომ მათ საშუალება არ მიეცეთ განახორციელონ თავიანთი პოლიტიკა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ბროკდორფ-რანცაუს მთავარ ამოცანას შეადგენდა. გაზეთი აღნიშნავს: ადვილად შესაძლებელია, სწორედ ეხლა გამოიყენონ რეპარაციის საკითხი იარაღად და შეეცადნენ, რომ გერმანია დაადგეს აშკარა ანტისაბჭოთა პოლიტიკას.

„ამას, — ამბობს გაზეთი, — უეჭველად წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს". (ადს)

პირველი მაისის სისხლისღვრის შემდეგ

გრჟეზინსკი ადასტურებს კომუნისტების „დანაშაულს"

ბერლინი, 17 მაისი. ვოლფის სააგენტო და ბერლინის პრესა, რომელთაც მოჰყავთ ანგარიში პრუსიის ლანდტაგის სხდომაზე პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრის გრჟეზინსკის გამოსვლის შესახებ, იუწყებიან, რომ კომუნისტების „დანაშაულის" დასასაბუთებლად გრჟეზინსკიმ წაიკითხა საკავშირო კ.პ. (ბ) ცეკას მიერ ბერლინში გაგზავნილი მისასალმებელი დეპეშა.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს შენიშვნა: საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტომ გამოარკვია, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას ბერლინში არავითარი დეპეშა არ გაუგზავნია. გრჟეზინსკიმ ლანდტაგში გამოიყენა მეტალისტების კავშირის ცეკას მიერ გაგზავნილი დეპეშა, რომელსაც ხელს აწერს კავშირის ცეკას თავმჯდომარე ლეპსე. (ადს).

უნდობლობის ვოტუმი უარჰყვეს

ბერლინი, 17 მაისი. პრუსიის ლანდტაგმა უარჰყო სოციალ-დემოკრატ მინისტრების ბრაუნისა და გრჟეზინსკისათვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმი, შეტანილი კომფრაქციის მიერ პირველი მაისის ამბებთან დაკავშირებით. უნდობლობის გამოცხადებას ხმა მისცა 46 დეპუტატმა (კომუნისტები და ნაციონალ-სოციალისტები). სახალხო პარტიის 33 დეპუტატმა თავი შეიკავა. (ადს).

კომუნისტების წინადადება უარჰყვეს

ბერლინი, 17 მაისი. რეიხსტაგი შეუდგა იმ კანონპროექტის განხილვას, რომელიც შეეხება სახელმწიფო სესხის გამოშვებას 500 მილიონი მარკის რაოდენობით. კამათის დაწყებამდე კომუნისტები მოითხოვდნენ, რომ რეიხსტაგს განეხილა მათი წინადადება წითელ ფრონტელთა კავშირის და „როტე ფანეს" აკრძალვის გაუქმების შესახებ. კომუნისტ დეპუტატმა მასლოვსკიმ მეტად მკაცრი სიტყვა წარმოსთქვა. სოციალ-დემოკრატებმა გაილაშქრეს კომუნისტების წინადადების წინააღმდეგ. წინადადება უარყოფილ იქნა.

ცერგიბელის მოქმედება მოიწონეს

ბერლინი, 17 მაისი. ბერლინის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თანამდებობის პირთა კრებამ ხმის დიდი უმრავლესობით მოიწონა ცერგიბელის მოქმედება პირველ მაისის დღეებში. (ადს).

ბურჟუაზიული სასამართლო „მუშაობს"

ბერლინი, 17 მაისი. პირველ მაისის დღეებში დაპატიმრებულთა საქმეს სასამართლო მარტივი წესით არჩევს. დამცველთა მოწმეების დაკითხვა ზედმეტად იქნა მიჩნეული. პირველად გაირჩა იმ ახალგაზრდა მუშის საქმე, რომელიც პოლიციელების სიტყვით, ქვებს ესროდა პოლიციას. სასამართლომ მას მიუსაჯა 8 თვით დაპატიმრება. ორ სხვა ბრალდებულს მიუსაჯეს 7 და 6 თვით დაპატიმრება. ერთ შემთხვევაში ბრალდებული გაამართლეს, ვინაიდან გამოირკვა, რომ პოლიციამ არაჩვეულებრივი სიმკაცრე გამოიჩინა ამ უდანაშაულო კაცის მიმართ. (ადს).

მუშები აღარ უჯერებენ სოციალ-დემოკრატებს

ბერლინი, 17 მაისი. კელნში გაიმართა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა კრება, რომელიც მოწვეულ იქნა მაისის ამბებით აღშფოთებული პარტიული მასის დასამშვიდებლად. კრებაზე მოხსენება გააკეთა ბერლინის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა კიუნსტლერმა, რომელიც შეეცადა მაისის ამბებში დამნაშავედ გამოეყვანა კომუნისტები. შემდგომი დისკუსიის დროს მისი ცდა მარცხით დამთავრდა. ოპოზიციონერი ორატორები სასტიკად გმობდნენ პოლიციის მოქმედებას მაისის დღეებში. ამან კრებაზე საშინელი ხმაურობა გამოიწვია. პრეზიდიუმმა სიტყვა წაართვა ორატორებს და კენჭის ყრის შედეგები სისწორით არ გამოაცხადა. აუწერელ ხმაურობაში 50 ოპოზიციონერმა დასტოვა კრება, ნიშნად პროტესტისა პრეზიდიუმის მოქმედების წინააღმდეგ. (ადს).

კომუნისტურ მოძრაობასთან საბრძოლველად

ბერლინი, 17 მაისი. მემარცხენე პროლეტარული გაზეთი „ბერლინ ამ მორგენ"-ი გადმოგვცემს მეტად საინტერესო ცნობებს, იმ „ანტირადიკალური ლიგის" შესახებ, რომელიც ამას წინად დაარსდა კომუნისტურ მოძრაობასთან საბრძოლველად. ორგანიზაციაში შედიან მთელი ანტი-კომუნისტური ძალები, დაწყებული უკიდურესი მემარჯვენეებით და ფაშისტებით და გათავებული სოც.-დემოკრატებით და რეფორმისტებით. ლიგა სცდილობს მოისყიდოს გავლენიანი რეფორმისტები გზის გასაკვლევად საწარმოებში. ლიგა უშვებს აგრეთვე სპეციალურ ანტი-ბოლშევიკურ ლიტერატურას. (ადს).

დირიჟაბლი „გრაფი ცეპელინი" საფრთხეშია

პარიზი, 17 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„15 საათსა და 18 წუთზე დირიჟაბლმა ჩამოაგდო ცნობა, რომელშიაც ითხოვდა ჩამოსაშვები ადგილის ჩვენებას და იუწყებოდა, რომ განიცდის ავარიას. დირიჟაბლმა ვერ შესძლო ტრაუბეკის მთაზე გადაფრენა, რის შემდეგაც მან გაუხვია მონტელიმარისაკენ. დირიჟაბლზე კარგათ მუშაობს მხოლოდ ორი მოტორი. დირიჟაბლის დასახმარებლად საბარგო ავტომობილებით გაიგზავნენ სამხედრო ნაწილები. (ადს).

პარიზი, 17 მაისი. დირიჟაბლმა „ცეპელინმა" გადაუარა ქალაქ ნიმს და 9 საათზე მიაღწია ქალაქ მოლმარდს, რომელიც ლიონის აღმოსავლეთით მდებარეობს. აქ დირიჟაბლი 20 წუთს უნაყოფოთ ებრძოდა სამხრეთ საფრანგეთიდან მომდინარე ჰაერის ტალღას, რის შემდეგაც 800 მეტრის სიმაღლეზე გაფრინდა აღმოსავლეთისაკენ. ნიმზე გადაფრენის შემდეგ დირიჟაბლმა გაუხვია ჩრდილოეთით, მდინარე რონის დაბლობისაკენ. დირიჟაბლს უხდება ბრძოლა ქართან, რომელიც აღწევს 40 კილომეტრს საათში.

გაძლიერებული დაცვის წესები

ბერლინი, 17 მაისი. 17-დან 21 მაისამდე ჰამბურგის სენატმა ქალაქში „გაძლიერებული დაცვის" წესები გამოაცხადა. აკრძალულია გერმანიის კომპარტიისა და „მასთან დაკავშირებული ორგანიზაციების" კრებები. აკრძალეს კომუნისტური გაზეთები „ჰამბურგ ფოლკსცეიტუნგ"-ი, „ნორდდეიჩე არბეიტერცეიტუნგ"-ი და ყველა სხვა გაზეთი და ფურცელი, რომელიც ამათ სანაცვლოდ გამოიცემა. (ადს).

დადგენილება ფრონტელების წითელი კავშირის აკრძალვის შესახებ

ბერლინი, 17 მაისი. ვოლფის ცნობით, მეკლენბურგ-შვერინგისა და ჰესენის მთავრობებმა გამოსცეს დადგენილება ფრონტელთა წითელი კავშირის აკრძალვისა და დაშლის შესახებ. (ადს).

პროლეტარიატის წითელი შეკრება

ბერლინი, 17 მაისი. გერმანიის კომპარტიის საოლქო კომიტეტი (ჰალესა და მერზებურგში) 19 მაისს ოლქის ყველა ქალაქში აწყობს შუა გერმანიის პროლეტარიატის „წითელი შეკრების" დემონსტრაციებს. (ადს).

მდგომარეობა ავღანისტანში

ამანულა-ხანის პოზიციების განმტკიცება

ქუშკა, 17 მაისი. როგორც ავღანისტანიდან გადმოსული ლტოლვილნი იუწყებიან, ბაჩე-საკაოს სასარგებლოდ ჰერატში მომხდარი გადატრიალების შემდეგ, ქალაქში კვლავ ნერვიული მდგომარეობაა. გაჩნდნენ ბანდიტთა ბრბოები, რომელნიც ძარცვავენ და ხოცავენ მოსახლეობას. იუწყებიან, რომ ბრბოები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შემოჭრას აპირებენ.

ჰერატიდან გადმოსული ლტოლვილების სიტყვით, ამანულა კვლავ ემზადება ქაბულზე გასალაშქრებლად. ამანულას მხარს უჭერს ხეზარიელთა ტომი, რომელიც გაზნისა და ბამიანის შუა სცხოვრობს. ამანულას მომხრეები, ყოფილი გენერალ-გუბერნატორი და ჯარის მთავარსარდალი მაზარ-შერიფში აბდულ აზისხანი და ეკლილხანი, რომელნიც საკოს მიერ მოხდენილ გადატრიალების შემდეგ გაგზავნეს ქაბულში სიკვდილით დასასჯელად გზაში განთავისუფლეს ხაზარიელებმა, ეხლა ემზადებიან ჩირიკარზე და ქაბულზე გასალაშქრებლად (ადს).

დიუშამბე, 17 მაისი. ავღანისტანიდან კაბადიანში მოსული ლტოლვილები იუწყებიან, რომ გულიამ ნაბიხანის ჯარმა დაიჭირა ბალხი, ახჩა და ტაშ-კურგანი. ამანულას გავლენა ჩრდილოეთ პროვინციებში იზრდება.

კატანო-ბახშანის პროვინციაში სასწრაფოდ თავს უყრიან ბანდიტურ ბრბოებს საბჭოთა ტერიტორიაზე შემოსაჭრელად (ადს).

ფაიზულას ბრბოს განადგურება

მოსკოვი, 18 მაისი. დამატებითი ცნობებით, მაქსუმ ფაიზულას ბრბო, რომელიც წითელი ნაწილებისაგან ილტვის, თვალსაჩინოდ დაზარალდა. მან დასტოვა მოკლულები და დაჭრილები და დაკარგა თითქმის ყველა ცხენი. (ადს).

ტაშკენტი, 18 მაისი. მერვიდან ჩამოსულმა № ცხენოსანმა ბრიგადის კომისარმა ამხ. კროპაჩევმა განაცხადა, რომ კუშკინის რაიონში, საზღვარზე სიწყნარეა. ბასმაჩების მცირერიცხოვანი ბრბო შეეცადა გადმოსულიყო საზღვარზე, მაგრამ იგი უკუგდებულ იქნა. მოსახლეობა მტრულად არის განწყობილი ბასმაჩებისადმი. დეხკანები დამშვიდებული არიან და განაგრძობენ საველე მუშაობას. თესვის კამპანია ზოგიერთ რაიონში დამთავრდა, სხვა რაიონებში თავდება. თესვის დროს დეხკანებს დიდი დახმარება აღმოუჩინეს წითელ არმიელთა ნაწილებმა. დეხკანები სოლიდარობის ნიშნად წითელ არმიელთა ნაწილებს აწვდიან სურსათს, საქონლის საკვებს და უთმობენ შენობებს. (ადს).

სამოქალაქო ომი ჩინეთში

ამერიკელები ჰკიცხავენ ჩან კაი-შის

პეიპინი, 17 მაისი. ამერიკული ორგანო „პეიპინ ლიდერ"-ი ჰკიცხავს ჩან-კაი-შის იმ ბრძანებისათვის, რომელიც პეიპინ-ხანკოუს რკინის გზაზე მოძრაობის შეწყვეტას შეეხება. გაზეთი აცხადებს, რომ ჩან კაი-შიმ ამ ბრძანებით დაარღვია სამხედრო ხელისუფლების სამოქალაქო საქმეებში ჩაურევლობის მთავარი პრინციპი. გაზეთი ფიქრობს, რომ ჩან კაი-ში პასუხისმგებელია სამხედრო ხელისუფლებას სამოქალაქო ომის განგრძობისათვის ჩინეთში. (ადს).

ეშინიათ „კომუნისტური საფრთხისა"

ხარბინი, 17 მაისი. მუკდენში ხელისუფლების მეთაურობით დაიწყო „კომუნისტების და მუშების საყოველთაო კავშირის" მოწყობა. ასეთი კავშირების მოწყობას აპირებენ გირინისა და ხეილუნძიანის პროვინციებშიაც. ყოველგვარი სხვა კავშირი აკრძალული იქნება. ახლად დაარსებულ კავშირებს მონოპოლიური უფლებები ეძლევათ, რასაც ხელისუფლება ასაბუთებს იმით, რომ „კომუნისტური პროპაგანდის გაძლიერების გამო, სამ აღმოსავლეთ პროვინციაში განსაკუთრებული პირობები შეიქმნა"-ო. (ადს).

სამხედრო მატარებლები ძინანში

პეიპინი, 17 მაისი. ჰოვენის სააგენტოს ცნობით, ძინანში მოვიდა 40 სამხედრო მატარებელი ტან შენ-ჩის და ფან ჩე-ნუს ჯარებით. მატარებლები სამხრეთისაკენ მიდიან. (ადს).

ჩან კაი-ში „ჭორებს აქარწყლებს"

შანხაი, 17 მაისი. ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ხუბეი-ხენანის საზღვარზე უშენგუანის რაიონში მოხდა შეტაკება ფინ იუ-სიანის და ჩან კაი-შის ჯარების შორის. ეს ხმა ჯერჯერობით არ არის დადასტურებული. როგორც ტაჩუნის სააგენტო იუწყება, მიუხედავად ამ ხმებისა, ნანკინის ეროვნული მთავრობის წევრები სავსებით დამშვიდებულნი არიან. პირიქითი, აღნიშნავენ, ვითომ ჩან კაი-შიმ ფინ იუ-სიანი ნანკინში მიიწვია, რათა გააქარწყლოს ყოველგვარი „ჭორები და დაამშვიდოს მოსახლეობა". (ადს)

აჯანყება გუანდუნის ჯარში

შანხაი, 17 მაისი. იაპონიის დეპეშათა სააგენტოს ტოხოს ცნობით, აჯანყდა ნაწილი გუანდუნის ჯარებისა, რომელიც მონაწილეობას იღებს სამხედრო მოქმედებაში გუანსის ჯგუფების წინააღმდეგ. აჯანყების გამო გუანდუნის სარდლობა იძულებულია გახსნას ფრონტი გუანსიელების წინააღმდეგ და მთავერი ყურადღება მხოლოდ კანტონის დაცვას მიაქციოს. (ადს)

ან თვითმკვლელობა ან მძლავრი შეტევა

პეიპინი, 17 მაისი. ინგლისური ორგანო „პეკინ ენდ ტიანძინ ტაიმს"-ი ეხება ფინ იუ-სიანის ჯარის გასვლას შანდუნის პროვინციიდან და აცხადებს:

„ფინ იუ-სიანის ჯარის უკან დახევა ვეინიდან შანსიში ნიშნავს ან ამ ჯარის თვითმკვლელობას, ან მთელი ძალების თავმოყრას მოულოდნელი მძლავრი შეტევისათვის".

სუნ-ძინ-ლინის განცხადება

ბერლინი, 17 მაისი. სუნ ძინ-ლინმა (სუნ იატ-სენის ქვრივი) ჩინეთში გამგზავრების წინ პრესის წარმომადგენლებს შემდეგი განუცხადა:

„მე მივემგზავრები იმისათვის, რომ დავესწრო სუნ იატ-სენის ნეშტის გადასვენებას პურპურის მთებზე, სადაც მას დამარხვა სურდა. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უნდა განვაცხადო: მე მტკიცედ ვადგივარ 1927 წლის 14 ივლისის დეკლარაციაში აღნიშნულ განცხადებას იმის შესახებ, რომ პარტიის აღმასკომის მუშაობასა და საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას აღარ ვიღებ".

შენიშვნა: სუნ ძინ-ლინის დეკლარაციაში დაწვრილებით არის განმარტებული სუნ იატ-სენის შეხედულება აგრარულ რევოლიუციაზე და მუშებისა და გლეხების გადამწყვეტ როლზე ჩინეთის რევოლიუციაში. სუნ ძინ-ლინი ამ დეკლარაციაში ამხელდა კონტრრევოლიუციონურ როლს გომინდანის ლიდერებისას, რომლებიც თავიანთ თავს სუნ იატ-სენის მიმდევრებს უწოდებენ, ნამდვილად კი მილიტარისტების იარაღად არიან გადაქცეულნი. (ადს)

ვენაში საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ

ვენა, 17 მაისი. ავტორიტეტულ წრეებში ამტკიცებენ, რომ მცირე ანტანტის კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში გაიხსნება ბელგრადში, ჩეხო-სლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბენეში წარადგენს წინადადებას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხის შესახებ. წინადადების მიხედვით, მცირე ანტანტის სახელმწიფოების ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან მოწესრიგებულ უნდა იქნას კოლექტიურად იმ სახელმწიფოების მიერ, რომელნიც მცირე ანტანტაში შედიან. (ადს).

ინგლისის ქალთა კოოპერატიული გილდების კონგრესი

პროტესტი ინგლისში შესვლის აკრძალვის გამო

მოსკოვი, 18 მაისი. საბჭოთა კოოპერაციის დელეგატ ქალს ინგლისელ ქალთა კოოპერატიული გილდიების კონგრესზე — ამხ. ბუტოვას აეკრძალა ინგლისში შესვლა. კონგრესმა, რომელიც მოხდა სტოკში (მდ. ტრენტზე) და რომელსაც დაესწრო 1.200 დელეგატი ქალი, ერთხმად დაადგინა — პროტესტი განაცხადოს ამის გამო, მოითხოვოს კოოპერატიული ვაჭრობის გაძლიერება ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის და, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ამ ქვეყნების შორის. კონგრესმა მიიღო აგრეთვე რეზოლიუცია, რომელშიაც ესალმება საბჭოთა წინადადებებს განიარაღების შესახებ.

„ცენტროსოიუზ"-ის სახელით კონგრესზე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა „ცენტროსოიუზ"-ის ლონდონის წარმომადგენლობის დირექტორმა ამხ. გურევიჩმა. (ადს).

გ ა ფ ი ც ვ ე ბ ი

შეერთებულ შტატებში გაფიცულთა ცემა

ნიუ-იორკი, 17 მაისი. ნიუ-იორკში პოლიციამ სცემა კომუნისტებს, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ პიკეტში საფეიქრო საწარმოთა მახლობლად გასტონიაში, სადაც ამ ჟამად ფეიქართა გაფიცვაა. (ადს).

გაფიცულთა დაპატიმრება

ნიუ-იორკი, 17 მაისი. ელიზაბეტონში პიკეტებში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს 100 გაფიცული ფეიქარი. დემონსტრაციაზე თავდასხმის დროს პოლიციამ მძიმედ დასჭრა 4 გაფიცული. დამქირავებლები მოითხოვენ სამხედრო წესების გამოცხადებას. (ადს).

საფრანგეთში სასოფლო-სამეურნეო მუშათა გაფიცვა ფართოვდება

პარიზი, 17 მაისი. „ლიუმანიტე"-ს ცნობით, კამარგში სასოფლო-სამეურნეო მუშების გაფიცვა ფართოვდება, მიუხედავად იმისა, რომ გაფიცულების წინააღმდეგ მიღებულ იქნა რეპრესიული ზომები. ერთ-ერთი საოლქო საბჭოს წინადადებით, ბუშ დიუ რონის დეპარტამენტის გენერალურმა საბჭომ, პრეფექტის პროტესტის მიუხედავად, დაადგინა— აღმოუჩინოს გაფიცულებს დახმარება 150.000 ფრანკის რაოდენობით. (ადს).

ჩ ი ნ ე თ ი დ ა ი ა პ ო ნ ი ა

იაპონია-ხარბინის სავაჭრო პალატის თათბირი

ხარბინი, 17 მაისი. ხარბინში ჩამოვიდა იაპონიის ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კუროდა. ამის გამო მოხდა თათბირი, რომელიც მოიწვია იაპონიის ადგილობრივმა სავაჭრო პალატამ. თათბირმა, რომელსაც თავმჯდომარეობდა იაპონიის კონსული ხარბინში იაგო, დაადგინა — კუროდას სახით მიმართოს იაპონიის მთავრობას და სთხოვოს, რომ მან ფინანსიური დახმარება გაუწიოს სხვადასხვა საწარმოებს, რომლებიც იაპონიის მოქალაქეებს ეკუთვნიან (ადს).

იაპონელების წინააღმდეგ

ხარბინი, 17 მაისი. იაპონიის ხელისუფლება ცდილობს მიიღოს მუკდენისაგან ნებართვა ვირინ-დუნხუას რკინის გზის ხოირენამდე (მანჯურია-კორეის საზღვარი) გაგრძელების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ჩან სუე-ლიანჯა ხელახლა განაცხადა, რომ ეს საკითხი ცენტრალური მთავრობის კომპეტენციას შეადგენსო. (ადს).

გენ. მინკევიჩის გადაყენების მიზეზები

მინსკი, 17 მაისი. ვილნოს რაიონიდან მიღებული ცნობების წყალობით გასაგები ხდება, თუ რისთვის გადადგა მოულოდნელად პოლონეთის საზღვრის დამცველი კორპუსის უფროსი მინკევიჩი. ირკვევა, რომ მინკევიჩი ხელმძღვანელობდა პოლონეთის სადივერსიო მუშაობას ლიტვაში და ლიტვის ემიგრაციის გამოსვლებს ვოლდემარასის წინააღმდეგ. მინკევიჩის გადადგომა გამოწვეულია ლიტვაში მომხდარი უკანასკნელი ამბებით, მინკევიჩის შეუსაბამო გამოსვლით და პოლონეთის აგენტების გამოსვლებით. გარდა მინკევიჩისა, საზღვრების დამცველი კორპუსიდან დაითხოვეს 50-მდე ოფიცერი, რომელთა შორის ბევრია პირველი ბრიგადის ლეგიონერი. მინკევიჩის ქაღალდების დაბეჭდვა გამოწვეულია იმით, რომ ეშინიათ გენერალმა არ გამოაქვეყნოს ზოგიერთი მეტად საიდუმლო ცნობა. მინკევიჩის ნაცვლად, კორპუსის უფროსად დაინიშნა გენერალი ტესარო (ადს).

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებისათვის

ლონდონი, 17 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: მანქანათა მშენებელ მუშათა გაერთიანებული კავშირის ნაციონალურმა კონფერენციამ ლანდუდნოში მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლებას და ინგლის-საბჭოთა ვაჭრობაზე იმ შეღავათების გავრცელებას, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს ექსპორტისათვის ხელის-შესაწყობად. (ადს)

საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს

თეირანი, 17 მაისი. ხელი მოაწერეს მუდმივ პოლიტიკურ სავაჭრო ხელშეკრულებას საფრანგეთსა და სპარსეთს შორის. (ადს)

სპარსეთ-იტალიის ხელშეკრულება

თეირანი, 16 მაისი. როგორც გაზეთი „ეტელაათ"-ი იუწყება, სპარსეთის და იტალიის წარმომადგენლებს შორის სწარმოებს მოლაპარაკება მუდმივი ხელშეკრულების დადების შესახებ. ხელშეკრულების ტექსტს მალე მოაწერენ ხელს. (ადს)

კომპარტიის გამარჯვება არჩევნებში

ნიუ-იორკი, 17 მაისი. სამრეწველო ქალაქ ნიუ-ორკში მუნიციპალური არჩევნების დროს კომპარტიამ მიიღო 1.900 ხმა. გასულ წელს პრეზიდენტის არჩევნების დროს კომუნისტებმა ამავე ქალაქში შეაგროვეს 850 ხმა, ხოლო მთელს შტატში 1.200 ხმა. კომპარტიას, სხვათა შორის, ხმა მისცა ბევრმა ზანგმა. (ადს)

კომკავშირის ცეკას მდივნის დაპატიმრება

ბერლინი, 17 მაისი. ბრიუსელიდან გადმოცემული ცნობების თანახმად, ამ აპრილის ბოლო რიცხვებში ქუჩაში დაუპატიმრებიათ ბელგიის კომკავშირის ცეკას მდივანი ვილემსი. ერთი წლის წინად ვილემსს დაპატიმრება მიუსაჯეს. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს სწორედ ეხლა, როდესაც გაჩაღებულია საარჩევნო კამპანია, რომელშიაც კომკავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებს. (ადს)

ესპანელ მეზღვაურთა გაფიცვა

პარიზი, 17 მაისი. გაიფიცა ესპანეთის გემებზე პერუში, გვარდელუპაში და პორტორიკოში მომუშავე 800 მეზღვაური. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის მომატებას. (ადს)

შემოწირულების შეგროვება ბერლინის ამბების მსხვერპლთა სასარგებლოდ

ივანოვო-ვოზნესენსკი, 18 მაისი. გუბერნიის ყველა საწარმოში გროვდება შემოწირულება ბერლინის ამბების მსხვერპლთა სასარგებლოდ. ადგილობრივმა გაზეთმა დაიწყო გამოწვევები. საოლქო კომიტეტის ბიურომ და პარტიის ცეკამ მოუწოდა მშრომელთ — აღმოუჩინონ დახმარება გერმანელ ამხანაგებს. (ადს)

მოსკოვი, 18 მაისი. გემთ-კვების მუშაკების ც. კ.-ის პლენუმმა მოუწოდა კავშირის წევრებს, ორი საათის ნამუშევარი გადასდონ ბერლინის დახოცილი და ქუჩაში გამოყრილი რევოლუციონური მუშების ოჯახების სასარგებლოდ. (ადს)

ყველა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო და ხე-ტყის მუშებს

მოსკოვი, 18 მაისი. სასოფლო-სამეურნეო და ხე-ტყის მუშების პროპაგანდისა და მოქმედების საერთაშორისო კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელიც მიმართულია ყველა ქვეყნის ამავე დარგის მუშებისადმი.

მუშებს მოუწოდებენ—ყოველმხრივ ხელი შეუწყონ სასოფლო-სამეურნეო და ხე-ტყის 7,000 გაფიცულ მუშას ჩეხო-სლოვაკიაში.

სომხეთის კომკავშირის ყრილობა

ერევანი, 18 მაისი. 17 მაისს გაიხსნა სომხეთის კომკავშირის მეექვსე ყრილობა.

ყრილობაში პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა საკავშირო ახ. ლენ. კომკავშირის ამ.-კავ. საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ახუნდზადეს საინფორმაციო მოხსენება. მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

ყრილობის მესამე სხდომაზე მოსმენილ იქნა სომხეთის კომპარტიის (ბ) ცეკას მდივნის ამხ. კონსტანტინოვის მოხსენება აპრილის პლენუმის და მე-16 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ. (ადს)

ხელმოწერილია ესტონეთ-საბჭოთა ხელშეკრულება

რეველი, 17 მაისი. ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ლატიკის თანადასწრებით ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და ესტონეთის სავაჭრო ხელშეკრულებას. (ადს).

სარეპარაციო საკითხების გარშემო

სტიმსონის განცხადება

ვაშინგტონი, 17 მაისი. შეერთებულ შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა სტიმსონის განცხადებით მას დაუშვებლად მიაჩნია, რომ ფედერალური სარეზერვო ბანკების სამმართველოს თანამშრომელი ან სხვა ოფიც. პირი გაიგზავნოს ამერიკის წარმომადგენლად საერთაშორისო სარეპარაციო ბანკში. სტიმსონმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების მთავრობა იწონებს ექსპერტთა კონფერენციის წინადადებებს სარეპარაციო პრობლემის შესახებ, მაგრამ არ მიიღებს მონაწილეობას სარეპარაციო გადასახადის შეკრებაში. (ადს)

ამსტერდამის ინტერნაციონალის შეერთების წინააღმდეგ

ჰელსინგფორსი, 17 მაისი. როგორც „მუშათა ორგანიზაციების უწყებები" იტყობინება, ფინეთის პროფკავშირთა ყრილობამ, ხმების დიდი უმრავლესობით, უარი განაცხადა ამსტერდამის ინტერნაციონალთან შეერთებაზე და დაადგინა — განაგრძოს მუშაობა საერთაშორისო მთლიანობისათვის. სოციალ-დემოკრატებმა პროტესტი განაცხადეს ამ დადგენილების წინააღმდეგ. (ადს).

ინგლისის ესკადრა ბალტიის ზღვაზე

ლენინგრადი, 18 მაისი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს სამხედრო-საზღვაო წრეებში აცნობეს:

„არის ცნობები, რომ მაისში ბალტიის ზღვაში მოვა ინგლისის ესკადრა, რომელშიაც, როგორც წინა წლებში, შედიან კრეისერები და გემები ბალტიის საზღვაო რაიონის შესასწავლად. ინგლისელები შეივლიან ლიბავასა და რიგაში და, როგორც სჩანს მოაწყობენ მანევრებს იმ სტრატეგიული რკინის გზის რაიონში, რომლის გაყვანა ამას წინად დასრულდა, და, რომელიც რეველიდან ფინეთის სამხრეთ ყურესაკენ მიდის. შესაძლებელია სანიმუშო დესანტიც გადმოსხან. ივნისის პირველ რიცხვებში ზღვაში გავა აგრეთვე შვეციის ფლოტის ორი ესკადრა". (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან

ვისგან შესდგება ამერიკის ვაჭრობა-მრეწველობის დელეგაცია

დელეგაციის მიზანი

მოსკოვი, 18 მაისი. რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის მოსკოვის განყოფილებაში ამერიკის ვაჭრობა-მრეწველობის დელეგაციის შემადგენლობის შესახებ ჩვენს კორესპონდენტს აცნობებს შემდეგი:

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების ვაჭრობა-მრეწველობის დელეგაცია შესდგება დაახლოებით ასი კაცისაგან. ყველა ესენი არიან ამერიკის უდიდესი ფირმების, ბანკების და სავაჭრო პალატების წარმომადგენელნი.

დელეგაციის მიზანია უშუალოდ გაეცნოს საბჭოთა კავშირის ბაზართან და საექსპორტო-საიმპორტო შესაძლებლობასთან. უკვე გამორკვეულია დღე, როდესაც დელეგაცია ჩამოვა მოსკოვში. ჩვენი ცნობით დელეგაცია აქ იქნება მიმდინარე წლის 17 ივლისს. მოსკოვში ის დარჩება რამდენიმე დღით და შემდეგ გაემგზავრება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონების გასაცნობად. ასეთი რაიონებია: ლენინგრადი და ნიჟნი ნოვგოროდი, აქედან გემზე მდინარე ვოლგით დელეგაცია გაემგზავრება სტალინგრადში, შემდეგ სპეციალური მატარებლით — ჩრდილოეთ კავკასიაში მინერალნიია ვოდში და კისლოვოდსკში. აქედან დელეგაცია ეწვევა როსტოვს, გროზნას, დონბასს, დნეპროსტროის და ხარკოვს. მთელი ეს მგზავრობა გასტანს 11 აგვისტომდე. 11 აგვისტოს კი დელეგაცია დაბრუნდება ამერიკაში ევროპაში გავლით.

რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის ცნობების მიხედვით დელეგაციის გამომგზავრება ცხოველ ინტერესს იწვევს არა მარტო ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების საქმიან წრეებში, არამედ მთელ რიგ სხვა ქვეყნებშიაც, რომელნიც დაინტერესებულნი არიან საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობით. მთელი ამერიკისა და ევროპის პრესა დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის გამომგზავრებას საბჭოთა კავშირში.

ქიმიის ცოდნის პოპულარიზაციისათვის

მოსკოვი, 18 მაისი. ქიმიზაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. რუძუტაკმა სპეციალური წერილით მიმართა მთელ რიგ ხელმძღვანელ ამხანაგებს და მათ შორის ამხ. შალვა ელიავას. თავის წერილში ამხ. რუძუტაკი აღნიშნავს, აუცილებელია ხუთ წლიანი გეგმის გადასინჯვა იმ მხრივ, რომ გაძლიერებულ იქნას ქიმიის უმაღლეს სასწავლებელთა და ქიმიის საზოგადოდ, სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელთათვის გადადებული თანხები, რათა ქიმიის სწავლება სათანადო დონეზე იქნას დაყენებული.

სამოქალაქო ავიაცია უნდა გაძლიერებულ იქნას ტეხნიკური ძალებით

მოსკოვი, 18 მაისი მიმდინარე წლის 5 ივნისს მოსკოვში მოწვეულ იქნება სრულიად საკავშირო თათბირი სამოქალაქო ავიაციის საკითხებზე. თათბირზე ერთ-ერთ მთავარ საკითხად დასმული იქნება სამოქალაქო ავიაციის უზრუნველყოფა სათანადო ტეხნიკური ძალებით. უკანასკნელ ხანებში სამოქალაქო ავიაციის მუშაობა შეფერხებულია იმის გამო, რომ მას არა ჰყავს პილოტები, ინჟენერების და ტეხნიკოსების სათანადო რიცხვი.

შინამრეწველობის დეფექტები საქართველოში

მოსკოვი, 18 მაისი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად შინამრეწველობის კოოპერაციის ცენტრალურ გაერთიანებას წინადადება ეძლევა გააუმჯობესოს ნედლეულის მიწოდების საქმე შინამრეწველ ქალთა არტელებისათვის. ამასთან ერთად საკავშირო ცაკისა და ეროვნულ საბჭოთა პრეზიდიუმმა გამოიტანა ვრცელი დადგენილება შინამრეწველობის კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკებში. დადგენილება აღნიშნავს ერთ-ერთ მიღწევად იმ ფაქტს, რომ ამიერ-კავკასიის შინამრეწველთა კოოპერაციაში წევრების რიცხვი გაიზარდა 11,5 პროცენტიდან 19 პროცენტამდე. აქვე დადგენილება მიუთითებს, რომ საქართველოში, აფხაზეთში და აჭარისტანში ჩამორჩენილია შინამრეწველობის კოოპერაციის განვითარება. კერძოდ მეტად დაბალ დონეზე დგას შინამრეწველობის ტეხნიკა, განხორციელებული არაა მიზნობრივი სესხის გაცემა და სხვ.

გარდა ამისა დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამიერ-კავკასიაში ირღვევა დირექტივები შინამრეწველობის პროდუქციის ექსპორტის დარგში. დასასრულ დადგენილება იძლევა მთელ რიგ კონკრეტიულ მითითებებს შინამრეწველობის კოოპერაციის გაჯანსაღებისათვის.

სპეკულიაცია სამუზეუმო განძეულებით

მოსკოვი, 18 მაისი. „რაბოჩაია გაზეტა" ათავსებს მთელ რიგ იმის დამახასიათებელ ფაქტებს, თუ როგორი აღვირახსნილი სპეკულიაცია სწარმოებს სამუზეუმო განძეულობაზე. გაზეთი სწერს, რომ ზოგიერთი ბნელი ელემენტების წყალობით და უცხოეთის ფირმების კომბინაციების მეოხებით გროშის ფასად იყიდება დიდი ღირებულების მხატვრული ნაწარმოებნი. დაინტერესებული პირები მრავალნაირ ზომებს მიმართავენ იმისათვის, რომ ლეგალურად თუ არალეგალურად გაიტანონ საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან ათასეულ მანეთებად ღირებული ნივთები. მოსკოვის საუქციო და საკომისიო მაღაზიები ყოველგვარ დახმარებას უწევენ ამ პირივ დაინტერესებულ პირებს. ხდებიან საიდუმლო ხელშეკრულებებს, აწესებენ არაოფიციალურ ფასებს და სხვ.

ასე მაგალითად, ცნობილ ჰოლანდიელი მხატვრის ბილანტის სურათი, რომელიც ღირს არანაკლებ 5.000 მანეთისა, გაიყიდა 250 მანეთად, რეპინის და შიშკინის სურათები იყიდება 200 მანეთად, ერთმა უცხოელმა 15.000 მანეთი გადაიხადა და წონით იყიდა მეფის გვარეულობის ისტორიული ვერცხლის ნივთები, რომელთა შორის ძალიან ბევრია მხატვრულად იშვიათი შესრულების ეკზემპლარები. უცხოელმა ეს განძეულობა იყიდა, როგორც ჩვეულებრივი ვერცხლი.

გაზეთი წინადადებას იძლევა სასტიკად დაისაჯოს დამნაშავე პირები და მიღებულ იქნას ზომები ასეთი სპეკულიაციის ძირშივე აღსაკვეთად.

საქართველოს

საბჭოთა კავშირში

პენსიონერების დასაკმაყოფილებლად

მოსკოვი, 18 მაისი. საკავშირო პროფსაბჭომ და სოც. დაზღვევის ცენტრალურმა სამმართველომ ყველა ორგანიზაციას მიმართეს სადირექტივო წერილით, რომელშიაც ამ უკანასკნელთ წინადადება ეძლევათ გააძლიერონ კავშირების ყოფილი წევრების—ინვალიდებისა და პენსიონერების—კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და გაუთანასწორონ, ისინი ამ მხრივ პროფკავშირის წევრებს (ადს).

სოფლის საბჭოს მდივნის მკვლელობისათვის

კიევი, 18 მაისი. საოლქო სასამართლოს საგანგებო სესიამ დახვრეტა გადაუწყვიტა ორ გლეხს—პასკოსა და როსკოტკოს, რომელთაც, კულაკების ჩაგონებით, სოფ. ფილოვეში მოკლეს სოფლის საბჭოს მდივანი (ადს).

შრომის ნაყოფიერების აწევა

ხარკოვი, 18 მაისი. უკრაინის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნების პროდუქცია ამჟამად ორჯერ აღემატება 1913 წლის მთელი რუსეთის ასეთი ქარხნების პროდუქციას. ხუთი წლის დამლევს პროდუქციის ღირებულება 400 მილ. მანეთამდე აიწევს. მთელი საბჭოთა კავშირისათვის ხსენებულ დარგში სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ გათვალისწინებულია 720 მილ. მანეთის პროდუქცია (ადს).

მიწის ძვრის შედეგები

აშხაბადი, 18 მაისი. გერმაბიდან მიღებული ცნობების თანახმად, უკანასკნელ მიწისძვრას იქ დიდი ზიანი მიუყენებია. სპარსეთის ტერიტორიიდან ჯერ არ არის მიღებული ცნობა იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა უკანასკნელ მიწისძვრას. საფიქრებელია, რომ მიწისძვრას იქაც დიდი ზიანი მოჰყვა. (ადს).

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოკვლა

მინსკი, 18 მაისი. სოფელ კოროვატიჩში (გომელის ოლქი) სასოფლო საბჭოს სხდომის დროს სასიკვდილოდ დასჭრეს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე მიხალკო. სწარმოებს სასწრაფო გამოძიება. (ადს).

მდგომარეობა ხორცის ბაზარზე

მოსკოვი, 18 მაისი. ხორცის ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის გამო, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში აცნობეს, რომ ამჟამად მიღებულია ზომები საკლავი საქონლის მარაგის დასაგროვებლად, რისთვისაც გამოყენებული იქნება საგაზაფხულო ბაზრები კაზაკსტანსა და ციმბირში, სადაც საქონელი საკმაოა. ბაზარზე ხორცის შემოსვლის ზრდა დაიწყება ივნისის დამლევიდან, მაგრამ მიწოდების სიდიდე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა პირი ექნება მოსავალს. თუ მოსავალს კარგი პირი ექნება, ხორცისა და საქონლის მიწოდება შემცირდება, თუ ცუდი — გაიზრდება. ხორცის მოხმარება, გასულ წელთან შედარებით, მოსკოვში გაიზარდა 31 პროცენტით, ხოლო სხვა 14 დიდ ქალაქში — 34 პროცენტით. ხორცის დაგროვებისათვის ამჟამად მიღებული ზომები საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ წლის მეორე ნახევარში ხორცის მიწოდების საქმეში შეფერხებას ადგილი აღარ ექნება. (ადს).

სატრაქტორო სადგურების ქსელის გაფართოება

მოსკოვი, 18 მაისი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შრომისა და თავდაცვის საბჭოს წარუდგინა პროექტი სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ქსელის შექმნის შესახებ მთელ საბჭოთა კავშირში. ოდესის ოლქში შევჩენკოს სახელობის საბჭოთა მეურნეობაში დაარსებული სამანქანო - სატრაქტორო სადგურის გამოცდილებამ დადებითი შედეგი გამოიღო და სადგურის მუშაობამ ხელი შეუწყო გლეხური მეურნეობის ნაყოფიერების გადიდებას, და ამ მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნას. ეყრდნობა რა ამას, სახელმწიფო საგეგმო კომისია დროულად სთვლის სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ფართო მშენებლობაზე გადასვლას. ქსელი უნდა მოეწყოს ისეთი ვარაუდით, რომ 1929 —30 წლის დამლევისათვის სადგურებმა დააკმაყოფილონ 2 მილიონი ჰექტარი ნახნავის მოთხოვნილება. მიმდინარე წელს უნდა მოეწყოს ოთხი სადგური 100.000 ჰექტარი ნახნავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. (ადს).

მწერალ პოტაპენკოს გარდაცვალება

ლენინგრადი, 18 მაისი. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მწერალი და დრამატურგი პოტაპენკო. ამ ბოლო დროს პოტაპენკო ლენინგრადის დრამატიულ და მუსიკალურ მწერალთა კავშირის აქტიური მუშაკი იყო (ადს).

სრ. რუსეთის საბჭოების ყრილობა

მოსკოვი, 18 მაისი. 17 მაისს სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის დილის სხდომაზე დამთავრდა კამათი იმ მოხსენების გამო, რომელიც შეეხებოდა საბჭოთა ქვედა აპარატის ამოცანებს.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კისელიოვმა. ყრილობამ აირჩია, კომისია რომელიც მოხსენების მიხედვით შეიმუშავებს დადგენილებას საბჭოთა ქვედა საფეხურის აპარატის მუშაობის განმტკიცების შესახებ.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. ბოლუიანის მოხსენება საბჭოთა რუსეთის კონსტიტუციის შესწორებისა და დამატებების შესახებ. ამ ცვლილებების განსახილველად ყრილობამ გამოჰყო კომისია. სულ ყრილობას დაესწრო 1.765 დელეგატი; აქედან გადამწყვეტი ხმით —1.139, სათათბიროთი—626. (ადს).

რუსეთის ცაკის პირველი სესია

მოსკოვი, 18 მაისი. რუსეთის საბჭოთა მე-14 ყრილობის დახურვის შემდეგ ამხ. მ. ი. კალინინის თავმჯდომარეობით შესდგა სრ. რუსეთის ცაკის მე-14 მოწვევის პირველი სესია. (ადს).

სახკომსაბჭოს შემადგენლობა

რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. სირცოვი, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულნი არიან ამხ. ა. სმირნოვი, ა. ლეჟავა და რისკულოვი.

სრ. რუსეთის ცაკის სესიამ რ. ს. ფ. ს. რ. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს შემადგენლობაში აირჩია შემდეგი ამხანაგები: ლობოვი—სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს თავმჯდომარე, ეისმონტი—ვაჭრობის სახ. კომისარი,—ბახუტოვი—შრომის სახ. კომისარი, მილიუტინი,—ფინანსთა სახ. კომისარი, ილინი — მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარი, ტოლმაჩევი—შინაგან საქმეთა სახ. კომისარი, ნ. იანსონ—იუსტიციის სახ. კომისარი, ა. ლუნაჩარსკი—განათლების სახ. კომისარი, სემაშკო—ჯანმრთელობის სახ. კომისარი, კუბიაკი— მიწათმოქმედების სახ. კომისარი, ნოგვიცინი—სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარი, სერედა—ცენტრ. სტატ. სამმართველოს მმართველი. (ადს).

სრ. რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის შემადგენლობა

სესიამ აირჩია სრ. რუსეთის ცაკის პრეზიდიუმი 19 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის არიან: ამხ. არტიუხინა, დოგადოვი, სოხოვი, ენუქიძე, ილინი კალინინი, კაგანოვიჩი, კისელიოვი, კომაროვი, კუბიაკი, ლობოვი, იანსონი და სხვ. კანდიდატებად არჩეულ იქნენ: ამხ. ავდეევა, ბუბნოვი, ვლადიმიროვი, კალმიკოვა, კუტუზოვა, კოსტენკო, მოროზოვი, პახომოვი, სტეფანოვი, ტოლმაჩევი, შოგმანი და სხვ.

სრ. რუსეთის ცაკის თავმჯდომარის და მდივნის არჩევა

სრ. რუსეთის ცაკის სესიამ რუს. ცაკის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ამხ. მ. ი. კალინინი და მდივნად ამხ. ა. კისელიოვი. მათ არჩევას სესია მხურვალე ტაშით შეხვდა.

სესიამ პრეზიდიუმს დაავალა თავისი შემადგენლობიდან აირჩიოს სრ. რუსეთის ცაკის მდივნის ორი მოადგილე.

სვერდლოველების გამოშვება

მოსკოვი, 18 მაისი. მოხდა სვერდლოვის უნივერსიტეტის კურს დამთავრებულთა საზეიმო გამოშვება. უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. მალცევმა შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ სვერდლოვის უნივერსიტეტი უშვებს 247 სტუდენტს, აქედან 136 სტუდენტს ძირითადი უნივერსიტეტიდან, 111 სტუდენტს — საღამოს უნივერსიტეტიდან. სტუდენტების 89 პროცენტს მუშები შეადგენენ. ყველას დიდი საწარმოო და საზოგადოებრივი სტაჟი აქვს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის სახელით გამოშვებულ სტუდენტებს მიესალმა ამხ. კრინიცკი.

„ჩვენ გვჭირდება, — სთქვა მან, ისეთი ადამიანები, რომლებსაც მომარჯვებული აქვთ კრიტიკის იარაღი, თავდადებული რევოლუციონერები არიან, შესისხლხორცებული აქვთ ლენინური თეორია, ასეთი ადამიანები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელებიც არიან და პრაქტიკოსებიც. ასეთ ადამიანებს გვაძლევს სვერდლოვის უნივერსიტეტი".

ამხ. იაროსლავსკიმ სთქვა, რომ სვერდლოველებმა, რომელნიც გამოშვების წინ შემოწმებულ იქნენ საკონტროლო კომისიის მიერ, უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი საკავშირო კომპარტიის (ბ) შემოწმებული წევრების სახელწოდების ღირსნი არიან.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ლენინგრადისა და სარატოვის კომუნისტური უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა და „სერპ ი მოლოტ"-ის მუშებმა. (ადს).

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ყრილობა

მოსკოვი, 18 მაისი. ხელოვნების მუშაკთა კავშირის მე-6 საკავშირო ყრილობამ საკმაოდ აქტიურად არა სცნო კავშირის მონაწილეობა იმ იდეოლოგიურ ბრძოლაში, რომელიც ხელოვნების ფრონტზე სწარმოებს. ყრილობამ, კავშირის ახალ ცეკას დაავალა — დარაზმოს მასები ხელოვნებაში წვრილბურჟუაზიულ გავლენასთან საბრძოლველად. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რომ ხელოვნების მუშაკებმა მჭიდრო კავშირი დაამყარონ ინდუსტრიალურ საწარმოებთან, და მუშათა კლუბებთან. კავშირის ახალ ცეკას შემადგენლობაში არჩეულ იქნა 65 კაცი, სხვათა შორის: ბოიარსკი, ალექსეევი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი კაჩალოვი, მცირე თეატრის დირექტორი ვლადიმიროვი, კამერული თეატრის დირექტორი თაიროვი, კინო - რეჟისორი პუდოვკინი, ლენინგრადის დრამის მსახიობი ქალი ტიმე, უკრაინის დრამის მსახიობი მარიანენკო, სიმფონიური ანსამბლის მსახიობი ციტლინი, თურქული დრამის მსახიობი შარიფოვი და სხვ.

კავშირის ცეკას თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბოიარსკი, მდივნად — ალექსეევი. კავშირის ცეკას პრეზიდიუმის წევრად არჩეულ იქნა აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო მსახიობი კაჩალოვი. (ადს).

საქ. მწერალთა დელეგაცია ბაქოში

(ტელეფონით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ბაქო, 18 მაისი. დღეს საქართველოს მწერალთა დელეგაციამ აზერბეიჯანის 15 მწერალთან ერთად ინახულა 26 კომუნარის საფლავი. დელეგაციის სახელით საფლავი გვირგვინით შეამკო დელეგაციის თავმჯდომარე გ. რობაქიძემ. საფლავზე სიტყვები წარმოსთქვეს აზერბეიჯანის ცნობილმა მწერალმა, თურქული ლიტერატურის კათედრის პროფესორმა ახვერდიევმა და პაოლო იაშვილმა. მწერლების სახელით მათ სიტყვა მისცეს ერთმანეთს, რომ კულტურულ ფრონტზე მწერლობა განაგრძობს იმ საქმეს, რომლისთვისაც თავი დასდო 26 კომუნარმა.

შემდეგ დელეგაცია ესტუმრა განათლების სახ. კომისარიატს. განათლების კომისარ ამხ. კულიევთან საუბარში დელეგატები შეეხენ კულტურულ რევოლუციის საკითხებს და მწერლობის მონაწილეობას ამ საკითხების გადაწყვეტაში.

განათლების კომისარიატიდან დელეგაცია 10 ავტომობილით გაემგზავრა ილიჩის სახელობის სარეწაოებზე. ინჟ. ალიევმა დაათვალიერებინა და დაწვრილებით გააცნო დელეგაციას ნავთის გრანდიოზული სამუშაოები.

შემდეგ დელეგაციამ დაათვალიერა ქალაქის სხვადასხვა რაიონები, მათ შორის ახლად დამთავრებული ქალაქი „არმენიკენდი", რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგაციაზე.

დელეგაცია ინახულა ბაქოს ყველა გაზეთების წარმომადგენლებმა, რომლებმაც ჩამოართვეს დელეგატებს ინტერვიუ და გადაიღეს სურათი.

ვ. წულუკიძე

სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დადება

გუშინ, საღამოს პლეხანოვის სახელობის კლუბში თბილისისა და როსტოვის მთავარ სახელოსნოების მუშათა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს პოლიტიკურ - სამეურნეო ხელშეკრულებაზე

როსტოვი-თბილისი

თბილისის სტალინის სახელობის ვაგონების და ორთქლმავალების შემკეთებელ ქარხნის ყოველ ცეხის მუშას უკანასკნელ ხანებში ეტყობა აქტიობის გამოცხოველება. ყველამ შეიგნო როსტოვის ლენინის მთავარ სახელოსნოების მუშების სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევის მნიშვნელობა.

— ამხანაგებო გვიწვევენ შეჯიბრებაში, ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება, განვამტკიცოთ ჩვენი სოციალისტური წარმოება—მარჯვეთ უფრო, მარჯვეთ ჩაქუჩი და ქლიბი—გაიგონებთ ყოველ ნაბიჯზე.

— მოვდივართ ხელშეკრულების დასადებად—იტყობინებიან დეპეშით როსტოვის მუშები. 15 მაისს, მართლაც და თბილისის მთ. სახელოსნოების მუშებს ეწვია ექვსი გამობრძმედილი მუშა - როსტოვის სახელოსნოებიდან. მათ ჩამოსვლამ კიდევ უფრო გამოაცხოველა ჩვენი მუშების ყოველდღიური ცხოვრება. ეხლავენ სოციალისტურ შეჯიბრების ხელშეკრულების პირობებს თბილისის საუბნო კომიტეტში. სტუმრები ეცნობიან თვით სტალინის სახელობის ქარხნის მუშებს და ქარხნის მდგომარეობას. შეხვედრა — მუშური პროლეტარულია. საუბარია წარმოებაზე, მიღწევებზე, ნაკლოვანებებზე.

— ბევრი რამ გვაკლია, ტექნიკური მოწყობილობა ქარხნის ხელს არ გვიწყობს, მაგრამ გამოწვევას ვიღებთ და შევასრულებთ კიდეც—ეს არის საერთო პასუხი სტალინის სახ. ქარხნის მუშებისა. ეთანხმებიან ჩამოსული სტუმრები. ამიტომაა, რომ ხელშეკრულებაში შეჰქვთ მთელი რიგი შეღავათიანი პირობები.

17 მაისი. ეკრიბებიან ცეხების მუშები ხელშეკრულების შესასწავლად. ეხლავენ მას დეტალურად. ყოველმხრივ. თვალისწინებენ ყოველივეს, რომ არაფერი გამორჩეთ. დასკვნა საერთოა, მტკიცე და გადაწყვეტილი. —ხელშეკრულება შესრულებული იქნება პირნათლად.

18 მაისი. პლეხანოვის სახელობის კლუბის ეზოში თავს იყრიან სტალინის სახელობის ქარხნის მუშები. ისინი ღიმილით მოდიან საზეიმო კრებაზე, რომელზედაც უნდა მოხდეს უდიდესი პოლიტიკური აქტი—პოლიტიკურ სამეურნეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. კლუბის საზაფხულო ეზო ივსება მუშებით. სცენიდან გაისმის ქარხკომის თავმჯდომარის ამხ. სართანიას ხმა, რომელიც საზეიმო კრებას გახსნილად აცხადებს. პრეზიდიუმი იკავებს თავის ადგილს.

იწყება სიტყვების წარმოთქმა, ამხ. სართანიას, პოზდეევი სცვლის, უკანასკნელს რაზმაძე, რომელიც კრებას უკითხავს ხელშეკრულების ტექსტს, მას მოჰყვება ამხ. ოჩერედკო (დელეგაციის თავმჯდომარე), რომელიც გადასცემს საზეიმო სხდომას მხურვალე პროლეტარულ სალამს როსტოვის მუშების სახელით. საპასუხოთ გამოდიან მუშები: ამხ. ბარბაქაძე, იმერლიშვილი, თავშავაძე.

— ჩვენ განვლეთ აღმდგენლობითი პერიოდი გადავდივართ ჩვენი მეურნეობის განმტკიცება-აყვავების ფაზაში, რომელსაც ახასიათებს წარმოების რეორგანიზაცია და რეკონსტრუქცია. ამ შემთხვევაში სოციალისტური შეჯიბრებების როლი უდიდესია—ამბობენ ორატორები.—სოციალისტური შეჯიბრება ხელს შეუწყობს ჩვენი წარმოების განმტკიცებას და გაძლიერებას.

მუშები ფიცსა სდებენ და იმედს გამოსთქვამენ, რომ პროლეტარულ სიტყვას გაამართლებენ და მიცემულ პირობას შეასრულებენ მთელი ასი პროცენტით.

დიდია ენტუზიაზმი, განუზომელია იმედი და რწმენა, რომ მუშათა კლასი შესძლებს საკუთარი წარმოების და მეურნეობის გაუმჯობესება-განმტკიცებას..

ორატორების გამოსვლის შემდეგ პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულებას ხელს აწერენ: ამხ. ოჩერედკო, გოლუბენკო, ივანოვი, ხოდისი, ოვჩაროვი, ბარსუკოვი, (როსტოვის მუშების დელეგაცია), რაზმაძე (თბ. საუბნო კომიტეტი), სართანია (ქარხკომი) სულავა (ქარხნის დირექტორი), მაისუროვი, (ქარხნის მთავარი ინჟინერი), ინჟ. თოფურია, კაუფმანი, (ახალგაზრდებიდან), მუშები: ბუშკინი, ბარბაქაძე, ვასილიევი, ციფიანი, ნინუა, ნუნკინი და ჩიჩუა.

ხელის მოწერის აქტი უაღრესი ენტუზიაზმით სრულდება—მქუხარე ტაშისა და ორკესტრის გრიალის ქვეშ.

ამხ. სართანია აბარებს ხელშეკრულების ეგზემპლიარებს დანიშნულებისამებრ და უსურვებს მათ პირობას პირნათლად შესრულებას.

როსტოვისა და თბილისის მთ. სახელოსნოების მუშათა წარმომადგენლები ხელს აწერენ ხელშეკრულებაზე

სამეურნეო-პოლიტიკური ხელშეკრულება

„სოციალიზმი პირველად ჰქმნის შესაძლებლობას გამოყენებულ იქნას შეჯიბრება ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასიურად, გამოყვანილ იქნას მშრომელთა ნამდვილი უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მშრომელებს შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი და გამოაშკარავონ ნიჭი. ჩვენს ამოცანას ეხლა, როცა სოციალისტური მთავრობა ხელისუფლების სათავეში სდგას, შეადგენს შეჯიბრების მოწყობა" (ლენინი, 1918 წ.).

ჩვენი ქვეყნის წინაშე დგანან სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერების, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის უდიდესი ამოცანები.

ამ ამოცანების შესრულება მოითხოვს მუშათა კლასის მთელი ძალების მობილიზაციას სამეურნეო ფრონტზე საბრძოლველად.

საჭიროა მედგარი ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ასაწევად, პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად, შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

ჩრდილოეთ-კავკასიის რკინის გზის ლენინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი სახელოსნოს 3.875 მუშის, მოსამსახურის და საინჟინერო-ტექნიკური მუშაკის სახელით და ამ.-კავკასიის რკინის გზის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი სახელოსნოს 2.558 მუშის, მოსამსახურის და საინჟინერო-ტექნიკური მუშაკის სახელით, ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, აღნიშნულ საწარმოთა მუშების, მოსამსახურეების და საინჟინერო-ტექნიკური მუშაკების წარმომადგენელნი, ვასრულებთ რა ლენინის ანდერძს, ვახდენთ რა მუშათა ფართო მასების მობილიზაციას კავშირის წინაშე მდგომი ინდუსტრიალიზაციის ამოცანების შესასრულებლად და წარმატებით გადასაჭრელად ვაცხადებთ სოციალისტურ შეჯიბრებას ამ საწარმოთა შორის 1928-29 წლის დამლევამდე.

ვდებთ რა რევოლუციონურ-სამეურნეო-პოლიტიკურ ხელშეკრულებას, ვკისრულობთ შევასრულოთ შემდეგი:

1. შევასრულოთ საწარმოო საექსპლოატაციო პროგრამა 1928-29 წლისათვის ასი პროცენტით.

2. ავწიოთ სახელოსნოებში შრომის ნაყოფიერება, წარსულ წელთან შედარებით, 19 პროცენტით.

3. შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, როგორც მოძრავი შემადგენლობის შეკეთების საქმეში, ისე ცეხების ნაწარმოების დარგში, წარსულ წელთან შედარებით, 12 პროცენტით.

4. შევამციროთ მუშაობის შეჩერების ნორმები მოძრავი შემადგენლობის შეკეთების საქმეში 5 პროცენტით გზათა სახ. კომისარიატის ბრძანებით (№ 715) დაწესებულ ნორმებს ზევით.

5. შევამციროთ მასალის ხარჯვა მოძრავი შემადგენლობის შეკეთების და ცეხების ნაწარმოების ერთეულზე, განსაკუთრებით შევამციროთ ფერადი ლითონების ხარჯვა, პროდუქციის ხარისხის დაუზიანებლად.

6. შევამციროთ ნარჩენები მექანიკური გადამუშავების დროს, სათანადოდ მოვაწესრიგოთ ნარჩენების გამოყენება.

7. მაქსიმალურად გავაუმჯობესოთ გამოსაშვები პროდუქციის ხარისხი.

8. განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა საწარმოებში, სავსებით მოვსპოთ ბოლო თვითნებურად სამუშაოს გაცდენას, გადაჭრით ვებრძოლოთ მუშაობის დროს დაუდევრობას, გულგრილობას, ხულიგანობას, ნედლეულისა, მასალისა და მოწყობილობისადმი დაუდევრად მოპყრობას.

9. მივაღწიოთ მუშების, მოსამსახურეების და საინჟინერო-ტექნიკური მუშაკების მაქსიმალურად ჩაბმას საწარმოო თათბირების მუშაობაში და გავადიდოთ საწარმოო თათბირებზე დასწრების მიღწეული დონე მათი შემოწმების პერიოდში.

10. განვახორციელოთ, მუშების ეკონომიურად დასაბუთებული ყველა წინადადება, რომელიც შემოტანილი იქნა როგორც საწარმოო თათბირების შემოწმების დროს, ისე მის შემდეგ, თუ ეს წინადადებანი აუმჯობესებენ წარმოების მუშაობას.

11. დავაწესოთ მიღწევათა ყოველთვიურად გაზიარება შეჯიბრების ჩატარების დროს და გამოვაქვეყნოთ მაჩვენებელთა ჯამები გაზეთ „გუდოკ"-ში. სამეურნეო წლის დამლევს სახელოსნოების გაერთიანებულ თათბირზე შევამოწმოთ ამ ხელშეკრულების შესრულება.

12. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის 1929 წლის 18 მაისიდან.

სავსებით ნათლად ვითვალისწინებთ რა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ვიძლევით პროლეტარულ დაპირებას—მთლიანად შევასრულოთ ეს ვალდებულებანი.

საკავშირო კომპარტიის (ბ), მუშათა კლასის ერთად-ერთი ხელმძღვანელის, ლენინური დროშით ვიბრძოლებთ სოციალისტური შეჯიბრებისა, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის განვითარებისა, წარმოების რაციონალიზაციისა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის და გავსწევთ წინ სოციალიზმის მშენებლობის გზით.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ჩრდილოეთ-კავკასიის რკინის გზის ლენინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი სახელოსნოების მხრივ: რკინის გზის პროფკავშირის საუბნო კომიტეტის თავმჯდომარემ, სახელოსნოების გამგემ და საკავშირო ახ. ლენ. კომკავშირის, ამწყობი ცეხის, სავაგონო ცეხის და ჩამომსხმელი ცეხის წარმომადგენლებმა.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მხრივ: ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს რკ. გზ. პროფკავშირის საუბნო კომიტეტის თავმჯდომარემ, სახელოსნოების გამგემ, სახელოსნოების მთავარმა ინჟინერმა, ფაბქარხკომის თავმჯდომარემ და საკავშირო ახ. ლენ. კომკავშირის, ამწყობი ცეხის, მექანიკური ცეხის, ჩამომსხმელი ცეხის, საქვაბე ცეხის, სამჭედლო ცეხის, სამგზავრო ვაგონების ცეხის და საქონლის ვაგონების ცეხის წარმომადგენლებმა.

პარტიაში

გენერალური წმენდა პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობის შემოწმებაა

როგორ ჩატარდება პარტიის წმენდა

(თბილისის ორგანიზაცია)

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმზე გუშინ გაირჩა საკითხი პარტიის რიგების წმენდისა და შემოწმების ჩატარების შესახებ. თანახმად ცენტრალურის საკონტროლო კომისიის დირექტივისა, პარტიის წმენდასთან დაკავშირებით ჩატარებული იქნება მთელი ორგანიზაციის და პარტუჯრედების მუშაობის შემოწმებაც.

პარტიის წმენდის საკითხზე უჯრედებში ჩატარებულმა წინასწარმა მუშაობამ საკმაოდ ფართე ხასიათი მიიღო. ორგანიზაციის წევრებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა წმენდის საკითხმა. ყველა რაიონებს წინადადება მიეცა შეადგინონ უჯრედების დახასიათება შემმოწმებელ კომისიაში წარსადგენად. რაიკომების მიერ წარდგენილი დახასიათებები, ფაქტიურ მასალებთან ერთად შემმოწმებელი კომისიების მიერ გამოყენებული იქნება იმის გამოსარკვევად, თუ როგორი კავშირი ჰქონდა რაიკომს უჯრედებთან.

თბ. კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა: წმენდის დაწყებამდე ფართე ახსნა-განმარტება ჩაატაროს უპარტიო მუშათა შორის წმენდის მიზნებისა და ამოცანების გარეშე. ამ მიზნით გადაწყვეტილია: კლუბებში ჩატარებულ იქნეს მოხსენებები პარტიის წმენდის შესახებ. ამ მოხსენებებზე მიზიდული იქნება უპარტიო მუშათა ფართე მასები. ქალაქის ფარგლებში ჩატარდება უჯრედების აგიტპროპორგანიზატორთა, პარტორგების, ჯგუფური და ინდივიდუალური აგიტატორების თათბირები, რომლებზედაც დამუშავდება პარტიის წმენდის საკითხი. პარტიის წმენდის გაშუქებას პრესის მიერ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მომავალ საარჩევნო კამპანიის დროს უჯრედის ბიუროს ანგარიშში გაშუქებული უნდა იქნეს ის მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც ჩატარდა უჯრედში პარტიის წმენდამდე.

თანახმად ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და თბილისის კომიტეტის დადგენილებისა თბილისის ორგანიზაციაში წმენდა დაიწყება პირველ ივნისიდან.

ა.-კავკასიის კომ. უნ-ტის უჯრედში

(საცდელი წმენდა)

17 მაისიდან ამიერ - კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში დაიწყო ს.კ.პ. (ბ) კომპარტიის წევრთა და კანდიდატთა წმენდა. გამწმენდ კომისიაში შედიან ამხ. რასულ-ზადე, ენუქიძე, სოგომონოვი და ალავერდოვა. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე წმენდა გაიარა 7 კაცმა. წმენდაზე უჯრედის წევრების გარდა ესწრებოდნენ უპარტიოებიც. შემოწმება შემდეგი წესით მიმდინარეობს: თვითეული წევრის შესახებ უჯრედის ბიურომ წერილობითი დახასიათება წარუდგინა შემმოწმებელ კომისიას. ის პირი, რომელიც ამოკითხული იქნა წმენდის გასავლელად აცნობდა თავის ბიოგრაფიას. დამსწრეები აძლევდნენ შეკითხვებს და შემდეგ იმართებოდა კამათი.

შედეგებს კომისია წმენდის დამთავრებისას გამოაცხადებს.

პარტიის წმენდა

სოხუმი, 18 მაისი. საერთო-საქალაქო პარტიულმა კრებამ, რომელშიაც უპარტიოებმაც მიიღეს მონაწილეობა და რომელსაც 1.200 კაცზე მეტი დაესწრო, მოისმინა ცენტრალური საკონტროლო კომისიის რწმუნებულის მოადგილის ამხ. პეტროსიანის მოხსენება მომავალი წმენდის შესახებ. მოხსენების ირგვლივ კამათის დროს მონაწილეობა მიიღო 16 ამხანაგმა. ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„კრება გადაჭრით და სავსებით მხარს უჭერს წმენდის უდიდეს პოლიტიკურსა და ორგანიზაციულ მნიშვნელობას და ენერგიულად მოუწოდებს პარტიის, კომკავშირისა, და პროფსაბჭოთა წევრებს—აქტიური მონაწილეობა მიიღონ წმენდაში" .ადს).

გამოაშკარავებული ბანდიტი

ლოთუეკა ჯმუხაძე ცნობილია როგორც მოსკოვის, აგრეთვე უკრაინის ბანდიტურ ელემენტებს შორის. საქართველოში მან ოსტატურად დაფარა თავისი წარსული და პარტიაში შესვლაც კი მოახერხა, თან სტაჟი მიითვისა 1917 წლიდან. მას ბევრი იცნობს, როგორც მუშას, ყოვლად უმწიკვლო თავდადებულ რევოლუციონერს. მართლაც, როდესაც გადახედავთ მის მიერ შეთითხნილ შეუმოწმებელ ავტობიოგრაფიას, იფიქრებთ, რომ რევოლუცია რუსეთში თითქმის მარტო ამ კაცმა მოახდინაო.

მაგრამ აი რას გვეუბნება საკონტროლო კომისიის გამოკვლევა. გიორგი (ლოთუეკა) ჯმუხაძე სპირტით გამგზავრებულა მოსკოვში 1917 წელს. აქ ის კავშირს აბამს საეჭვო პირთან—ვიქტორ ჯაფარიძესთან, რომელიც თავის დროზე დაისაჯა დახვრეტით.

მოხდა ოქტომბრის რევოლუცია, ორი ძმათ ნაფიცი ბანდიტი დატრიალდა ჯარასავით, შემოიკრიბეს გარშემო ქურდები და სხვა ბანდიტები, გაიჩინეს სპირტით და იარაღით ვაჭრობა. მალე ავაზაკთა ეს ჯგუფი აღმოაჩინა ხელისუფლების ორგანოებმა. მათ ჩხრეკის დროს უნახეს აუარებელი იარაღი, რომელიც ჯმუხაძე-ჯაფარიძეებს მიჰქონდათ ბაქოში მუსავატელებისათვის. რამდენიმე ხნის ტუსაღობის შემდეგ, რაღაც მანქანებით, ბანდიტებმა გამოიძვრინეს თავი სატუსაღოდან. ჯმუხაძე ისევ იწყებს ვაჭრობას, ეწევა სპირტის ყიდვა-გაყიდვას ცოლის დახმარებით. მალე ამის შემდეგ მოსკოვის ჩეკას დადგენილებით ჯმუხაძე მოათავსეს საკონცენტრაციო ლაგერში.

1918 წლის მეორე ნახევარში ჯმუხაძე თავის ამხანაგებით ახერხებს ლაგერიდან გამოპარვას და ეწერება განსაკუთრებულ მფრინავ რაზმში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხ. იაშვილი1).

ჯმუხაძე თავის ავტობიოგრაფიაში სწერს, თითქოს ის მუდმივად იყო ფრონტზე, იბრძოდა გაშმაგებით თეთრების წინააღმდეგ და კიდევაც იყო დაჭრილი მათ მიერ. გამოირკვა, რომ ჯმუხაძე არსად ფრონტზე არ ყოფილა და არც თეთრებს დაუჭრია, ის დასჭრა მისმა ამხანაგმა შემთხვევით ხარკოვში საეჭვო ადგილას ქეიფობის დროს.

ჯმუხაძე ამბობს თავის ავტობიოგრაფიაში, რომ 1919 წელს, როდესაც ოდესა აიღეს დენიკინელებმა, მე დავრჩი იქ მალულადო. დადასტურდა, რომ ჯმუხაძემ თავისი ნებით დაიწყო დენიკინელებთან სამსახური, ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ჯმუხაძეს მხრებს უმშვენებდა ნიკოლოზის აპელატები. ჯმუხაძე სდევნიდა კომუნისტებს.

ამის შემდეგ ჯმუხაძემ ამოჰყო თავი მენშევიკურ საქართველოში.

1920 წელში ის დგება სამსახურში. ნათქვამია, ქურდი თავისას არ დაიშლისო. არც ჯმუხაძე იშლის თავის ხელობას. ის გაძარცვის მიზნით თავს ესხმის მისი ოდესელ ამხანაგს—ცნობილ ბანდიტის მ. გაბიჩვაძის თანხლებით ვიღაც პირს. მათ აპატიმრებენ და აგზავნიან ორთაჭალის ციხეში.

ჯმუხაძე კი სწერს ავტობიოგრაფიაში, რომ თითქოს 1920 წელში ის დატუსაღებული იყო როგორც კომუნისტი. ჯმუხაძემ აქაც შესძლო ციხიდან თავის დაძვრენა.

განთავისუფლების შემდეგ, ის ახერხებს საბჭოთა აზერბეიჯანში გამგზავრებას სათანადო მანდატით, რომელშიაც თავის-თავს კომუნისტად აცხადებს 1917 წლიდან.

ამრიგად ის მოევლინა აზჩეკას, მენშევიკურ საქართველოდან გაქცეული, „როგორც მუშა, რუსეთის სამოქალაქო ომის გმირი, ნატანჯი, დაჭრილი მარჯვენა ფეხში თეთრებთან ბრძოლის დროს" და სხვ.

ჯმუხაძე იგზავნება საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. აქ ბევრი ამხანაგი მას პატივისცემით ეკიდება. ყველას და, მათ შორის მეც, გვეგონა, რომ ის ღირსია ამხანაგური დახმარების და ყოველნაირად წახალისების.

აზერბეიჯანიდან ჯმუხაძე ჩამოდის სხვა ამხანაგებთან ერთად საქართველოში თავისი მანდატით და იწყებს სხვადასხვა დაწესებულებებში თანამშრომლობას. მან იცის, რომ კვალიფიციურ მუშებს მეტი დაფასება აქვს და ამიტომ მასაც სურს გახდეს ასეთი. ჯმუხაძემ შეისწავლა შოფერის ხელობა და კიდევაც მიიღო ეს თანამდებობა. ის დღესაც მუშაობს ა.-კ. სახკომსაბჭოში შოფერად. მაგრამ ეს არაფერი, ჯმუხაძე უკანასკნელ ხანებში მეტად გათამამდა, მას კაცი ბუზად აღარ მიაჩნდა, თავი ისე წარმოედგინა, რომ იმაზე დამსახურებული რევოლუციონერი ამქვეყნად არავინ იყო. თუმცა კარგად იცოდა და იცის, რომ ნამდვილი რევოლუციონერი არასოდეს იკადრებს ასეთ გულზვიადობას.

საკონტროლო კომისიამ გვიან, მაგრამ მაინც გაიგო ჯმუხაძის ნამდვილი ვინაობა და ის საბოლოოდ გამოეთიშა კომუნისტური პარტიის რიგებს.

ამასთან დაკავშირებით საკითხავია, როგორ მოხდა, რომ ჯმუხაძემ ამდენი ხნის განმავლობაში შესძლო პარტორგანიზაციებისათვის თვალის ახვევა? სად იყო უჯრედი, რომელშიაც ის მუშაობდა, სად იყვნენ ის პარტიის წევრები და პატიოსანი საბჭოთა მოქალაქენი, რომელნიც იცნობდნენ ჯმუხაძის შავბნელ წარსულს და დღემდის არაფერს ამბობდნენ? საჭიროა მეტი დაუნდობლობა ჯმუხაძეების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ პარტია დავიცვათ ასეთ გახრწნილ ელემენტებისაგან.

სერგო მეგრელიშვილი.

---

1) ამხ. იაშვილი მძიმეთ დაჭრილ იქნა თეთრგვარდიელების მიერ ხარკოვსა და ბელგოროდის მახლობლად. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა და ამხ. იაშვილი გარდაიცვალა.

ინსტრუქცია პარტიის წმენდის შესახებ

შეცდომის გასწორება

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტო იძლევა შემდეგ შესწორებას ინსტრუქციის იმ ტექსტში, რომელიც გუშინ გადმოგვცა ამ სააგენტომ.

მუხლი მე-2 (ინსტრუქციის დასაწყისში) წაკითხულ უნდა იქნას შემდეგი რედაქციით, რომელიც არ სცვლის პირველი რედაქციის შინაარსს:

„პირველ რიგში ჩატარებულ უნდა იქნას საოლქო ორგანიზაციებისა და ნაციონალური კომპარტიების ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების, აგრეთვე საოლქო სამხედრო პარტკომისიების წმენდა. შემოწმებას ახდენენ ცენტრალური საკონტროლო კომისიების სპეციალური შემმოწმებელი სამეულები, რომლებიც შეამოწმებენ ზემოაღნიშნული პარტკომებისა და საკონტროლო კომისიების პლენუმების ყველა წევრსა და კანდიდატს, ამასთან ეს შემოწმება მოხდება საერთო წესით, ე. ი. უჯრედების საშუალებით, როგორც პარტიის ყოველი წევრისა და კანდიდატის შემოწმება. ცენტრალური საკონტროლო კომისიების შემმოწმებელმა სამეულებმა უპირველესად ყოვლისა უნდა შეამოწმონ წევრები და კანდიდატები პარტკომიტეტების ბიუროებისა და საკონტროლო კომისიების პრეზიდიუმებისა და პარტკოლეგიებისა, რომელნიც შემოწმების შემდეგ დაუყოვნებლივ შეუდგებიან საოლქო (სარაიონო) ორგანიზაციებში შემმოწმებელი კომისიების შექმნას". (ადს).

მხარს უჭერენ მე-16 პარტკონფ. გადაწყვეტილებებს

მოსკოვი, 18 მაისი. მოსკოვის კომკავშირის აქტივმა მოისმინა მოხსენება ცეკას პლენუმისა და მე-16 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ. აქტივი მთლიანად და სავსებით შეუერთდა პლენუმისა და კონფერენციის გადაწყვეტილებებს. კრება აცხადებს პარტიის წინაშე, რომ მოსკოვის კომკავშირი მოიკრეფს მთელს ძალღონეს პარტკონფერენციის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გასატარებლად. (ადს)

საქ. კ. პ. (ბ) ც. ს. კომისიის პრეზიდიუმისაგან

(პრეზიდიუმის დადგენილებიდან)

გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ში მოთავსებული იყო წერილი „Бандит Баграт и его брат". ამ წერილში ავტორი აღნიშნავდა, ვითომც ბაგრატ ჟვანიამ ძალათი მოიტაცა ქალი, მან გაფლანგა 600 მანეთი სახაზინო ფული, გალახა საქართვ. ცაკის წევრი გაბედავა და ვითომც მას მფარველობას უწევს მისივე ძმა ისაკი ჟვანია, ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივანი.

ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა ეს წერილი და დაადგინა: ამხ. ჟვანიას წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება აღიარებულ იქნას ცილისწამებად—მოხდეს ამხ. ჟვანიას რეაბილიტაცია, ხოლო შენიშვნის ავტორი, რომელმაც პრესა პარტიულ ამხანაგთან პირადი ანგარიშების გასასწორებლად გამოიყენა, პარტიულ პასუხისგებაში იქნას მიცემული.

ცენტრ. საკონტროლო კომისია გაეცნო წერილის დედანს, აგრეთვე მოწმეთა ჩვენებას ამ საქმის შესახებ და დაადგინა: წერილის ავტორმა ამხ. ბეგლარ ბერიამ პრესა გამოიყენა არა საქმიანი კრიტიკისათვის, არამედ პირადი ანგარიშების გასასწორებლად, რაც პარტიული ამხანაგისათვის საკონტროლო კომისიას შეუწყნარებლად მიაჩნია.

პრეზიდიუმისა და პარტკოლეგიის გაერთიანებული სხდომა გაეცნო ამ საქმეს და შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

ამხ. ბეგლარ ბერიას საყვედური გამოეცხადოს პირადი ანგარიშების გასწორებისა და პასუხისმგებელი პარტიული ამხანაგის სახელის გატეხისათვის.

გამოვიდა და იყიდება ყველგან
ორკვირეული ჟურნალი
„საქართველოს მუშ-გლეხკორი" (№ 1-ლი)
ჟურნალზე ხელისმოწერა მიიღება. გაზ. „კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს, „ახალი სოფელი"-ს და „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს კანტორებში, როგორც თბილისში, ისე ადგილებზე.
ხელისმოწერის პირობები
ჟურნალი ხელისმომწერთათვის 3 თვით ღირს—55 კ., 6 თვით 1 მ. 10 კაპ., 1 წლით 2 მ. 20 კ., ცალკე ნომერი —10 კაპ.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან--კვირამდე)

ამერიკის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა.— ინგლისი საპარლამენტო არჩევნების წინ.— კომპარტიის გავლენის ზრდა საფრანგეთში— ანტისაბჭოთა ავანტიურა ალკვეთილი იქნება.

საბჭოთა კავშირში ამას წინად მყოფ ინგლისელ მრეწველთა დელეგაციის წევრმა ბერლეინმა განაცხადა: „საბჭოთა ბაზრით დაინტერესებული არიან სხვა კონკურენტები და თუ ხელს არ გავანძრევთ, შემდეგ შეიძლება ინგლისელებს საბჭოთა ბაზარზე დაგვრჩეს მხოლოდ ის შეკვეთები, რომელიც სხვა ქვეყნებს აღარ დასჭირდებათ". ეს შიში რომ საფუძვლიანია, ამას, სხვათა შორის, ადასტურებს ამერიკელ მრეწველების გადაწყვეტილება—საბჭოთა კავშირში დელეგაცია გამოგზავნონ. უდავოა, რომ ბერლეინს, როცა ის კონკურენტებზე ლაპარაკობს, პირველ ყოვლისა ამერიკა ჰყავს მხედველობაში.

ამერიკის დაინტერესება საბჭოთა კავშირით ორი გარემოებით აიხსნება. ერთია მისი მეტოქეობა ინგლისთან. ის იძულებულია დაუახლოვდეს ყველა იმ სახელმწიფოს, რომელთა წინააღმდეგ ინგლისი გამოდის. კერძოდ საბჭოთა კავშირთან გართულებული დამოკიდებულება უეჭველად გააძნელებდა ამ მის მთავარ მოწინააღმდეგის მსოფლიო პოზიციების შერყევას.

ამავე დროს ამერიკას მეტად უჭირს თავის მრეწველობის პროდუქციის გასაღება და თავისუფალ ფულად კაპიტალების მოთავსება. ბაზრების შოვნა ხომ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკის და მათი ურთიერთობის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია. საბჭოთა კავშირი შეიძლება გახდეს ხელსაყრელ ბაზრად, თუ ამერიკა, ისე როგორც სხვა ქვეყნები, ჩვენთვის მისაღებ პირობებზე დასთანხმდება და ამერიკაც ბოლო დროს ჩვენთან საქმიანი დამოკიდებულების აღდგენის გზას დაადგება. ამ მიმართულებით დადებულ იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები.

მაგრამ ამერიკის კაპიტალს ამით დაკმაყოფილება არ შეუძლია. მისი ეკონომიური ინტერესები დაჟინებით მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან აღებ - მიცემობის გაფართოვებას. ეს მით უმეტეს აუცილებელი ხდება, რომ ინგლისის საქმიანი წრეები, მიუხედავად შუბლმაგართა წინააღმდეგობისა, სულ უფრო ამაღლებენ ხმას ჩვენთან ნორმალური დამოკიდებულების დამყარების სასარგებლოდ. მოსალოდნელია კონსერვატორთა კაბინეტის დაცემა და უნდა ვიფიქროთ, რომ მაშინ ამ მხრივ აუცილებელი იქნება ახლად არსებული ხელოვნური დაბრკოლებანი. ამიტომ ამერიკამ უნდა იჩქაროს. და ის ინგლისელ მრეწველთა დელეგაციის ჩვენში ჩამოსვლის საპასუხოდ თავის სამრეწველო-საბანკო ორგანიზაციების წარმომადგენლებს აგზავნის.

საგულისხმოა, რომ საქმიანი ჯგუფების ამ ნაბიჯს ვაშინგტონის მთავრობა თანაგრძნობით ეპყრობა. დეპეშა გადმოგვცემს, რომ „ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას დელეგაციის გამგზავრების საწინააღმდეგო არაფერი აქვს", ხოლო ვაჭრობის მინისტრის ამხანაგი საჯაროდ აცხადებს, რომ „საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმამ, რომელიც ითვალისწინებს ამერიკის ტექნიკურ საქმიანობის განვითარებას საბჭოთა კავშირში, ხელი უნდა შეუწყოს ამერიკის ვაჭრობას საბჭოთა კავშირში". ამერიკის მრეწველთა დელეგაცია, რომელიც საფუძვლიანად გაეცნობა ჩვენი სახალხო მეურნეობის მდგომარეობას და პერსპექტივებს, ალბად, დააჩქარებს ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიური ურთიერთობის გაფართოვება-განმტკიცებას.

ალებ-მიცემობამ საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის უკვე გადააჭარბა ომის წინანდელ დონეს, მაგრამ აქ შეუდარებლად მეტი შესაძლებლობანია გადაშლილი. ამ შესაძლებლობათა ჯეროვანი გამოყენებისათვის, გარდა ხელსაყრელ ეკონომიურ პირობების შექმნისა, აუცილებელია ნორმალურ პოლიტიკურ დამოკიდებულების დამყარება. ამ მიზნით ამერიკაში საკმაოდ ძლიერ მოძრაობას აქვს ადგილი. სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ბორამ კვლავ დასვა საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი. ამერიკის ზოგიერთ ხელმძღვანელ პოლიტიკურ წრეების განწყობილების დასახასიათებლად აღსანიშნავია აგრეთვე იმავე ბორას ამას წინედ გამოქვეყნებული წერილი, სადაც იგი მკაცრად ილაშქრებს ჩერჩილის წინააღმდეგ, რომელიც თავის წიგნში ამართლებს ანტანტის ინტერვენციას საბჭოთა კავშირში სამოქალაქო ომის დროს. გარდა ამისა საყურადღებოა ამერიკის სასამართლოს უარყოფითი დამოკიდებულება საფრანგეთის ბანკის პრეტენზიისადმი საბჭოთა ოქროს საკითხში და ვაშინგტონის მთავრობის პოზიცია ყალბ საბჭოთა დოკუმენტების დამამზადებელ ორლოვის საქმეში. ყოველივე ეს გვეუბნება, რომ ამერიკის მმართველ წრეებში ხდება გარდატეხა ჩვენთან არა მარტო ეკონომიურ, არამედ დიპლომატიურ ურთიერთობის განახლების დარგში. რა თქმა უნდა, ამ გზაზე კიდევ ბევრი დაბრკოლებებია აღმართული, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეკონომიური აუცილებლობა თავისას გაიტანს. ამერიკის მრეწველთა დელეგაციის გამოგზავნა ამ მხრივ ბევრ რამეს მეტყველებს.

* * *

ათიოდე დღე დარჩა საპარლამენტო არჩევნებამდე ინგლისში. ამასთან დაკავშირებით საარჩევნო კამპანია სულ უფრო ჩაღდება. თვითეული პარტია ყოველ ზომას ხმარობს მოსახლეობის თავისკენ გადასაბირებლად...

ყველაზე უფრო ცუდ მდგომარეობაში ამ მხრივ, რა თქმა უნდა, კონსერვატორების პარტიაა, რა დამსახურება შეუძლია მათ გადაუშალონ ამომრჩევლებს, რომ მათი ნდობა მოიპოვონ? არავითარი. პირიქით: მთელი წლების ბატონობის განმავლობაში შუბლმაგრებმა ყველაფერი მოიმოქმედეს ქვეყნის მდგომარეობის გასაუარესებლად. საერთაშორისო პოლიტიკის ხაზით მათ გასწყვიტეს დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან; გაამწვავეს ურთიერთობა ამერიკასთან; ბოლდუინის კაბინეტი ყველაზე მეტად ილაშქრებდა შეიარაღების შემცირების წინააღმდეგ, აწარმოებდა სამხედრო მზადებას და ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს აძლიერებდა. შინაურ პოლიტიკის ხაზით მან გაადიდა სამუშაო დღე, შემოიღო პროფკავშირის უფლებათა შემზღუდველი კანონი და სხვ. მრეწველობა გასაღების და ნედლეულის ღრმა კრიზისს განიცდის, უმუშევართა არმია განუწყვეტლივ იზრდება და მათი მდგომარეობა აუტანელია.

კონსერვატორები ამაოდ ცდილობენ თავისი ასეთი „მოღვაწეობის" გათეთრებას. მეფის უკანასკნელი სეფე სიტყვა, რომელიც მთავრობის დეკლარაციას წარმოადგენს, სრულებით უმწეო შთაბეჭდილებას სტოვებს. იგი სიცრუითაა აღსავსე. გამოდის, თითქო მთავრობა მშვიდობიანობისა და შეიარაღების შემცირებაზე ზრუნავდა, ვითომ უმუშევართა მდგომარეობა გაუმჯობესებული იყოს და სხვ. აბა ვინ დაიჯერებს ასეთ ხალას ტყუილს. ფაქტები ხომ თავისთავად მეტყველებენ. სხვათა შორის, საგულისხმოა ერთი წვრილმანი: სეფე სიტყვაში ნათქვამია, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს გადასდვას ფონდი რადიუმის შესაძენად კუს ავადმყოფობის სამკურნალოდ. საქები ღონისძიებაა ამ სენით დაავადებულთა შესახებ ზრუნვა. მაგრამ რას იტყვით იმაზე, რომ ამგვარი საშინელი სენით დაავადებულია არა მარტო ზოგიერთი ადამიანი, არამედ მთელი ინგლისის კაპიტალიზმი. არა მგონია, რომ რადიუმმა მისი გადარჩენა შესძლოს.

მაინც როგორ აპირებენ შუბლმაგარნი ამომრჩეველთა სასტიკი მსჯავრისაგან თავის დაღწევას? ისინი კვლავ ძველი, გატკეპნილი გზით მიდიან. მათ სურთ დაახლოებით 1924 წლის ისტორია განიმეორონ, როცა „ზინოვიევის წერილმა" მათ „სულზე მოუსწრო". სიყალბე, პროვოკაცია, მოსახლეობის წითელ საფრთხით დაშინება— კვლავ ასეთია კონსერვატორების „მეთოდი". ამ მიზნით ისინი პირველ ყოვლისა ინდოეთის ამბებს იყენებენ. —მხოლოდ კონსერვატორები შესძლებენ რევოლუციონურ მოძრაობის მოსპობას ამ უზარმაზარ კოლონიაში, მის შენარჩუნებას და ინგლისის იმპერიის გადარჩენას — ეუბნებიან ისინი ობივატელურ მასებს. შუბლმაგარნი, რა თქმა უნდა, გაჩუმებას არჩევენ ამ მოძრაობის ნამდვილ მიზეზებზე, რომელთა შორის უმთავრესია ინგლისის იმპერიალიზმის მხრით მასების უსაზღვრო ექსპლოატაცია და ინდოეთის ნაციონალურ უფლებების ფეხქვეშ გათელვა.

სამაგიეროდ ისინი ინდოეთის ამბებში „მოსკოვის ხელს" ხედავენ. —საბჭოთა კავშირი ინგლისის მოსპობას ცდილობს და ამიტომ მასთან ურთიერთობის აღდგენა შეუძლებელია,— აცხადებენ ისინი. „თვით" ბოლდუინი თავის წინასწარ საარჩევნო სიტყვაში ასეთ „სიბრძნეს" გადმოგვცემს: „ჩემი აზრით, ინგლისის კაპიტალის დაბანდება ინგლისურ საწარმოებში, ალბად, უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდება ქვეყნისათვის, ვიდრე სპეკულიატური სესხები და კრედიტების გარანტიები, რის მიცემას მოითხოვენ იმ სახელმწიფოსათვის, რომელმაც თავისი საკუთარი საშუალებები გაფლანგა კაპიტალიზმთან ამაო ომში და, რომელსაც დღემდე ჩვენდამი არც მეგობრული განწყობილება გამოუჩენია, რაც წინანდელ ვალდებულებათა ცნობის სურვილი"-ო, ამგვარად შუბლმაგარნი ძველ ზღაპრებს იმეორებენ. განა მტკიცება უნდა, რომ საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ გადაუდგამს ნაბიჯი ინგლისთან ნორმალურ ურთიერთობის აღსადგენად, მაგრამ კონსერვატორები ამის საპასუხოდ ყოველთვის ანტისაბჭოთა კამპანიას აძლიერებდნენ. აგრეთვე არ ღირს ბოლდუინის პროვოკაციის გაბათილება ჩვენი რესურსების გამოყენების შესახებ: ყველამ იცის, რომ ჩვენი საშუალებები სოციალისტურ მშენებლობას ხმარდება. ამ აზრით კი მართლა შეიძლება ლაპარაკი, რომ ჩვენ კაპიტალიზმთან ომს ვაწარმოებთ, მაგრამ არა ამაო ომს, არამედ დიდი წარმატებით: ჩვენი მიღწევები სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე მსოფლიო კაპიტალიზმისათვის ძირის გამოთხრას ნიშნავს. ჩვენ არ შევჩერდებით ინგლისის იმპერიალისტების პრეტენზიებზე ვალების საკითხში; ეს პრეტენზიები მხოლოდ მათ შეურიგებლობას მოწმობენ საბჭოთა კავშირის მიმართ. რაც შეეხება მტკიცებას, თითქო უფრო ხელსაყრელი იყოს ინგლისის კაპიტალის დაბანდება ინგლისის საწარმოებში, ვიდრე საბჭოთა კავშირში,— ეს ხომ ცარიელი სიტყვებია. მთელი საქმე ისაა, რომ ინგლისის მრეწველობა ისეთ კრიზისს განიცდის, რომ იქ კაპიტალის დაბანდება შეუძლებელი ხდება. ამიტომაა, რომ იგი ასე გამალებით ეძებს გარეშე ბაზრებს. და აქ საბჭოთა ბაზარი დიდ შესაძლებლობას წარმოადგენს. ამას აღიარებენ ინგლისელი მრეწველებიც, რომელთა დელეგაცია ამას წინედ საბჭოთა კავშირს ეწვია.

აქედან — ინგლისში ძლიერდება მოძრაობა საბჭოთა კავშირთან დაახლოებისათვის. ამას იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ „ოპოზიციონურმა" ბურჟუაზიულმა პარტიებმა (ლიბერალები და „მუშათა" პარტია), რომელთა საარჩევნო პლატფორმაში ჩვენთან ურთიერთობის აღდგენის მოთხოვნას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. რა თქმა უნდა, ლოიდ ჯორჯსა და მაკდონალდს არავინ დასწამებს საბჭოთა კავშირისადმი სიმპატიას, მაგრამ ეკონომიური აუცილებლობა, არჩევნებში კონსერვატორების დამარცხების და ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილი მათ ამას უკარნახებს. და მოსალოდნელია, რომ, სხვა ძირითად მიზეზებს შორის, შუბლმაგართა ანტისაბჭოთა პოლიტიკა მათ ბატონობას ბოლოს მოუღებს.

* * *

მუნიციპალური არჩევნების შედეგები საფრანგეთში საბოლოოდ გამოირკვა. კომუნისტებმა, როგორც პარიზში, ისე პროვინციებში მეტად თვალსაჩინო გამარჯვებას მიაღწიეს. მათ არამც თუ შეინარჩუნეს წინად მოპოვებული პოზიციები, არამედ კიდევ უფრო გააძლიერეს თავისი გავლენა. მათი ხმების რაოდენობა მნიშვნელოვნად გადიდდა. მათ უკვე ჰყავთ უმრავლესობა დედაქალაქის მთელ რიგ საუბნო და აგრეთვე ადგილობრივ თვითმმართველობებში... განსაკუთრებით საგულისხმოა კომუნისტების გამარჯვება სამრეწველო რაიონებში.

ასეთი შედეგის მთელი მნიშვნელობა ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმ პირობებს, რომლებშიაც კომუნისტებს საარჩევნო ბრძოლა უხდებოდათ. ბურჟუაზიული პარტიები და სოციალისტები ბევრგან მთლიანი ფრონტით გამოდიოდნენ კომუნისტების წინააღმდეგ; ისინი გაერთიანებულ სიას უპირდაპირებდნენ კომპარტიის კანდიდატებს. მაგრამ ამან ვერ გასჭრა. რეფორმისტებმა ამ გზით არამც თუ ვერ შესძლეს თავის საშიშ კონკურენტების განაპირება, არამედ თვით იწვნიეს საგრძნობი დამარცხება. მაგალითად, პარიზში მათ დაჰკარგეს 27.000 ხმა. აქედან მუშურმა ნაწილმა მხარი დაუჭირა კომუნისტებს, რომელთა ხმები პარიზში ათი ათასით გაიზარდა. სულ კომუნისტებმა პარიზში მიიღეს ასი ათასი ხმა (ათი პროცენტით მეტი 1927 წელთან შედარებით).

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მუნიციპალური არჩევნები უშუალოდ ჩატარდა პირველ მაისის დღესასწაულის შემდეგ. როგორც ვიცით, რეაქციონურმა ხელისუფლებამ სასტიკი რეპრესიები მიიღო მუშების საპირველმაისო გამოსვლების აღსაკვეთად, რითაც მას განზრახვა ჰქონდა ხსენებულ არჩევნებთან დაკავშირებით პროლეტარიატის რიგებში დეზორგანიზაციის შეტანაც. მაგრამ პარიზის მუშათა კლასი ამას არ შეუშინდა: პირველ მაისსაც გამოააშკარავა მან თავისი რევოლუციონური ნებისყოფა გრანდიოზული დემონსტრაციებით და არჩევნებშიც ბრწყინვალედ გაიმარჯვა.

თავისთავად რაც შეზღუდული არ უნდა იყოს საფრანგეთში მუნიციპალიტეტების უფლებანი და ფუნქციები (მათი ნამდვილ ბატონ-პატრონებს დანიშნული პრეფექტები წარმოადგენენ), მაინც იქ პოზიციების დაპყრობას უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ თვითმმართველობათა დელეგატები თვალსაჩინო მონაწილეობას იღებენ სენატორების არჩევაში, არამედ უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს თვითმმართველობები ერთ-ერთი ასპარეზია ბრძოლისათვის პარტიების გავლენის განსამტკიცებლად და გასაძლიერებლად. ჩატარებულ არჩევნების მთავარი დასკვნა კი ის არის, რომ მათ დაგვანახეს საფრანგეთის მუშათა კლასის გამემარცხენების პროცესი.

ამავე დროს საყურადღებოა, რომ არჩევნებმა გამოაშკარავეს ეგრედწოდებული შუათანა დაჯგუფებათა დასუსტება. ზევით ჩვენ აღვნიშნეთ სოციალისტების დამარცხება. აგრეთვე ბევრგან რადიკალებმაც დაჰკარგეს ხმების საგრძნობი რაოდენობა. კომპარტია ეხლა უფრო მკაფიოდ, ვიდრე წინად, გამოვიდა ლოზუნგით — კლასი კლასის წინააღმდეგ, რამაც ხელი შეუწყო სოციალურ ატმოსფერის გაწმენდას და პროლეტარიატის შემდგომ კლასობრივ გათვითცნობიერებას, რაც სოციალ - გამცემლების გარიყვის და რევოლუციონურ ბრძოლის წარმატების საწინდარია.

* * *

საბჭოთა ტერიტორიაზე (ტაჯიკისტანზე) ავღანისტანიდან გადმოსული ბასმაჩების პირველი ბანდები წითელმა არმიამ თუმცა გაანადგურა, მაგრამ ეს კონტრ-რევოლუციონური მოძრაობა საბოლოოდ არ არის აღმოფხვრილი. მოსალოდნელია, რომ თავდასხმა კვლავ განმეორდეს. ამ მხრივ მზადება წარმოებს ჩრდილოეთ ავღანისტანში, რომელიც ტაჯიკისტანს (ყოფ. ბუხარას) ესაზღვრება.

ყველასათვის აშკარაა, რომ ამ გამოსვლებს ლონდონი ხელმძღვანელობს. ავანტიურისტებს ინგლისის მთავრობა ამარაგებს ფულით, იარაღით და სხვა სამხედრო მასალით, ამავე დროს ბასმაჩებს ქაბულის სატრაპი ბაჩე საკაო უმაგრებს ზურგს. მის მიერ მოწვეულ ჯირგაში („სახალხო საბჭო") მონაწილეობდნენ ბუხარის ყოფ. ემირი ალი-ხან, ბასმაჩების მეთაური იბრაგიმ-ხან და შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკებიდან გადახიზნული სხვა ემიგრანტები, სადაც ისინი ამ რესპუბლიკების წინააღმდეგ შეტევაზე „მსჯელობდნენ". ბაჩე-საკაო ამ შემთხვევაში მოქმედობს ინგლისელ იმპერიალისტების კარნახით; ამასთან მას ამოძრავებს სიძულვილი საბჭოთა კავშირის მიმართ, რომლის თანაგრძნობას ამანულას ჯგუფისადმი იგი ვერ ინელებს. ის „მართლმორწმუნე"—ბუხარის აღდგენაზე ოცნებობს და ამ მიზნით მის ყოფილ მმართველთ დახმარებას პირდება. მაგრამ ხაბიბულას თვითონ რა აქვს, სხვას რომ დახმარება მისცეს: მისი შინაური მდგომარეობა ძალზე გართულებულია; რაიმე საშუალებები მას არ გააჩნია. ცხადია, რომ მისი პირით ლაპარაკობს ინგლისის იმპერიალიზმი, რომლის ყურმოჭრილ მონას იგი წარმოადგენს.

ინგლისი თავის ანტისაბჭოთა მიზნებისათვის იყენებს ხაბიბულასთან ერთად ბუხარის ყოფილ ემირსა და ფეოდალებს, რომელნიც 1921 წ. ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ გაძევებულ იქნენ და რომელნიც ამჟამად უმთავრესად ავღანისტანის ჩრდილოეთ ნაწილში არიან მოკალათებული. ამასთან იქ ბლომად მოიპოვებიან ადგილობრივი ბანდები, რომელნიც მზად არიან ხელის მოთბობის, ძარცვის მიზნით საბჭოთა კავშირში შემოიჭრან. ინგლისელი აგენტები მათ თავს უყრიან. ამ გზით ლონდონი ცდილობს ავღანისტან-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გამწვავებას და ავღანისტანის გადაქცევას ანტისაბჭოთა მოქმედების ბაზად.

აქვს თუ არა რაიმე ნიადაგი კონტრ-რევოლუციას შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკაში? იქ საბჭოთა ხელისუფლებამ გადაჭრილი ნაბიჯი გადადგა ფეოდალურ ნაშთების ლიკვიდაციისათვის და ბარბაროსული ყოფაცხოვრების გარდასაქმნელად. წარმოებს ამ რესპუბლიკების ეკონომიური და კულტურული გადახალისება, ეს, რა თქმა უნდა, ბოლოს უღებს ძველი წყობილების ელემენტებს. მათ შორის ლახვარი ჩაეცა ბასმაჩების თარეშს. ბასმაჩები, რომელნიც ფეოდალიზმის მსხვრევის და სავაჭრო კაპიტალის განვითარების პირველ ხანებში უმთავრესად გალატაკებულ და დეკლასირებულ გლეხთა ელემენტებისაგან ყალიბდებოდნენ და რომელნიც მაშინ ერთგვარ პროგრესიულ როლს თამაშობდნენ თვითმპყრობელობასთან და ეკონომიურ ექსპლოატაციისაგან ბრძოლაში, შემდეგში გადაიქცნენ მშრომელ ხალხის დამბრგვავ ბრბოებად. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ისინი უფრო გახდნენ აშკარა კონტრ-რევოლუციონურ ძალად, რომელიც ერთი მხრით აფერხებს ახალ მშენებლობას, ხოლო მეორე მხრით გაძევებულ ემიგრანტებისა და მათ მფარველ იმპერიალისტების ხელში იარაღს წარმოადგენს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ამგვარად, ჩვენ გვაქვს საქმე შინაურ კონტრ-რევოლუციის და იმპერიალიზმის გაერთიანებულ გამოსვლასთან. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს გამოსვლა მტკიცე ხელით საბოლოოდ იქნება ალკვეთილი. ამავე დროს უფრო უნდა დაჩქარდეს შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების შინაური ცხოვრების გარდაქმნა და ყოველივე დახავსებულის მოსპობა, რომ ახლანდელ ავანტიურის მსგავს რამის განმეორება შეუძლებელი შეიქნეს.

გ. კ—ლი.

ეროვნული

სოციალისტური შეჯიბრების ფრონტზე

ბორჯომის სატკეჩე ქარხანაში პროდუქციის თვითღირებულება საგრძნობლად შემცირდა

„მკერავი"-ს პირველ ქარხანაში სამუშაო საათების გაცდენას ბოლო არ ეღება

შეჯიბრება ა.-კ. და ჩრდილო.-კავკასიის რკინის გზებს შორის

ამ.-კავკასიის რკ. გზის გამგეობამ და საგზაო კომიტეტმა ჩრდილოეთ-კავკასიის რკ. გზის გამგეობის გამოწვევა სოციალისტურ შეჯიბრებაში მოძრავ შემადგენლობის შეკეთების ფინანსიური და ტეხნიკური გეგმის შესრულების მხრივ მიიღეს.

ამის შესახებ გუშინ გზის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ვ. პოზდეევის და საგზაო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. პ. საბაშვილის ხელისმოწერით ჩრდილოეთ-კავკასიის რკ. გზის გამგეობის თავმჯდომარეს გაეგზავნა სათანადო დეპეშა.

თავის მხრივ ა.-კ. რკ. გზის გამგეობამ და საგზაო კომიტეტმა აცნობეს ჩრდილოეთ-კავკასიის რკინის გზას, რომ ისინი იწვევენ მას სამაგიერო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

შეჯიბრების პირობად აღებულია მატარებლების მოძრაობა ცხრილის მიხედვით და ვაგონისა და ორთქლმავლების საშუალო დღიური გარბენის შემცირება.

ამის გამო, გუშინ ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტში მოწვეულ იქნა კომიტეტის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ გზის გამგეობის წარმომადგენლები ამხ. პოზდეევის მეთაურობით.

სხდომაზე განიხილეს ხელშეკრულების პროექტი, რომელიც უნდა დაიდოს ა.-კავკასიის და ჩრდილო-კავკასიის რკინის გზებს შორის.

ხელშეკრულება დადებული იქნება ოთხი თვის ვადით—1 ივნისიდან 30 სექტემბრამდე.

პროექტის განხილვის შემდეგ არჩეულ იქნა დელეგაცია, რომელიც გაიგზავნება როსტოვში ჩრდილოეთ-კავკასიის რკ. გზასთან სოციალისტური ხელშეკრულებების დასადებად.

დელეგატებად არჩეულ იქნენ: ამხ. უსტიაშვილი (საგზაო კომიტეტიდან), ინჟ. აბუაშვილი და აქსიონოვი (გზის გამგეობიდან), ამხ. გრებენნიკოვი (კომკავშირიდან, ახალგაზრდათა შორის მომუშავე), ინჟ. ხოჯაშვილი (ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციის საგზაო ბიუროდან) და რვა წარმომადგენელი უბნებიდან: ორი—თბილისიდან, ორი ბაქოდან და თითო—სამტრედიიდან, ხაშურიდან, განჯიდან და ლენინაკანიდან.

დელეგაცია თბილისიდან გაემგზავრება ორშაბათს, 20 მაისს და როსტოვში იქნება 23 მაისს.

სოციალისტურ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა მოხდება ჩრდილოეთ-კავკასიის რკინისგზელთა საგზაო ყრილობაზე.

სამუშაო დროს უნაყოფოდ ნუ გავაცდენთ

„მკერავი"-ს პირველ ქარხნის მუშებმა შეიგნეს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს სოციალისტურ შეჯიბრებას წარმოების გაუმჯობესების საქმეში. ქარხანაში მუშები დღეს უფრო მეტის შეგნებითა და ენერგიით მუშაობენ, ვიდრე ეს იყო სოციალისტური შეჯიბრების გამოცხადებამდე. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი მუშები ჯერ კიდევ ვერ აფასებენ სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობას და ისინი კვლავ აცდენენ სამუშაო საათებს უმიზეზოთ. ცხადია, ასეთების წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები.

29 აპრილიდან 11 მაისამდე ქარხანაში უმიზეზოთ გააცდინეს 10 სამუშაო დღე. აქედან თითო დღე გააცდინა ეგიაზაროვმა, ქორიძემ და როსტიაშვილმა; ორი დღე გააცდინეს: დოლიძემ, კიკაბიძემ და ფხაკაძემ; სასტიკი გაფრთხილება მიეცა მუშა ბალდასაროვს, რომელიც ღვინო ნასვამი გამოცხადდა სამუშაოზე. ავადმყოფობის მიზეზით გაცდენილია 161 სამუშაო დღე, ადმინისტრაციის ნებართვით 55 სამუშაო საათი; დაგვიანების მიზეზით გასცდა 45 სამუშაო საათი; აქედან 15 მუშამ დააგვიანა 10 წუთი. აღნიშნული ფაქტები ამტკიცებენ იმას, რომ საჭიროა „მკერავი"-ს ქარხანაში უფრო ფართედ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება და ხელი შევუწყოთ ქარხანაში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების გაზრდას და თვითღირებულების შემცირებას.

ხ.

შეჯიბრება დაგვიანებით დაიწყეს
(კ. წ.-დ. არმიის ტიპო-ლიტოგრაფია)

კავკასიის წითელ - დროშოვან არმიის ტიპო-ლიტოგრაფია აერთიანებს 98 მუშა-მოსამსახურეს. სამუშაო საათების გაცდენისა და ლოთობის შემთხვევები ტიპო-ლიტოგრაფიაში არ იყო ხშირი მოვლენა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოციალისტურ შეჯიბრებას ნაკლები ყურადღება მივაქციოთ და ხელი არ შევუწყოთ მის ფართედ გაშლას. შეჯიბრების ხუთეული ტიპო-ლიტოგრაფიაში გამოყოფილი იქნა მხოლოდ მაისის პირველ რიცხვებში, მაგრამ დღემდე ხუთეულს ბევრი არაფერი გაუკეთებია. არა აქვთ ჯერ კიდევ სწორი ცნობები, თუ როგორ ჩატარდა ტიპო-ლიტოგრაფიაში სოციალისტური შეჯიბრების პირველი კვირა. როგორც მუშები გადმოგვცემენ შეჯიბრების პირველ კვირას სამუშაოზე დაგვიანების დრო არ აღემატებოდა 3—5 წუთს. წინათ კი ამ მხრივ საქმე არ იყო თავის რიგზე.

დადებითად უნდა ჩაითვალოს ტიპო-ლიტოგრაფიაში ის გარემოება, რომ აქ განსაკუთრებული გამოყოფილი კომისიის საშუალებით გამოკვლეულ იქნა ტიპო-ლიტოგრაფიის მუშაობის მდგომარეობა ყოველ მხრივ. კომისიის მოხსენება მოსმენილი იქნა საწარმოო თათბირის სხდომაზე. მუშებმა შეიტანეს მთელი რიგი წინადადებები წარმოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

გ.

ჩვენი ქარხნის მდგომარეობა
(ბორჯომი)

ბორჯომის საკასრე ქარხანაში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 650 კაცს. ამათში 50 ქალია. მომუშავეთა დღიური ხელფასი 1925 — 27 წელს საშუალოდ უდრიდა 1—73 კაპ. თვეში 42 მან 39 კაპ. 27—28 წელში დღიური ხელფასი საშუალოდ 2—16 კაპ. იყო. თვიურად 52—02 კაპ., 28—29 წ. კი დღიური ხელფასი თვითეულ მუშისა 2—63 კ. თვეში 67 მან. ამგვარად ხუთი წლის განმავლობაში მუშების ხელფასი გაიზარდა ერთ-ნახევარჯერ, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ქარხანამ სისტემატიური მუშაობა დაიწყო 1927 წ. 15 მარტიდან. ამ ხნის განმავლობაში ქარხანამ დაამზადა: პირველი ხარისხის 49,719 კომპლექტი, მეორე ხარისხის 63.945 კომპლექტი, ხოლო მესამე ხარისხის 32.885 კომპლ. სულ 146.519 კომპლ. 27—28 წ. დამზადებული იქნა: პირველი ხარისხის 216.535, კომპლ., მეორე ხარისხის 198.193 კომპლ. მესამე ხარისხის — 43.500 კომპ. წითელი ტკეჩი 8,745 კომპ., 27—28 წელში დამზადდა სულ 466.973 კომპლექტი., 28—29 წ. პირველ კვარტალში დამზადებულია 1-ლ ხარისხის 57.288 კომპლ. მეორე ხარისხის 28.830 კომპ. მხოლოდ მესამე ხარისხის 19,749 კომპ. წითელი ტკეჩი 75 კომპლ. სულ 125.942 კომპლექტი. ამ კომპლექტებზე დაიხარჯა ნედლეული მასალა: 1926 — 27 წ. 307.299 კუბ. ფუტი., 27—28 წ. 61.388 ფ., ხოლო 1928—29 წ. 121.592 კ. ფ.

პროდუქციის თვითღირებულება: 26—27 წ. ერთი კომპლექტის გაკეთება დაჯდა 1—74 კ., 27—28 წ. 1—87 კ., 28—29 წ. 1—36 კ., ჩვენ კი ვყიდით: პირველ ხარისხის 26—27 წ. 1—25 კ., მეორე ხარ. 1—15 კ., და მესამე ხარ. 80 კ., 27—28 წ.—1 ხარისხის—1—97 კაპ., მე-2 ხარისხის 1—88, კაპ., მე-3 ხარისხის 99 კაპ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მუშები გულგრილობას იჩენენ სამუშაოზე. ხშირია შემთხვევა, როცა მუშები სამ-ოთხ დღეს აცდენენ. 27—28 წელს არა საპატიო მიზეზით გაცდენილია 905 კაც-დღე, ხოლო 28—29 წელს გაცდენილია 249 კაც-დღე. თუ ასეთი შემთხვევები განმეორდება მომავალში, ყოვლად შეუძლებელი გახდება შრომის ნაყოფიერების აწევა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. ერთის მხრივ ამით აიხსნება ის, რომ 1927 წლის განმავლობაში ქარხანამ იზარალა 142.000 მანეთი, 1928 წელს 126.000 მანეთი. ვფიქრობთ, რომ მომავალშიაც განმეორდება ეს მოვლენა, თუ ამ თავითვე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად. მეორეს მხრივ, ზარალი გამოიწვია იმან, რომ საკურორტო სამმართველო იძლევა უვარგის მასალას, რომლიდანაც არ გამოდის ტკეჩი და მიდის როგორც საწვავი მასალა. საჭიროა ამ გარემოებასაც მიექცეს სათანადო ყურადღება და ქარხანა უზრუნველყოფილ იქნეს კარგი ხარისხის ნედლი მასალით.

გ. უ—შვილი.

ვეჯიბრებით ქუთაისის ქაღ.-სალფ. ქარხანას

თბილისის აბრეშუმის პირველი საქსოვი ფაბრიკა აერთიანებს 118 მუშა-მოსამსახურეს. აპრილის პირველ რიცხვებიდანვე ფაბრიკაში გამოცხადდა სოციალისტური შეჯიბრება, რისთვისაც გამოიყო ხუთეული. ხუთეულის მიერ შედგენილი ცნობების მიხედვით 10 აპრილიდან—20 აპრილამდე გაცდენილი იქნა უმიზეზოთ მხოლოდ 9 საათი და 50 წუთი. ფაბრიკაში შინა განაწესი მტკიცედ ტარდება. ვინც დააგვიანებს სამუშაოს 10 წუთით ის დაჯარიმებულია სამუშაოზე ნახევარი დღით, ვინც იგვიანებს 15 წუთით მას სრულიად აღარ უშვებენ სამუშაოზე. ლოთობას, სამუშაოს საათების უმიზეზოთ გაცდენის ხშირ მოვლენას ფაბრიკაში ადგილი არა აქვს. გამოდის კედლის გაზეთი, რომელშიაც ფართოდ შუქდება სოციალისტური შეჯიბრების საკითხები. გამოკიდულია შავი დაფა სამუშაო საათების გაცდენილთათვის და სხვ.

ქარხანას დიდ მიღწევად უნდა ჩაეთვალოს ის გარემოება, რომ აქ ხშირად ტარდება ტეხნიკური თათბირები, ასე მაგ., ტეხნიკური თათბირი ჩატარდა ა.-წ. 30 აპრილს, 12 მაისს და 14 მაისს. ამ თათბირებზე უმთავრესად ირჩეოდა შემდეგი საკითხები: შრომის დისციპლინის შესახებ, შვებულთა შესახებ და სოციალისტური შეჯიბრების საკითხები. უკანასკნელ თათბირზე დადგენილ იქნა, რომ პროდუქციის თვითღირებულება 17 პროც. მაგიერ, როგორც ეს განსაზღვრულია, **შემცირებულ იქნეს 18 პროცენტით. დღემდე პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 11 პროცენტით.** ა. წ. 14 მაისს, ტეხნიკურმა თათბირმა დაადგინა შეჯიბრებაში გამოიწვიოს **ქუთაისის ახლად დაარსებული ქაღ.-სალფ. ქარხანა.** შეჯიბრების ხელშეკრულების დასადებათ მოკლე ხანში კომისია გაემგზავრება ქუთაისში. შეჯიბრების ხელშეკრულების პროექტში აღნიშნულია, რომ ქუთაისის ქაღ.-სალფ. ქარხანამ პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 18 პროცენტით, გააუმჯობესოს ქსოვილების ხარისხი, განამტკიცოს შრომის დისციპლინა, გაადიდოს შრომის ნაყოფიერება და სხვ.

მ.

ღირსეულად ვაფასებთ

დღეს, პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებული მუშათა დრამატიული წრე, თავის წევრ—გრიშა პავლიაშვილს უმართავს საპატივსაცემო საღამოს მისი 25 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო. ამხ. გრიშა ღარიბი ოჯახის შვილია. ის, როგორც მშრომელი ოჯახის წევრი, იზრდებოდა და მუშაობდა მუშურ წრეებში. ეს მჭიდრო კავშირი მუშებთან პავლიაშვილს არ გაუწყვეტია. იგი, გარდა თავისი პირადი საქმისა, საზოგადო მუშაობას ეწევა მუშათა ჯგუფებში. ჯერ კიდევ 25 წლის წინად, მაშინ, როდესაც მუშათა კლასს არ ჰქონდა საშუალება გათვითცნობიერებისა, ამხ. გ. პავლიაშვილი ბაქოს შავ ქალაქში პირველად გამოდის თეატრის სცენაზე და თავისი თამაშით განცვიფრებაში მოჰყავს მუშათა აუდიტორია. შავ ქალაქში თეატრის დახურვის შემდეგ, ამხ. გრიშა, შ. დადიანთან ი. ზარდალიშვილთან და ნიკო გვარაძესთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ბაქოს ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზ-ბის დრამატიულ წრეში.

თბილისის პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში ამხ. გრიშა, ერთი აქტიურ მომუშავეთ ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ პავლიაშვილი ძალიან არის დატვირთული საქმეებით, იგი მაინც ერთგულად და პირნათლად ასრულებს საზოგადოებრივ სამუშაოს. ამხ. სტალინის სახელობის ვაგონების შემკეთებელი ქარხნისა და თბ. დეპოს მუშები, ამხ. პავლიაშვილს იცნობენ, როგორც თავდადებულ საზოგადო მოღვაწეს. 25 წლის განმავლობაში დაუღალავი სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად, პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობა უმართავს საღამოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რკინისგზელი მუშები ღირსეულად დააფასებენ ძველი სცენის მოყვარეს, გრიშა პავლიაშვილს.

ტ. კიზირია.

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის საქვაბე სამქრო. ქვაბის ნაწილების ავტოგენური შედუღება

ჟურნალი „საქართველოს მუშ-გლეხკორი"

უკანასკნელ წლების განმავლობაში საქართველოში მუშ-გლეხკორთა მოძრაობის გაძლიერებამ გადაუდებელ ამოცანად დასვა საკითხი ისეთი ჟურნალის გამოცემის შესახებ, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა ამ მოძრაობას. მუშ-გლეხკორთა სპეციალური ჟურნალები დიდი ხანია გამოდის საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში და თვით ცალკე ოლქებშიაც, ხოლო ჩვენში დღემდის ამ საკითხის მოგვარება ვერ შევძელით.

მუშგლეხკორთა მე-4 საკავშირო თათბირმა მიიღო გარკვეული დადგენილება ყველა ნაციონალურ რესპუბლიკებში მუშ-გლეხკორთა ჟურნალის გამოცემის შესახებ. ასეთივე დადგენილება გამოიტანა სრ. საქართველოს მუშ-გლეხკორთა პირველ თათბირმაც და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიჭრა ეს საკითხი დადებითად. დღეიდან რეგულიარულად გამოიცემა მუშ-გლეხკორთა სახელმძღვანელო ორგანო „საქართველოს მუშ-გლეხკორი". ჟურნალის პირველი ნომერი უკვე გამოვიდა. მის მეთაურ წერილში ვკითხულობთ:

„დღეიდან იწყებს გამოსვლას ჟურნალი „საქართველოს მუშ - გლეხკორი". ამ ჟურნალის დაარსება უთუოდ დიდად საგულისხმო მოვლენად ჩაითვლება საქართველოს მუშ-გლეხკორთა მოძრაობის ისტორიაში. პირველ ყოვლისა ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ უკანასკნელი რვა წლის მანძილზე საქართველოში აღიზარდა სრულიად ახალი, დიდი საზოგადოებრივი ძალა, მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მასების სახით".

რით უნდა დაეხმარონ მუშა და გლეხი კორესპონდენტები „საქართველოს მუშ-გლეხკორს"

„განსაკუთრებული მნიშვნელობა — ამბობს მეთაური წერილი — აქვს ამ შემთხვევაში მუშა და გლეხ კორესპონდენტთა ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხებზე ცნობების მოწოდებას. მუშ-გლეხკორთა მოძრაობის არც ერთი, ცოტად თუ ბევრად ღირსშესანიშნავი ფაქტი არ უნდა დარჩეს გაუშუქებელი საქართველოს „მუშ-გლეხკორში". მეორე, რასაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი წარმატებითი მუშაობისათვის, ესაა „საქართველოს მუშგლეხკორი"-ს რაც შეიძლება ფართედ გავრცელება. არავინ იფიქროს, თითქოს „საქართველოს მუშგლეხკორი" დანიშნულია მხოლოდ მუშა და გლეხ კორესპონდენტებისა და პრესის მუშაკებისათვის. მუშ-გლეხკორთა მოძრაობა ჩვენი საზოგადოებრივობის, ჩვენი აღმშენებლობის პირმშო შვილია ამიტომაა, რომ პარტია და ხელისუფლება ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ მოძრაობას. მუშ-გლეხკორთა შორის მუშაობის საკითხებს უნდა იცნობდეს ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალურ კავშირების და სხვ. ორგანიზაცია-დაწესებულებათა აქტიური მუშაკები".

ხოლო ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ ჩვენში ყველაფერი რიგზე იყოს.

ბევრს არ აქვს შეთვისებული მუშ-გლეხკორთა უდიდესი როლი სოც. აღმშენებლობაში, არ იცნობენ პარტიის დირექტივებს და მუშ-გლეხკორთა თათბირების დადგენილებებს, არ იციან, თუ როგორი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მუშ-გლეხკორთა მოძრაობას. ამიერიდან ეს ნაკლი უსათუოდ უნდა გამოსწორდეს, რასაც ხელს შეუწყობს ჟურნალი „საქართველოს მუშ-გლეხკორი".

თვითეული მუშა და გლეხი კორესპონდენტის მოვალეობაა დახმარება გაუწიოს ჟურნალს როგორც სათანადო წერილებისა და ილიუსტრაციების მიწოდებით, ისე ჟურნალის ფართედ გავრცელებით. არც ერთი კორესპონდენტი არ უნდა დარჩეს, რომელიც არ იწერდეს „საქართველოს მუშ-გლეხკორს".

ს. ე—ძე.

რა ხდება ადგილებზე

მზადება პარტიის წმენდისათვის

ბათუმი, 18 მაისი. საქართველოს კომპარტიის (ბ) აჭარისტანის ორგანიზაცია ენერგიულად ემზადება პარტიის წმენდისათვის. ყველა უჯრედში მოხდა ფართო კრებები უპარტიოთა მონაწილეობით. მოსმენილ იქნა მოხსენება პარტიის წმენდის შესახებ.

კამათში აქტიური მონაწილეობა მიიღეს უპარტიოებმა. კრებებზე გამოყოფილ იქნენ სამეულები წმენდისათვის მასალის მოსამზადებლად. (ადს).

მზადება ბავშთა საერთაშორისო კვირეულისათვის

ბათუმი, 18 მაისი. აჭარისტანში დამთავრდა მზადება ბავშთა საერთაშორისო კვირის ჩასატარებლად.

გამოცხადებულია კონკურსი საუკეთესო შრომის წრეზე, კედლის გაზეთზე და სხ. კვირის, 19 მაისს, მოხდება მთელი ორგანიზაციის საზეიმო კრება და მოეწყობა შრომის წრეების და კედლის გაზეთების გამოფენა.

კვირის განმავლობაში გაიმართება მოხსენებები, თვითმოქმედების საღამოები, ყოლუმ - კარნავალი სათანადო ლოზუნგებით. (ადს).

6.000 მანეთი ზღვის აბაზანების მოსაწყობად

სოხუმი, 18 მაისი. აღმასკომმა 6.000 მანეთი გადასცა ფსირცხის (ათონის) მეურნეობას ზღვის აბაზანების მოსაწყობად. აბაზანების მოწყობას ამ დღეებში შეუდგებიან. (ადს)

ზოოლოგიური ბაღი

სოხუმი, 18 მაისი. ამ დღეებში ოსტროუმოვის ხეობაში შეუდგებიან ზოოლოგიური ბაღის მოწყობას. გარდა მაიმუნების იშვიათი ჯიშებისა, ბაღში თავს მოუყრიან აფხაზეთის ცხოველთა სამეფოს იმ წარმომადგენლებს, რომლებიც გადაშენების გზას ადგანან (ჯიხვი, ირემი). წინასწარ გადაიდო 25.000 მან. შემდეგში ზოოლოგიური ბაღი ზოოლოგიურ პარკად გადაკეთდება. (ადს).

ვენახების აღდგენა

გურჯაანი, 16 მაისი. დამთავრდა რიხტერის სისტემით ნამყენი ვაზის დასამზადებელი მუშაობა. დაახლოვებით დამზადებულია 4.800.000 ძირი ნამყენი ვაზი, აქედან 1.600.000 ძირი დაამზადეს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა, 1.300.000 ძირი „სოფლის კავშირი"-ს სანერგეებმა, დანარჩენი,—უმთავრესად კოლექტივებმა. (ადს).

შავი ქვის ამოღება ფართოვდება

(საუბარი ჭიათურის შავი-ქვის ტრესტის თავმჯდომარე ამხ. კ. მოდებაძესთან)

ჭიათურიდან დაბრუნებულმა ჭიათურის შავი ქვის ტრესტის თავმჯდომარემ ამხ. მოდებაძემ ა.-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს განუცხადა:

„ამჟამად დამთავრებულია სამი სარეცხი ქარხნის კაპიტალური შეკეთება და სწარმოებს მათი გამოცდა. 20 მაისს დაიწყება მათი სრული ექსპლოატაცია. ამ დროიდან იმუშავებს 14 ქარხანა. უკანასკნელ ხანებში ყოველთვიურად სწარმოებს 90.000 ტონა მადნის ამოღება და ირეცხება 47.000 ტონა.

ჭიათურის შავი-ქვის ტრესტის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს—მადნის მოზიდვა ქარხნებიდან რკინის გზის ლიანდაგამდე. მიღებულია ზომები, რომ მადნის გატანას არაფერი აბრკოლებდეს.

როგორც ვიცით, 1924 წელს, როცა საბჭოთა მთავრობამ ჰარიმანს ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობა გადასცა, ჭიათურაში იყო 8 სარეცხი ქარხანა, რომლებიც ეკუთვნოდათ გერმანიისა, ინგლისისა და საბერძნეთის ფირმებს და რომლების ნაციონალიზაციაც არ მომხდარა. ეს ქარხნები კონცესიონერებმა იჯარით აიღეს მათი მფლობელებისაგან.

ჰარიმანთან დადებული ხელშეკრულების დარღვევის შემდეგ, საბჭოთა მთავრობამ მოლაპარაკება გამართა ქარხნების პატრონებთან. ეხლახან 6 ქარხანა, რომლებიც ინგლისის, საფრანგეთის და ბელგიის ფირმებს ეკუთვნოდა, ჭიათურის შავი-ქვის ტრესტის საკუთრებად გადავიდა. (ადს).

თათბირი კულტმუშაობის საკითხებზე

ამ დღეებში საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგა კავშირების კულტგანყოფილებათა გამგეების თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა კავშირების კულტმუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

მოსკოვის „რევოლიუციის თეატრის" მოსალოდნელი გასტროლების შესახებ თათბირმა დაადგინა: ვინაიდან მოსკოვის „რევოლიუციის თეატრს" დიდი მიღწევები აქვს, მისი დადგმები მაღალი მხატვრული ღირსებისაა და თეატრის გასტროლები თბილისში დიდ კულტურულ საქმედ უნდა იქნეს მიჩნეული, დაევალოს კავშირებს მიიღონ ზომები მასიური მაყურებლის მოსაზიდათ, ამ თეატრის წარმოდგენებზე. ფაბქარხადგილკომებმა უნდა მოაწყონ თეატრში კოლექტიური სიარული მიზნობრივი წარმოდგენების შესყიდვის გზით და მიიღონ ზომები აბონემენტებზე კოლექტიური ხელისმოწერის, ჩასატარებლად. შესყიდული უნდა იქნეს სულ ოთხი მიზნობრივი წარმოდგენა:

შემდეგ თათბირმა განიხილა შვებულთა შორის მუშაობის საკითხი და დაადგინა შვებულთა შორის მუშაობას ფართო ხასიათი მიეცეს. კავშირები უნდა შეუდგნენ სამისო მუშაობას, რისთვისაც შრომის სახ. კომისარიატიდან და სატარიფო-ეკონომიური განყოფილებიდან უნდა მიიღონ შვებულთა სიები.

კლუბებსა, წითელ კუთხეებსა და წარმოება-დაწესებულებებში უნდა მოეწყოს საცნობარო მუშაობა ყველა საკითხებზე, რომელიც სოფლად მუშაობასთანაა დაკავშირებული. კლუბებში და წითელ კუთხეებში უნდა მოეწყოს სათანადო კინო-ლექციები სასოფლო-სამეურნეო თემებზე, მოეწყოს შვებულთა ექსკურსიები ზოოტეხნიკურ სადგურზე, სასოფლო-სამეურნეო მუზეუმებში და სხვ.

შვებულთა გაცილებას საზეიმო ხასიათი უნდა ჰქონდეს და შვებულებს უნდა მიეცეს დავალება, რომ სოფლად აწარმოონ მუშაობა პარტიის და ხელისუფლების ამოცანების პოპულიარიზაციისათვის. ამისათვის საჭიროა საპროფკავშირო ბიბლიოთეკებმა შეარჩიონ სათანადო ლიტერატურა შვებულთათვის, გამოსცეს აგრეთვე საცნობარო ხასიათის ბროშურები და სხვ., რაც სოფლისა და ქალაქის კავშირის (საშეფო საზოგადოებას) უნდა დაევალოს.

ბავშთა საერთაშორისო კვირეული

რევოლიუციონური ნორჩი არმიის შემოწმების დღეები

მთელ მსოფლიოში დღეს იწყება ბავშთა რევოლიუციონური არმიის მეცხრე შემოწმება. მშრომელთა ბავშები ყველა ქვეყნისა, სადაც ბატონობენ კაპიტალისტები, მეცხრეჯერ გამოდიან წითელი დროშებით ქუჩებში და მოითხოვენ თავიანთი მძიმე ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციები უფრო და უფრო მეტის სიმტკიცით გააჩაღებენ ბრძოლას თავიანთ მჩაგვრელებთან, ბავშთა შრომის ექსპლოატაციისა და შევიწროების წინააღმდეგ, ეკლესიების ხელში სკოლების გადაცემის წინააღმდეგ, სკოლაში ბავშების ცემის წინააღმდეგ.



პიონერები ერთობიან დასვენების დროს

ბრძოლას ბავშთა საუკეთესო ცხოვრებისათვის, მათი პროლეტარული აღზრდისათვის. პიონერთა ორგანიზაციის თავისუფლებისათვის. ისინი მთელ მშრომელთაგან ერთად განაცხადებენ პროტესტს ახალ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, რომელსაც ბურჟუაზია ამზადებს, ისინი დაგმობენ ინგლისის ძალადობას ინდოეთში და მოითხოვენ საბჭოთა ქვეყნის ძმური კავშირის განმტკიცებას განთავისუფლებისათვის მებრძოლ ყველა ხალხთან.

ბავშთა კომუნისტური კავშირები მსოფლიოს 22 ქვეყანაში ამ კვირას გააძლიერებენ თავიანთ პროპაგანდას ბურჟუაზიულ სკოლაში, მოედნებზე, ქუჩებში, ოჯახებში და ბავშთა სხვადასხვა ბურჟუაზიულ ორგანიზაციებში, რომლებიც გონებას უხშობენ პროლეტარულ ბავშებს. ისინი წავლენ სოფლებშიც, რათა შეაკავშირონ გლეხთა ბავშებიც საერთო ბრძოლისათვის.

საქართველოს პიონერები, ისევე როგორც კავშირის პიონერები, ამ კვირას ჯამს გაუკეთებენ თავისი ორგანიზაციის რვა წლის არსებობას და შეუდგებიან მზადებას მასიური საზაფხულო (ბანაკად გასვლა) მუშაობისათვის, თავისუფლად გამართავენ ფართო დემონსტრაციებს თვალუწვდენელი საბჭოთა კავშირის სოფლებსა და ქალაქებში.

ვინ იცის რა მოხდება ამ შვიდის გამო,
(19-დან 25 მაისამდე) საბჭოთა
ფარგლების გარეთ, როგორ მ
ჩვენს პატარა მოძმეებს კაპი
ქვეყნებში. ჩვენ ათას ბავშვებს
თავში სახაზავი გამხეცებული მა
ლის მიერ, რამდენ ასეულ ბავშს
პოლიციელები რეზინის მათრახით
ლინის, ლონდონის, ნიუ-იორკის,
ვენის, ვარშავის და პეკინის ქუ

როგორ უნდა ჩატა ში

ბავშთა მეცხრე საერთაშორისო კვი
ჩასატარებლად 19—25 მაისამდე საქ.
ცეკამ და ცეკას ბავშთა კომუნისტურ
ზაციის ცენტრალურმა ბიურომ მიმარ
წოდებით და მისცა კონკრეტიული მ
ბანი კომკავშირისა და ნორჩ-პიონერთა
ნიზაციებს ადგილებზე.

მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ბავშ
ერთაშორისო კვირეულის პრაქტიკულ
არსად უნდა გადაიქცეს პიონერ ორგანიზ
ებისათვის ნამდვილი კლასობრივი
პოლიტიკური სახის მიცემა, პიონერთა
განიზაციების აქტივობის ზრდა, როგორც
ერთოდ სოციალისტური აღმშენებლობის
ქმეში, ისე მოსავლის გადიდებისათვის ბრძ
ლაში და საბჭოთა კავშირის თავდაცვითი უ

ეს უნდა იცოდნენ და ახსოვდეთ საბჭოთა კავშირის ბავშვებს. ისინი ყოველგვარი საშუალებით უნდა შეეცადონ, რათა განამტკიცონ ძმური კავშირი საზღვარგარეთელ ძმებთან, რათა დაეხმარონ მათ ბრძოლაში.

ბავშთა მეცხრე საერთაშორისო კვირეულის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ყოველმა პიონერმა უნდა შეიტანოს თავისი ინტერნაციონალური წვლილი —ინტერნაციონალური კაპეიკი.

ეს ფული, შეგროვილი ყველა პიონერთა კოლექტივებში, მოხმარდება პიონერთა მუშაობას ყველა ქვეყანაში. ამ კაპეიკებით ბავშთა კავშირები გამოუშვებენ კიდევ უფრო მეტ ფურცლებს, პლაკატებს, გაზეთებს, რათა გააცნონ მშრომელთ სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ, რათა პროლეტარულ ბავშვებს აუხსნან და განუმარტონ რევოლიუციონური ბრძოლის ლოზუნგები და ამოცანები.

ყოველმა კოლექტივმა, ყოველმა პიონერმა, ოქტომბრელმა და ყოველმა მოსწავლემ უნდა შეასრულოს თავისი საერთაშორისო მოვალეობა.

ბავშთა საერთაშორისო კვირაში შევამოწმებთ ჩვენს მუშაობას, გაუკეთებთ ჯამს ამ მუშაობას. ჩვენ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს ჩვენს მუშაობაში. საკუთარი ძალღონით ავიცილოთ ყველა ეს ნაკლი და განვავითაროთ ბავშების ინიციატივა და თვითმოქმედება. გავხადოთ ჩვენი მუშაობა უფრო ცოცხალი და საინტერესო.



პიონერთა გასამხედროება

ნორჩო პიონერებო, თავისუფალი საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ბავშებო, მეცხრე საერთაშორისო კვირაში დავეხმაროთ დასავლეთის მრავალმილიონიანი ხალხების ბავშებს, ხელი შევუწყოთ მათს მოძრაობას და იმ დიად ბრძოლას, რომელსაც აწარმოებენ მათი მამები და ძმები.

ბავშთა საერთაშორისო კვირა კაპიტალისტურ ქვეყნებში [illegible]

ქტივთან, ან მეზობელ, [illegible] რომელიმე პიონერ-ორგანიზაციასთან, უნდა მოეწყოს ფულის შეკრება კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა და გლეხთა ბავშების საბრძოლველ ფონდის გასაძლიერებლად, აგრეთვე უნდა მოხდეს ინტერნაციონალურ კაპიკის შეგროვება ყველა პიონერთა შორის, სადაც შესაძლებელი იქნება, უნდა ჩატარდეს კოლექტივების ახლოს არსებულ რაიონების ბავშთა კონფერენციები. კვირეულის ერთ-ერთ დღეს სკოლასთან ერთად უნდა გაიმართოს დილა, რომელიც მიეძღვნება საერთაშორისო კვირეულს. კოლექტივებში ჩატარებულ უნდა იქნეს სამი თვის საღამოები, უნდა მოეწყოს დემონსტრაციები, კარნავალები და სხვა.

ქალაქის კოლექტივებმა თავის მფარველობის ქვეშ უნდა აიყვანონ შინამოსამსახურეთა ქალიშვილები, ხოლო სოფლის კოლექტივებმა — მცირე წლოვანი მოჯამაგირე გოგონები და ბიჭები; უნდა ეწყობოდეს „მსუბუქი კავალერიის" თავდასხმები საბავშო სახლებზე ბავშთა მდგომარეობის გამოსარკვევად და სხვა.

ბავშთა დემონსტრაციის ჩატარების გეგმა
(თბილისი)

დღეს ბავშთა საერთაშორისო კვირეულის პირველი დღეა. თბილისში იგი აღინიშნება დიდი დემონსტრაციით, რომელსაც მონაწილეობას მიიღებს 40.000 პიონერი და თბილისის სკოლების მოწაფე. დემონსტრაციის ძირითადი ლოზუნგებია: კავშირის განმტკიცება დასავლეთ ევროპის მშრომელთა შვილებთან, პიონერების მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში, ბრძოლა ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის და სხვ.

პიონერების და მოწაფეების შეკრება იწარმოებს შემდეგ ადგილებში: ლენინის რაიონის ბავშები იკრიბებიან თავიანთ კლუბთან, ქალაქის რაიონის — ენგელსის ქუჩაზე და ყოფ. სამხედრო ტაძრის მოედანზე, 26 კომუნარის რაიონისა — კარლ მარქსის მოედანზე.

ყველა დემონსტრანტებს მიეცემათ ფერადი პლაკატები, ლოზუნგები, ნიღბები,

მთიელ ბავშთა სახლში

[illegible] სავალდებულოში შევიდა. იქ ერთ წელიწადს დარჩა და შემდეგ, მშობლებთან ერთად, დონის როსტოვში გადავიდა. 1912 წელს დაამთავრა კომერციული სასწავლებელი და შევიდა პეტერბურგის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ეკონომიურ განყოფილებაზე. ინსტიტუტში იგი საზოგადოებრივმა ცხოვრებამ გაიტაცა. ჯერ მუშაობდა სტუდენტთა ლეგალურ ორგანიზაციებში (ურთიერთ დამხმარე სალარო და სხვ.), ხოლო შემდეგ — არალეგალურ ორგანიზაციებში.

1913 წლის დამლევს პარტიაში შევიდა. პარტიაში აწარმოებდა რევოლიუციონურ-პარტიულ მუშაობას („ალექსანდრ"-ის სახელწოდებით) ჯერ სტუდენტებს შორის, ხოლო 1914 წლის შემოდგომიდან — ნევის რაიონის მუშებს შორის. იგი კანდიდატად ითვლებოდა უმაღლეს სასწავლებელთა ფრაქციის საოლქო კომიტეტში, იყო ნევის სარაიონო კომიტეტის წევრად. 1914 წლის მიწურულში ამხ. სირცოვი ორგანიზაციის სხვა წევრებთან ერთად დააპატიმრეს: ბრალდებოდა რ.ს.დ.მ.პ. (ბ) წევრობა. საქმე მის შესახებ გადაეცა ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს და 1915 წლის აგვისტოში გაირჩა პეტერბურგის სამხედრო - საოლქო სასამართლოში. სასამართლომ ამხ. სირცოვს მიუსაჯა 8 თვის ციხე წინასწარი პატიმრობის ჩათვლით. რადგან წინასწარ 9 თვე იყო დაპატიმრებული, ამიტომ განაჩენის გამოტანის შემდეგ განთავისუფლეს. 1915 წლის დამლევს ისევ გაერთო არალეგალურ პარტიულ მუშაობაში და 1916 წლის აპრილამდე მუშაობდა პეტერბურგის რაიონში, როგორც ორგანიზატორი და პროპაგანდისტი. იყო სარაიონო კომიტეტისა და აღმასრულებელი კომისიის წევრად, აგრეთვე რაიონის წარმომადგენლად პეტერბურგის კომიტეტში და ცეკას აღმასრულებელ კომისიაში. აპრილში, ლენინის ამბების წლის თავზე, იგი დააპატიმრეს. საპყრობილეში 6 თვეს

ეუდგა მუშაობას პეტერბურგის რაიონში. აპრილის დამდეგს სამუშაოდ როსტოვში გადავიდა. იქ იყო როსტოვ - ნახიჩევანის პარტიული კომიტეტის წევრად და მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს წევრად. როსტოვიდან გაიგზავნა, როგორც დელეგატი, მე-6 პარტიულ ყრილობაზე. იყო როსტოვის საბჭოსა და სამხედრო - რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარედ. კალედინთან ბრძოლის დროს როსტოვის სამხედრო - რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარედ იყო. როდესაც როსტოვი ისევ უკან იქნა დაბრუნებული, ამხ. სირცოვი კვლავ როსტოვის საბჭოსა და სახალხო მეურნეობის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობებს ასრულებდა. 1918 წლის შემდეგ გაემგზავრა ფრონტზე, სადაც იყო მე-12 დივიზიის სამხედრო კომისრად. დეკემბერში დასჭრეს. გამომთელების შემდეგ ისევ დივიზიას დაუბრუნდა. შემდეგ 1921 წლამდე ამხ. სირცოვი სხვადასხვა დროს მუშაობდა დონის პარტიულ კომიტეტში და საოლქო საბჭოში, იყო ფრონტის შტაბის მზვერავი რაზმის კომისრად, ოდესის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარედ, საგუბერნიო რევოლიუციონური კომიტეტისა და საგუბერნიო აღმასკომის პრეზიდიუმის წევრად. შემდეგ 1926 წლამდე იყო საკავშირო კ.პ. (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგედ. ამავე დროს იყო კომუნისტური აკადემიის პრეზიდიუმის წევრად და ჟურნალ „კომუნისტიჩესკაია რევოლიუცია"-ს რედაქტორად. 1926 წლის თებერვლიდან უკანასკნელ დრომდე ამხ. სირცოვი იყო ციმბირის საოლქო პარტიული კომიტეტის მდივნად. პარტიის მე-13 ყრილობაზე ამხ. სირცოვი არჩეულ იქნა ცეკას კანდიდატად, ხოლო მე-14 ყრილობიდან დღემდე ითვლება საკავშირო კ.პ. (ბ) ცეკას წევრად. გარდა ამისა ამხ. სირცოვი სრულიად რუსეთის ცაკისა და საბჭოთა კავშირის ცაკის რამოდენიმე მოწვევის წევრია. (ადს).

სანიტარული პირობების დასაცავად

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ქალაქში სანიტარულ პირობების დაცვის საკითხი და დაადგინა ქალაქში სისუფთავის დასაცავათ და ანტისანიტარულ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად დაარსებული იქნეს საუბნო-სანიტარული ბიუროები.

სანიტ-ტეხნიკურ სექციას წინადადება მიეცა შეუდგეს საუბნო ბიუროების ჩამოყალიბებას. გეგმის მიხედვით ქალაქში სულ დაარსებულ იქნება 5 ბიურო. თვითეული ბიურო შემდგარი იქნება 16 წევრისაგან. ბიუროში შევა უბნის უფროსი სანიტ-ექიმი, სახლებთან არსებულ სანიტ-კომისიების 5 წარმომადგენელი, უბნის მილიციის უფროსი, უბნის ინჟინერი, საუბნო ამბულატორიის გამგე, სკოლის სანიტ-ექიმი და თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის სექციის 5 წევრი.

ბიუროებს ევალებათ უხელმძღვანელონ უბანში სანიტარულ პირობების დაცვის საქმეს.

სატყეო მეურნეობის განვითარება

მოსკოვი, 20 მაისი. საბჭოთა კავშირის ხ. საგეგმო კომისიამ საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს წარუდგინა სატყეო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. ექსპლოატაციო ტყის სივრცე ხუთი წლის განმავლობაში გადიდებულ იქნება შუა აზია- 25 პროცენტით, ამიერ - კავკასიაში — ლ პროც. ტყე უნდა მოეწყოს შუა აზიაში 4 მილიონ ჰექტარზე, ამიერ - კავკასიაში — 1.700.000 ჰექტარზე. ეკონომიურად გამოკვლეულ უნდა იქნას შუა აზიაში 6 მილ. ჰექტარი ა.-კავკასიაში 9 მილ. ჰექტარი; შუა აზიის სატყეო მეურნეობაში გათვალისწინებულია 7.900,000 მან. დაბანდება, ამიერ-კავკასიის სატყეო მეურნეობაში — 10.000.000 მან. დაბანდება. (ადს)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

[illegible]ომარეობა ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების კომპარტიაში

მოსკოვი, 20 მაისი. „პრავდა"-ში გამო-

გერმანიაში გაგზავნილი იყო საქართველოს ქაღალდის ფაბრიკის სამშენებლო კომიტეტის მთავარი ინჟინერი ქოჩინაშვილი, რომელსაც დავალებული ჰქონდა გერმანიის ქაღალდის მრეწველობის გაცნობა და საქართველოს ქაღალდის ფაბრიკის პროექტის შემუშავება. ინჟინერი ქოჩინაშვილი უკვე დაბრუნდა საქართველოში. მას შეუსწავლია გერმანიის ქაღალდის მრეწველობა და დაუმუშავებია ქაღალდის ფაბრიკის პროექტი. ამ დღეებში ინჟ. ქოჩინაშვილის პროექტი განხილული იქნება სხვადასხვა ინსტანციების მიერ და დამტკიცების შემდეგ შეუდგებიან ფაბრიკის აგებას.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

სახელმწიფო ბანკმა 14 მაისიდან 18 მაისამდე გასცა 880 მოგება: მომგებიან ობლიგაციების მეპატრონეთ დაურიგა 28.000 მანეთი.

და არც ამ ყრილობის შემდეგ არ მოხერხდა [illegible] მიღება ფრაქცი-

მოსავალი — 1,175 მანეთი გადასცა [illegible] ნიშნულისამებრ

შემთხვევები

უეცარი სიკვდილი

მირზოევისეულ აბანოში უეცრათ გარდაიცვალა მოქ. ბალახანუმ კიხნი-კიზლი, 55 წლის.

დედის დაჭრა

გუშინწინ ვლადიმერ იაგორის ძე ხმელევსკიმ ხანჯლით მძიმეთ დასჭრა თავისი დედა. დამნაშავე შეიპყრეს. დაჭრილი გადაიგზავნა 1-ლ საავადმყოფოში.

შეპყრობა

სისტემატიური ქურდობისათვის დააპატიმრეს — მცირეწლოვანი ვალოდია ბაქარისძე ანდრიაშვილი, აშოტ ავეტისოვი და ვახტანგ აკოპჯანიანცი.

რიონჰესის სამუშაოები

ქუთაისი, 17 მაისი. დღეს, 17 მაისს შევუდექით ბეტონის წყობას რიონჰესის პირველი გვირაბის სამხრეთ პორტალის მოსაგებად.

მიქელაძე.

სახელგამში

— დღეს, 19 მაისს, სახელგამის ყველა მაღაზიებში და კიოსკებში საგანგებოდ იქნება მოწყობილი საბავშო ლიტერატურის განყოფილებები. საბავშო ლიტერატურა გაიყიდება 30 პროც. ფასდაკლებით.

— სახელგამი აწყობს თავის გამოცემების გამოფენებს და განზრახული აქვს ჩაატაროს მოხსენებები თავის მუშაობისა და მიღწევების შესახებ მუშათა კლუბებში.

— ბეჭდვითი დღის აღსანიშნავად სახელგამმა გამოსცა პროლეტარულ მწერალთა გაზეთი — „5 მაისი". გაზეთი იყიდება სახელგამის ყველა მაღაზიებში და რკ. გზის კიოსკებში. ფასი — 10 კაპ.

— სახელგამმა გამოსცა შემდეგი ახალი წიგნები: ი. გომართელი — შთაბეჭდილებანი (მოსკოვი — ბერლინი — პარიზი), 162 გვ. — 70 კ., ფურმანოვი — ჩაპაევის აღსასრული — 62 გვ. — 30 კ., ლეონტიევი — პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო — 326 გვ. 2 მ., არსონი და დუბენსკი — საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო პოლიტიკა — 200 გვ. 1—25 კ., რევოლიუციის მატიანე № 1 (21) 1929 წლის — 248 გვ. 1—50, მ. გორგაძე — ნორჩ პიონერთა ბანაკი — 96 გვ. —60 კ., დ. სულიაშვილი — მეორე დღეს —120 გვ. — 60 კ., ა. წერეთელი — ჩემი თავგადასავალი — 132 გვ. — 45 კ., ი. ბათიაშვილი—ბამბისა და თამბაქოს მავნებლები — 64 გვ. — 40 კაპ.

კვირას, 19 მაისს, დილის 10 საათზე
პროფსაბჭოს დიდ დარბაზში იხსნება
ულმერთოთა კავშირის თბილისის საქალაქო კონფერენცია
კონფერენციის დღის წესრიგი:

1. საქართველოს ულმერთოთა კავშირის ცენტრალურ საბჭოს მოხსენება, 2. თბილისის საბჭოს საანგარიშო - საპერსპექტივო მოხსენება, 3. ხელმძღვანელი ორგანოების არჩევა, 4. ულმერთოთა კავშირის სრულიად საქართველოს ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევა.

მანდატების გაცემა სწარმოებს რაიონულ საბჭოებში.

(სხდომა გადაცემული იქნება რადიოთი).

ულმერთოთა კავშირის თბილისის საბჭ. პრეზიდიუმი.

წერილი ნიუ-იორკიდან

პირველი შთაბეჭდილებანი

მე და მისტერ სმიტი ძალიან დავმეგობრდით.

მოხუცი სმიტი ჩინებული მასწავლებელია.

მისტერ სმიტი მეტად საინტერესო ადამიანია!

ერთ დღეს გაკვეთილის შემდეგ გამომიცხადა:

— ეს ერთი გაკვეთილი ხომ გავათავეთ, ეხლა მეორე გაკვეთილი უნდა დავიწყოთ! ვერ გავიგე, გამიკვირდა.

— ესე იგი? შევეკითხე მე.

— ესე იგი თქვენ თქვენი ქუდი, რომელიც, სხვათა შორის, ამერიკაში აღარც კი ვარგა გამოსაჩენათ, უნდა დაიხუროთ და გამომყვეთ!

— კეთილი, მაგრამ, რომ არ მცალია. სადამოზე ცოტა რამ სამუშაო მაქვს, სახლში დამჭირდება ჯდომა და...

— შეუძლებელია! მე თქვენ მაგის ნებას არ გაძლევთ. მასწავლებელი მე ვარ, მაგ მე უნდა მეკითხებოდეს.

მისტერ სმიტის ახირებული ხასიათის ამბავი ვინც არ იცის, ეგონება მოხუცი, მართლაც, გულმოსულიაო.

დავუგდე ნებას, ჩამოვიღე ჩემი, მართლაც ძალზე შეხუნებული „შლიაპა" და გავყევი.

— მარტო ენის სწავლა რისი მაქნისია, თუ ადამიანმა ხალხი და ქვეყანა არ გაიცნო, თითქოს თავისთვის ლაპარაკობს მისტერ სმიტი. —ხალხი აქ საინტერესოა, ქვეყანა კიდევ უფრო მეტი!

როგორც კი გამოველით გარეთ და ქუჩის

— უკვე იწყება გაკვეთილი, მითხრა სმიტმა, გზა-ჯვარედინს მივადექით. არსად ისეთი ქუჩები არ არის, როგორც ნიუ-იორკში. რა არის აქაური ქუჩების თავისებურობა?

— ალბად მეტის-მეტი სიბინძურე! მივუგე მე.

— მაგაში თქვენ არ შემცდარხართ. ნიუ-იორკის ქუჩების ძუძგი და ნაგავი სწორეთ საარაკო რამ არის. ვერსად ვერ შეხვდებით ასეთ საშინელ ჭუჭყსა და უსუფთაობას. ამაშიაც, თუ გნებავთ, ნიუ-იორკს პირველობას ვერავინ ჩამოართმევს.

—ვერაფერი პირველობაა, თქვენ არ მომიკვდეთ!

— ნუ იტყვით. აქაც ამერიკული სიფართე და სივანე მოსჩანს. აბა, შეხედეთ. ჩვენ ქალაქის შუაგულში არა ვართ, მაგრამ განაპირაც არ ეთქმის ამ ნაწილს. აი, აგერ ეს თხრილი, დამე სიფრთხილე მართებს გამომვლელს, თორემ აქ თუ ფეხი გადაუცდა, საიქიოსკენ წასავალი ბარათი ხელში უნდა ეკავოს. ეს კიდევ არაფერი. შიგნი, ამ თხრილში რა არ შერია? ფეხმოტეხილი რკინის ლოგინი, ავტომობილის ლერძიდან წაძრობილი მორგვები, სკამის ნაწილი, აგერ, ვილაცას ბავშების საგორებელი ურემიც კი გადაუგდია.

— არ არის აკრძალული ასე უთავბოლოდ ყველაფერის უადგილო-ადგილას გადაყრა??

— რასაკვირველია, არა! ამას აქ ყურადღებას არავინ აქცევს.

— მაგეც თავისუფლებაა, მაშასადამე, არა?

— რაც არის ასე კია, მომიგო სმიტმა, არა, მე როდი გკითხავდით. აქვს ერთი თავისებური თვისება აქაურ ქუჩებს და ეს თავისებურება უსათუოდ დასაფასებელი და მოსაწონია. თქვენ არ ხართ მიხვედრილი, ალბათ, რას გეკითხებით.

— მართალი გითხრათ, არა!

— მაშინ, მე გეტყვით, მაგრამ ჯერ ერთი კითხვა. რომელ ქალაქში ყოფილხართ კიდევ ამის გარდა?

— ქალაქები ბევრი მინახავს, არ ვიცი, რომელი ერთი უნდა გითხრათ!

— ბერლინში ყოფილხართ?

— როგორ არა, არამც თუ ვყოფილვარ, მიცხოვრია კიდეც.

— მაშასადამე, თქვენ ადვილად მიხვდებით, თუ რა განსხვავებაა აქაურსა და, თუნდაც, იმავე ბერლინის ქუჩებს შორის. ქუჩები აქ ლარივით არის გაყვანილი. ქალაქი დასერილი სწორი გასწვრივი ხაზებით; ეს ხაზები ქუჩებია. ქუჩები სიგანეზეა დაყოფილი, სიგრძეზე კი პროსპექტები. ეს კიდევ არაფერი. ქალაქი გაყოფილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაწილად. არც ქუჩებს, არც პროსპექტებს საკუთარი სახელები არა აქვს. არის რასაკვირველია, თითო ოროლა გამონაკლისი, მაგრამ ეს საერთო წესს არ არღვევს.

თვითეულ ქუჩას თავისი ერთი-მეორეს მიმდევნო ნომერი აქვს: პირველი, მეორე, მესამე და ასე, მიყოლებით.

თვითეულს პროსპექტსაც თავისი საკუთარი ნომერი აქვს.

ვთქვათ თქვენ გინდათ რომელიმე ადგილის მიგნება. თქვენ ყოველ მისამართს ადვილად მოსძებნით, ვინაიდან წინასწარ იცით როგორც ქუჩის, ისე პროსპექტის ნომერი. ძებნის გასაადვილებლად თვითეულ მისამართს თან სდევს აღმოსავლეთ-დასავლეთი მხარის მაჩვენებელი ნიშანი.

—მაგ მართლაც რომ დიდი შეღავათი ყოფილა, მივუგე მე.

— ოღონდაც! ბერლინის ქუჩები, რასაკვირველია სუფთაა, მოვლილია. მართალია, მაგრამ თავსა და ბედს გაწყევლინებს, სანამ იქ რამეს მიაგნებდეთ. ეძიე, აბა, თუ გიყვარდეთ, სად არის ეს, ვთქვათ, თუნდა; პრინცრეგენტენშტრასსე? აღმოსავლეთშია, დასავლეთშია, რომელ კუთხესაა, რომელ მხარეს?

გარდა ამისა, ბერლინში ქუჩა, კიდევაც რომ ნახოთ, სახლის მონახვას თან უნდა გადაჰყვეთ. იქ სახლის ნომრები ერთი-მეორეს მისდევს პირწმინდათ. ეს ნამეტნავათ აძნელებს საჭირო ადგილის მიგნებას. აქ კი კენტი ნომრები ერთს მხარესაა, წყვილი მეორეს. ამით, რასაკვირველია ნიუ-იორკი ბევრ სხვა ქალაქებიდან არ გაირჩევა.

მაშასადამე, განაგრძო მისტერ სმიტმა დღევანდელი გაკვეთილისათვის პირველ ყოვლისა ის დავიმახსოვროთ, რომ ნიუ-იორკში გზის პოვნა ძალიან ადვილი საქმეა.

მეორე, იქნება შემდეგი! ჩვენ ერთი აქ ჩავძვრეთ, მიმითითა მან რაღაცა ხვრელს რომ შგავდა, ისეთ ვიწრო კიბეზე, რომელიც სადღაც ჯურღმულისაკენ იყო ჩადგმული.

მე გულმა არ მიქნა. ახირებული კაცია, გავივლე გუნებაში, ამ ჯოჯოხეთში სად მიმათრევს მეთქი; მთლად უარის თქმა ვერ გავუბედე, მაგრამ ფეხაკრეფით გავყევი უკან. მისტერ სმიტი დაწინაურდა. კიბის ჩასათავებელში სადლაც მოუხვია. თითქმის უკან გამობრუნებას ვაპირებდი, მაგრამ ჩემს უკან სხვებიც ბლომად მოდიოდა ხალხი, გზის შესავალი არც კიბეზე არსად იყო და მეც ძალა-უნებურად წინ უნდა წავსულიყავი.

—აქ ვარ, აქ, შემომეხმაურა მოხუცი და წინ შემომეგება. მე აქ სალაროსთან ვიყავი, ფულს ვახურდავებდი. ეხლა აქეთკენ წავიდეთ. გავყევი. წინ რაღაცა ხარიხებით გადაღობილს ადგილს მივადექით.

შუაგულში ხარიხებს ჭიშკარი ჰქონდა დატანებული. აქ კარგა მსხვილი ხის ძელი იყო დამაგრებული, რომელსაც თავზე ჯვარედინათ ფრთებ გაშვერილი ტარები ჰქონდა გაკეთებული. ეს ჯვარედინათ გასკვნილი ტარები ადამიანის წელის სიმაღლეზე იყო დატოვებული. სმიტმა ამ ჯვარედინს მიაშურა. ხელში ფული მოიმარჯვა. ხარიხების ერთს გვერდზე პატარა ყულაბისებური კოლოფი მონახა, ხელი ზედ გააყოლა და ერთს პატარა ნაპრალში გადუძახა ის გროში, რომელიც ხელში ჰქონდა მომარაგებული.

— აბა, გამყევით, გადმომძახა, მივაწევი ჯვარედინს, ის ფაყვით მოიშვა, სადაც შიგნი ტკაცუნი გაისმა და მეც მოაჯირის მეორე გვერდზე მოვხვდი.

სმიტმა კიდევ ჩააგდო მეორე გროში და თვითონაც გამოვიდა.

— აჰ, მეც აქა ვარ, შემომეხმაურა ის და გვერდში ამომიდგა.

— სად ვართ, ეს რა ადგილია? შევეკითხე მე.

— სად ვართ?! ეს გახლავთ სოზვეი, ეს სიტყვაც დაიმახსოვრეთ. უამისობა აქ შეუძლებელია! ხომ ხედავთ, როგორია მოწყობილი? ბილეთს ყიდვა არ უნდა, ჩააგდეთ ეს ხუთცენტიანი გოგროჭინა და გაუდექით გზას. ბილეთი საზოგადოთ აქ სოზვეიზე შემოღებული არ არის.

— თქვენ აკი იყავით სალაროსთან? შევეკითხე მე.

— ოჰ, სალარო?! სალარო აქ სულ სხვა რამისათვის არის მოწყობილი, იქ ფულს ახურდავებენ. ვთქვათ, მაგალითად ყულაბაში შაურიანი უნდა ჩააგდოთ, მაგრამ თქვენ არ დაგესწრებათ სწორეთ საგულდაგულოთ ასეთი ფული, მაშინ იქ— იმ სალაროში დაგიხურდავებენ.

ეხლა ეს გზები. არის ორნაირი მოძრაობის წესი. ადგილობრივი და საგანგებო. ადგილობრივი მატარებელი თვითეულს სადგურზე ჩერდება, საგანგებო მხოლოდ ზოგიერთზე. საგანგებო მატარებელი უფრო ჩქარა მიდის, მაგრამ, თუ თქვენ შორს მიდიხართ და ისეთს სადგურზე უნდა ჩამოხტეთ, სადაც საგანგებო მატარებელი არ ჩერდება, მაშინ ერთს ხანს საგანგებო მატარებლით ივლით და შემდეგ ადგილობრივზე გადაჯდებით.

— ამ ჯურღმულში, რომელი მატარებელი საითკენ მიდის, რა უნდა გავიგო?

— ამაზე ადვილი არაფერია. თვითეულს მატარებელს აწერია უკანასკნელი სადგურის სახელი; რასაკვირველია იმ ქუჩის ნომერი, სადაც ის უნდა გაჩერდეს და უკან უნდა გამობრუნდეს.

გზა შუაში იყო გავლებული, სადგურის ერთი ნაწილი გზის ერთს მხარეზე იყო დატოვებული. მეორე მეორეზე.

— კეთილი, მაგრამ, რაღა მაგალითად ამ მხარეს მოადგება ჩვენი წამყვანი მატარებელი და არა იმ მხარეს, სადგურის გაღმა ნაწილს?

— ამას თავიდან უნდა დაკვირვება. არც ესაა ძნელი გამოსაცნობი. ვთქვათ თქვენ რომ ქუჩაზე ხართ, იმას № 10 ჰქვია, თქვენ კი გინდათ ქუჩა № 42, მაშასადამე მეტი ნომრისაკენ გინდათ წასვლა. ასეთი მატარებელი იმ მხარეს მოადგება, რომელსაც შემოსავლელში აწერია Ur ეს ნიშნავს „ზევით", როცა, პირიქით, მეტი ნომრიდან ნაკლებისაკენ მიდიხართ, მაშინ იმ მხარეს უნდა უსწოროთ, რომელსაც შემოსავლელში Dawn აწერია, ეს ნიშნავს „ქვევით".

ამასობაში დიდის ხრიალითა და ხმაურობით მოიხინდა და ბაქანის პირას ჩამოდგა მატარებელი. ბაქანი, სხვათა შორის ვაგონში შესასვლელი კარების სიმაღლეზეა, ასე რომ კიბეზე აყოლა და საამისო დაღიდარაბა არ გჭირდება ადამიანს.

ვაგონი გძელია, ფართო, მაგრამ ბინძური, ნაგავით სავსე. შავი ჭუჭყი მაგრათ არის ჩამჯდარი კედლებში და სავარძლებში. სისუფთავე დაახლოვებით ჩვენებურ ჭიათურის შტოზე რომ ვაგონები დაიარება, იმაზე უკეთესი არა აქვს.

საჯდომი ერთგვარი შილით არის მოჭიოვილი; ეს შილი, ალბათ, თავისთავად მოყვითალო ფერის უნდა იყოს, მაგრამ ისეა გამურული შავათ, რომ ნამდვილი ფერის მხოლოდ კიდურებში თუ მოჰკრავ თვალს, სადაც ჭუჭყს ისე ძალუმათ ვერ მოუკიდია ფეხი.

ჩვენ რომ ვაგონში შევედით, ისე იყო ხალხით გაჭედილი, რომ საძრაობა აღარსად სჩანდა.

— მეტი ჩარა აღარ არის, უნდა ჩამოვეკიდოთ! მიჩხია სმიტმა.

— ჩამოსაკიდებლად როდი მემეტება ჩემი თავი, ხუმრობით შევუბრუნე სიტყვა სმიტს, ვინაიდან ვატყობდი ისიც რაღაცას ხუმრობის გუნებაზე იყო.

— მე კი ჩამოვეკიდები და თქვენ, როგორც გნებოთ. მართლაც შევხედე და სმიტმა წაატანა ხელი ვიწროთ წაგძელებულ რგოლს, რომელიც საშუალო ტანის კაცის სიმაღლეზე იყო მიმაგრებული გძელ რკინის სვეტზე.

მატარებელი საშინელი სისწრაფით მიჰქრის; ფეხზე დგომა შეუძლებელია, თუ რაიმე დასაყრდენი წერტილი არ იშოვე. სმიტის ჩამოსაკიდებელი რგოლი, მართლაც, ერთად-ერთი საშუალება ყოფილა, რომ ან კედელს არ მიგარეხვოს ან კიდევ სხვა რამ უფრო სახიფათო მარცხი არ დაგემართოს.

ვიკადრე მეც და მოვძებნე ჩამოსაკიდებელი, ჩამოვეკიდე.

სმიტმა ეშმაკურად ჩაიცინა ულვაშებში; თითქოს მეუბნებოდა: აი, ხომ მიხვდით!

ვაგონში მეტის-მეტი სივიწროვეა; უმეტესობა ჩემსავით „ჩამოკიდებულია", მაგრამ ცალი ხელით ყველას თვალების წინ აჩრილი აქვს გაზეთი და ყველა კითხულობს. იშვიათია ისეთი ადამიანი, ქალი, გინდა კაცი, რომ კვეს არ ლეჭდეს, რა საშინელი, რა გულისამრევი საყურებელია ეს დაუსრულებელი ულაზათო ცოხნა!

წაკითხულს გაზეთს იქვე ყრიან იატაკზე. იატაკიც მთლათ ასეთი, გადაჭყლიტი გაზეთებით არის მოფარული. მერე, რას ჰგავს ეს გაზეთები! ჩვენებური პროფკავშირების ამბავი რომ ვიცი, თვითეულს დამტარებელს ორი ცალის მეტს არ [illegible] წასაღებათ. The New York Times-ის საკვირაო ნომერში 500 გვერდია, გამოიანგარიშეთ, რამდენი გამოვა ჩვეულებრივი გაზეთი ორ ცალ ასეთს გაზეთში.

მატარებელი მიჰქრის თავ-ქუდ-გადაგლეჯილი. თითო წუთს ჩერდება სადგურზე და კვლავ მოწყდება, კვლავ მისცემს თავს ამ შავათ პირდაღებულ გვირაბს.

შეჩერდა მატარებელი; ჩვენ შემთხვევით შუაგულ ალაგას მოვხვდით. ამავე ვაგონს მოჰყვება ერთად-ერთი გამყოლი. საქმე მას დიდი არაფერი აქვს. გაჩერდება თუ არა მატარებელი, ის დინჯათ ამოიღებს ჯიბიდან გასაღებს. შეჰყოფს გასაღებს საგანგებო ნასვრეტში; შემდეგ ორ მოზრდილ შავ ფოლაქებივით ამობურცებულ წერტილს დააწვება და ეს საკმარისია:—ილება მთელი მატარებელში რაც ვაგონებია, ყველას კარები. ერთი წუთის შემდეგ გამყოლი გასაღებს ჯიბეში ჩაიდებს, ფოლაქებს მოსინჯავს და კარები ყველა ვაგონებში იკეტება. თუ სადმე რომელიმე ვაგონის კარები არ დაიგდო, ისე იმ პატარა წითელი შუშის სანათი არ ჩაქრება, უამისოდ კი მატარებლის წამყვანი ფეხს არ მოიცვლის.

— მივედით! მითხრა მისტერ სმიტმა. აქ ამოვძვრეთ.

კარგა ხანს გვატყუნტულა მატარებელმა. აქ ჩამოძრომისას ჰინჭული ამინდი იდგა. წვრილი წვიმა მოდიოდა, ამოვედით, გადადარებული დაგვხვდა, მზე მორცხვათ დასჩერებოდა ნიუ-იორკის მაღალ სახლებიან ქუჩებს.

— ეს გახლავთ Boadway. ორი სიტყვისაგან შესდგება, ნიშნავს „ფართე გზას".

— ფართე კია, მაგრამ ცოტა მეტი სიფართეც რომ კიდევ მისცა, უკეთესი იქნება.

— თავის დროზე ეს ქუჩა ფართეც იყო და მეტიც, მაგრამ ამ ლიანდაგს რა სიფართე ეყოფა, ლაპარაკობს სმიტი.

ჩვენში—თბილისში, დიდი რამ სანახაობის დროს, რუსთაველზე იმდენი ხალხი ერთ ადგილზე არასოდეს არ მინახავს, რაც ამ ჩვეულებრივ დროს იყო ამ ერთს ქუჩის ერთს კუნჭულში.

— მერე ეს ავტოებიც აჭირვებს საქმეს, შეხეთ, როგორაა გაჭედილი მთელი ქუჩა. კაი ბიჭი იქნებით და სანამ ელექტრონის სინათლის ნიშნით არ შეაყენებენ მოძრაობას აბა ქუჩის ერთი მხარიდან მეორეზე გადახვალთ.

— რატომ მაინცა და მაინც აქ მოუყრია ამდენ ხალხს თავი?

— რატომ?! რატომ და იმიტომ, რომ აქ არის ის სახელოვანი Wallstreet კედლის ქუჩას ნიშნავს—ესეც დაიმახსოვრეთ. კედლები მართლაც რომ ასეთი უნდა, სიმაღლე არ აკლია, აი აქ არის მათი მთავარი ბუნაგი; აი ამ კედლებს ამოფარებული ზის ამერიკის კაპიტალისტური მანქანის მმართველი შტაბი.

ხალხის მდინარე არ ჩერდება, კედელივით მოდის ეს ერთპირათ შეკუმშული ადამიანის ტალღა, ასკდება ამ ცაში აზიდულ სახლებისა და კოშკების ზღუდეებს. უძირო მორევივით იზიდავს თავისაკენ ეს პირდაღებული კოშკი —სახლები ადამიანთა მოძრავ ნაკადს. არის სახლები, სადაც 20—25,000 მოსამსახურე ზის წლიდან-წლობამდე, ყოველ ცისმარა დღეს, წელ მოხრილი მიათრევს თავის უღელს, ამ ვეება მანქანის რომელიმე პატარა ნაწილთან მიჩენილი დღეში უთვალავჯერ უნდა მიახმაროს თავის ტვინის და ნერვების ძალა, კუნთებისა და მარჯვენის ღონე, რომ მანქანის მუშაობას ხელი არ შეეშალოს, ასე მიდის და მიჰყვება ერთმანეთს დღე, კვირა, თვე და წელიწადი, ერთი, ორი, სამი, ოთხი, ვინ იცის რამდენი? ყოველ შემთხვევაში იმდენი „სანამ ფეთქს გული, სანამ უდგია მკლავში ძალა და პირში სული, სანამ სიცოცხლის მისი ძაფი სულ არ გაწყდება"!

— რას გაჩერებულხართ? გამომიყვანა ფიქრებიდან სმიტმა. დაინახეთ, ხომ? ეხლა აქეთ წავიდეთ, ცოტა ამ ხალხს თავი მოვარიდოთ, უფრო ხალვათიან ქუჩებს გავუყვეთ. ეხლა ერთი რამ მაქვს სათქმელი. ბავშობიდან ერთი ამბავი მახსოვს. სკოლაში ჩვენ ერთი მღვდელი გვყავდა, „საღმრთო წერილს" გვასწავლიდა. სწავლა მას მაინცა და მაინც ხელს არ უწყობდა. მედავითნეთ ნამყოფი იყო, მღვდლობა ქრთამით ჰქონდა ნაშოვი. მე მაშინ სამრევლო სკოლაში ვსწავლობდი და ეს მღვდელი იქ მასწავლებლათ დაგვიყენეს. თვითონ მან არაფერი იცოდა, ჩვენთვის რა უნდა ესწავლებია, თუნდა იმ „საღმრთო წერილის", რომელიც მას, ალბათ წაკითხულიც არ ჰქონდა. სამაგიეროთ ამ ხუცესმა კარგი ზღაპრებისა და არაკების მოყოლა იცოდა.

— ბავშებო, გვეტყოდა ხოლმე ის ჩვენ, საიქიოში ჯოჯოხეთია, სამოთხეც არის, მაგრამ ჯოჯოხეთი უფრო დიდია, სამოთხეში მაგრე ვაგლახათ როდი ვისმე უშვებენ. აი ჯოჯოხეთში ერთი ადგილია, ამ ადგილას კუპრით სავსე ქვაბი დგას და მას გამოულეველი ცეცხლი უნთია, ამ ცეცხლის და ამ კუპრის გეშინოდესთ, ვინაიდან მას არა აქვს დასაბამი და დასასრული.

ასე იტყოდა ხოლმე ის ჩვენი ხუცესი. ბავშობისას შთაბეჭდილება ადამიანს უფრო მახვილი და შეურყეველი აქვს. მასუკან არამც თუ გამიგონია, ბევრი რამ ისეთი მინახავს, რომ მასთან შედარებით „კუპრის ქვაბი", ბავშების სათამაშოთ მოგონილი თავის შესაქცევია, მაგრამ სულელური ზღაპარი კუპრის ქვაბის შესახებ დღესაც მახსოვს.

ამ არაკს რატომ გავყევი? კაპიტალისტური სამყაროს კუპრის ქვაბი აქ ანთია, მთავარი როკაპები და ტარტაროზები აქ ბინადრობენ.

— არც მაგრე ხელიერთპირათ შგავს ეს ადგილი თქვენი მღვდლის არაკს. არ ვიცი, ვინ და როდის დაანთო კუპრის სადუღებელი ცეცხლი, არ ვიცი დასტურ აქვს თუ არა დასაბამი და დასასრული ადამიანის სიბრიყვეს, რომელსაც სწამს...

— არაკი, არაკია და მეტი არაფერი. დასაბამიც აქვს და დასასრულიც ექნება ყოველივე ამას, მაგრამ დღეს, რასაც ხედავთ— ესაა. აქაა ნამდვილი „კუპრის ქვაბი".

—მოვესწრებით მაგის დავსებას, დაქრობას!

— რატომაც არა! მოვესწრებით. ჩვენ ვერ მოვესწრებით სხვა მოესწრება, ოღონდ თავისით და თავისთავად მაგ არ დაქრება, ბევრი სულის ბერვა დასჭირდება მის დაქრობას.

— ოღონდაც!!

შემოღამებული იყო, როდესაც ბინისაკენ ვბრუნდებოდით.

მისტერ სმიტი ჭახმაგი მოხუცია, სიბერე მაინცა და მაინც არ ეტყობა, მაგრამ დღეს ის, თითქოს ერთბაშად მოეშვა, მოდუნდა. ემჩნეოდა დაღალვა და ამიტომ ნელა მოაბიჯებდა ხმაგაკმენდილი.

მისტერი სმიტი აღმართს გაუყვა. მე ბინისაკენ გამოვუდექი.

ჰ. მ. საყვარელიძე.

ნიუ-იორკი, 8 აპრილი.

დავეხმაროთ პროლეტარულ სტუდენტობას

ამხ. მაჩაიძის გამოძახების გამო შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გ. ქურდოვანიძეს, ე. მუქერიას, შ. კარბელოვს, ლ. ვაშაკიძეს, ხოჯიაშვილს, ქ. სულავას, ვ. ბარამიძეს, მ. სართანიას, ტორიკაშვილს, ნიჩუზოვსკის, ასლამაზოვს, იმერლიშვილს, ზაგაროვსკის, მირიმანოვს და პონომარენკოს.

ზ. რაზმაძე.

მალაქია ტოროშელიძის გამოწვევით შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: იოვიძე ისმაილ, იოვიძე აბესალომ, კანდელაკი ალექსანდრე, პაიჭაძე, სანიკიძე, სიქრეკი, იაშვილი სეიდ, ცხაკაია თამარა, გძელიშვილი, ჩიხლაძე, გიორგობიანი, როსტომბეკოვი, მიროკიჩი, მეირეველი, მათათაშვილი, ყვაჭაძე, ნოზაძე, ბახტაძე პოლიკარპ, ბუტულაშვილი, ბარინოვ, კვინიკაძე, მგელაძე ნიკო.

ლენტორ რუხაძე.

პროლეტარულ სტუდენტობის სასარგებლოდ შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გ. კუტაიძეს, ი. ფრანგულიანს, ნაზარეტიანს, გოცირიძეს, ბედი ბერიას, კამალოვს, დავითაშვილს, დევიძეს, მამარდაშვილს, გეგენავას, ა. შავერდოვს, ღამბაროვს, ზედგინიძეს, მარკარიანს, რუსტამბეგოვს, ჩიხლაძეს, ნემსაძეს, ი. კვანტალიანს, სიმონ კანდელაკს, გ. მეავანაძეს, ს. სტეფანოვს. ს. კობალაძეს, ი. ვადაჭკორიას, ქ. კანდელაკს, შავგულიძეს, ბეუანოვს, ქ. ლორთქიფანიძეს, წულუკიძეს, ამაშუკელს, მშველიძეს, ზანდუკელს, ცაგარელს, არეშევანიძეს, სოსიანს, მარგველაშვილს, მიკირ აკოპოვს, ნინო ჩარკვიანს, ჭიჭინაძეს, აპ. ურუშაძეს, გ. არუშანოვს, კარაგულიანს, ყრუაშვილს და აბულაძეს.

ექიმი ალექსანდრე ჯიჯაძე.

ამხ. შ. კახიანის გამოწვევით შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქრისტეფორე ვასაძეს, დათიკო ნიკოლაიშვილს, სეფე ცინცაძეს, ვასო ებრალიძეს, ლადო ღამბაშიძეს (ოზურგეთი), შევქეთ ლორთქიფანიძეს (აჭარისტანი) და პეტიკო იმედაძეს (ფოთი).

ქ. ბარამიძე.

ამხ. ლადო სუხიშვილის გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: პლატონ კორძახიას, ვლადიმერ ფანცხავას, ექიმ დევიძეს, შალიკო მარგალიტაძეს, ვ. ჯუღელს, შალიკო გომართელს, ირაკლი ქურასბედიანს, სერგო ბახტაძეს, ე. გადახაბაძეს, ვასილ გოლოვინს, არჩილ კვეკვესკირს, კოკა დანელიას, აპოლონ დუმბაძეს, კოლია კალანდაძეს და კოტე ვაშაკიძეს.

აკ. ქაჯაია.

ამხ. მაჩაიძის გამოწვევით შემომაქვს პროლ. სტუდ. სასარგებლოდ 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნუცუბიძე სამსონ, ნუცუბიძე ევგენი, კანდელაკი ვალერიან, აგასოვი გიორგი, პოლუმორდვინოვი, რაევი ნიკოლოზ, ზუზოვი ალექსანდრე, კიკნაძე ვლადიმერ, გიორგაძე ნესტორ, ეგნატაშვილი.

მათე მგელაძე.

შემომაქვს შემომაქვს 1 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ელენა ორაგველიძეს, მარო დვალს, აგრაფინა კიკნაძეს, ელისაბედ სალუქვაძეს, მარო გუთიძეს, ანიჩკა ჰქონიას, მარო რაქვიაშვილს, ნატალია უნგიაძეს.

ელენა თურქია.

ამხ. ს. ჯუღელის გამოწვევით შემომაქვს 5 მან. და ვიწვევ ამხ. ქ. კანდელაკს, ს. ბეუანოვს, ი. კუპრაძეს და თბილისის ყველა აფთიაქების გამგეებს თანაშემწეებით.

ხ. კობალაძე.

ამხ. მარო მაისურაძის გამოწვევით შემომაქვს 5 მან. და ვიწვევ ამხ. კარნელი ქაცარავას, ლავროსი სალუქვაძეს, პოლიკარპე ბახტაძეს, ფილიპე გოგოშიძეს, ხაცკევიჩს გიორგი ბახტაძეს, დათიკო ყარალაშვილს, კორნელი ბახტაძეს, თომა ფოცხიშვილს, ვასიკო დარახველიძეს, ვლადიმერ ნადარეიშვილს, სერგო ზერაგიას, კოლია მეტონიძეს, ლუკა ლომიძეს, მიშა თუმანოვს, ამბერკი კეკელიას, გიორგი ჯავახიშვილს, პავლე აზარაშვილს, ევგენი დარჩიას, დათიკო კალანდაძეს, ვანო მუსელიანს, ილია ბახტაძეს, დათიკო დოლიძეს, შიო დოლიძეს, ოქრო კობიაშვილს და ტარასი მახარაძეს.

გიორგი ლომიძე.

პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ თავისი წვლილი გაიღეს შემდეგ ამხანაგებმა: ნოდია მიხეილი—5 მან., მ. საბაშვილმა—3 მ., დოცენტ სოლომონ ჩოლოყაშვილმა—5 მან., მიშა შავთვალიშვილმა—4 მან., სოფიო ჭელაშვილმა—3 მან. ექიმმა მალაევმა—5 მან., ექ. ზაქარია მაისურაძემ—5 მან., ექ. გ. დიდებულიძემ—3 მან., ექ. ქოჩიაშვილმა—5 მან., სოსო მრევლიშვილმა—3 მან., ილია ებრაელიძემ—3 მან., პროფ. დიდებულიძემ—5 მან., ლენტორ რუხაძემ—10 მანეთი. სულ 59 მანეთი.

პროლეტარულ სტუდენტთა დასახმარებლად გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორაში დღემდე შემოვიდა 280 მანეთი 17 კაპიკი.

ხელოვნება

ოპერის მომავალი სეზონის პერსპექტივები

სახელმწიფო ოპერის დირექცია ამჟამად მოსკოვსა და ლენინგრადში მოლაპარაკებას აწარმოებს მთელ რიგ გამოჩენილ მომღერლებთან მათი მოწვევის შესახებ 1929-30 წლის სეზონში. მომავალი სეზონის დასი შედგენილი იქნება ქართული და რუსული ვოკალური ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლებისაგან. განზრახულია მთელი სეზონის განმავლობაში მოწვეულნი იქნენ ქ. ძერჟინსკაია, ე. პოპოვა, მ. ბარატოვა, ფ. მუხტაროვა, მაქსაკოვა, მ. ბრეხმან - შტენგელი; მამაკაცებიდან — ტენორები: ი. პეჩკოვსკი, ლემეშევი, კოზლოვსკი; ბარიტონები — გორელოვი და გოლოვინი, ბანებიდან ალ. პიროგოვი და რეიზენი. აღნიშნულ მომღერლებს ნაწილთან უკვე ხელმოწერილია ხელშეკრულებები. ზოგიერთი მათგანი ახლო ხანში ჩამოვა თბილისში და ზაფხულის განმავლობაში იმღერებს სახელ. საზაფხულო ბაღში (ყოფ. „არტო“) რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცა ოპერის თეატრს.

რეპერტუარის მხრივ მომავალ სეზონში დიდი ყურადღება ექნება მიქცეული ქართულ ოპერებს. ჯერჯერობით რეპერტუარში შეტანილია და ახლად იქნება დადგმული „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „ამირანი“ და „ცისანა“. გარდა ამისა, ქართულ ენაზე წავა ევროპიული კომპოზიტორების ორი ოპერა. რუსული ოპერებიდან ახალი დადგმით იქნება ნაჩვენები „ბორის გოდუნოვი“, „თავადი იგორი“, „პიკის ქალი“ და „ევგენი ონეგინი“. დასავლეთ ევროპის ავტორებიდან განახლებული იქნება ვაგნერის „ლოენგრინი“ და დადგმული იქნება კშენეკის ახალი ოპერა „ჯონი უკრავს“.

დირიჟორებიდან მოლაპარაკება სწარმოებს საბჭოთა კავშირის ორ უდიდეს დირიჟორთან — პაზოვსკისთან და ბერდიაევთან.

მომავალ სეზონში ოპერა მთლიანად გადადის საბონემენტო სისტემაზე. აბონემენტების გავრცელება დაიწყება პირველ ივნისიდან.. გადახდის ვადები საგრძნობლად იქნება გაგრძელებული. პირველ რიგში აბონემენტები გავრცელებული იქნება ფაბრიკა-ქარხნებში.

აბონემენტებში შეტანილი იქნება ყველა ქართული ოპერები. ამას გარდა გამოშვებული იქნება სპეციალური აბონემენტი ქართული ოპერებიდან.

სამხატვრო ნაწილის გამგეთ და მთავარ რეჟისორად მოწვეულია ნ. ბოგოლიუბოვი, რომლის ხელმძღვანელობითაც მხატვრულ-ტექნიკური მზადება მომავალ სეზონისათვის დაიწყება 1-ლ ივნისიდან.

სეზონის გახსნა განზრახულია 1-ლ ნოემბერს „აბესალომ და ეთერი“-თ. ოპერა წავა ახალი დადგმით.

ხელოვნების ქრონიკა

ოპერეტის თეატრის გასტროლები

დღეიდან იწყება ბილეთების გაყიდვა ოპერეტის თეატრის წარმოდგენებზე. პირველი ხუთი დღის რეპერტუარი ასეთია: 25 მაისს მიდის „მარიცა“, 26 — „თეთრი რჩილი“, 28 „სილვა“, 29—„ბაიადერკა“ და 30-ში „ლუდოვიკი“. დარჩენილი შეღავათიანი აბონემენტები იყიდება ინდივიდუალური წესით.

თეატრი ბაქოდან თბილისში ჩამოვა 24 მაისს. დასში შედიან მოსკოვის და ხარკოვის მუსიკალური კომედიის საუკეთესო ძალები: ზ. სვეტლონოვა, მ. დნეპროვი, ტ. პავლოცკაია, ვ. ტოკარსკაია, კლარა მილიჩ, დ. დანილსკი, დ. ვოლკოვი, დ. ვასილჩიკოვი, გ. ნოვიცკი, ხენკინი და სხვა.

მუშათა საზაფხულო კლუბებში

დღეს, გაიხსნება ორჯონიკიძის სახელობის მუშათა საზაფხულო კლუბი და წით.-არმიელთა კლუბი. 25 მაისს გაიხსნება საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების და მედსანშრომის მუშაკთა კლუბი. უკვე გაიხსნა მუშათა ახალი კლუბი, მშენებელთა და მუშათა ცენტრ. კლუბები.

ლენინგრადის თეატრ „სტროიკა“-ს მოწვევა

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ გადაწყვიტა ლენინგრადიდან საგასტროლოდ მოიწვიოს ცოცხალი გაზეთის თეატრი „სტროიკა“.

„სტროიკა“ ზაფხულის განმავლობაში გამოვა მუშათა კლუბებში. კავშირებს წინადადება მიეცათ ხელი შეუწყონ აღნიშნული თეატრის მუშაობას და მის წარმოდგენებზე მიიზიდონ მუშების ფართო ფენები.

— **სახ. კონსერვატორიაში** დღეს გაიმართება ტროსკოვსკის კლასის კონცერტი:

— **ქუთაის-ბათომის თეატრის მიერ** დღეს დილით წარმოდგენილი იქნება „ყვარყვარე თუთაბერი“, საღამოს — „კაკალ გულში“.

— **საოპერო კლასის საღამო.** ორშაბათს, ოპერის თეატრში გაიმართება კონსერვატორიის საოპერო კლასის საჩვენებელი საღამო.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ღვარძლი“.

ოფიციალური განყოფილება

სავალდებულო დადგენილება

თბილისის საბჭოსი და ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოში

1929 წ. 18 მაისი.

თბილისიდან წასვლის შემთხვევაში პურის წიგნაკების ჩაბარებისა და გამოცვლის წესის შესახებ.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი და ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ადგენენ:

1) დაევალოს ყველა იმ პირს, ვინც პურს ღებულობს წიგნაკით, თბილისიდან სამუდამოდ ან ხანგრძლივად (ერთ თვეზე მეტი ხნით) წასვლის ყოველი შემთხვევის დროს წიგნაკი ჩააბაროს მუშკოოპს.

2) იმ შემთხვევაში, როდესაც მიდის არა მთელი ოჯახი, არამედ მისი ერთი ან რამდენიმე წევრი, პურის წიგნაკი უნდა წარედგინოს მუშკოოპს გამოცვლისას; ახალ წიგნაკში შეტანილი იქნება ის რაოდენობა, რომელიც თბილისში რჩება.

3) წიგნაკის ჩაბარების დროს მუშკოოპი თბილისში დარჩენილებს აძლევს სათანადო ცნობას (ან ქვითარს), ხოლო თბილისიდან დროებით მიმავალთ ხანგრძლივ მივლინებაში, აგარაკზე ან რესპუბლიკის სხვა პუნქტებში— აგრეთვე ცნობას შენიშვნით, რომ აღნიშნული პირი დროებით არის წასული თბილისიდან.

4) ყველა ის პირი რომელიც თბილისიდან გასვლის დროს მუშკოოპს ჩააბარებენ ან გამოცვლის პურის წიგნაკს, უკანვე მიიღებს მას თბილისში დაბრუნების შემდეგ, როდესაც იგი მუშკოოპს წარუდგენს ამ დადგენილების მესამე პუნქტში აღნიშნულ ცნობას.

5) პურის წიგნაკით მოსარგებლე ოჯახის შემადგენლობის ყოველი შეცვლის დროს წიგნაკი აუცილებლად უნდა წარედგინოს მუშკოოპს სათანადო რაოდენობაზე შესაცვლელად.

6) პურის წიგნაკის გადაცემა სხვა პირისათვის საერთოდ და თბილისიდან წასვლის დროს კერძოდ გადაჭრით აკრძალულია.

7) ამ დადგენილების გამოქვეყნებასთან ერთად ყველა ის პირი, ვისაც მიღებული აქვს ზედმეტი პურის წიგნაკი ან წიგნაკში აღნიშნულია ოჯახის ნამდვილ წევრებზე მეტი რაოდენობა, ვალდებულია წიგნაკი ჩააბაროს ან გამოსცვალოს შვიდი დღის განმავლობაში.

8) იმას, ვისაც პურის წიგნაკი მიღებული აქვს არა იმ კატეგორიით, რომელსაც იგი ეკუთვნის, ვალდებულია შესცვალოს წიგნაკი სათანადო კატეგორიის მიხედვით.

9) მუშკოოპს ევალება 2 დღის ვადაში გამოაქვეყნოს პურის წიგნაკების მიღების, გამოცვლის და გაცემის წესები.

10) ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებასა და სისწორით შესრულებაზე თვალყურის დევნება ეკისრება თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ და სავაჭრო განყოფილებებს.

11) ამ დადგენილების დამრღვევი დაჯარიმებული იქნება ადმინისტრატიული წესით 100 მანეთამდე, ხოლო თუ ჯარიმას ვერ გადაიხდის—იძულებითი მუშაობით 2 თვემდე.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე აბაკოვი.

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ა. სააკიანი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

21 მაისს ს.კ.პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპის ოთახში საღამოს 5 საათზე მოწვეულია საქართველოს უღმერთოთა კავშირის ცენტრალურ საბჭოს პლენუმი. სხდომას უნდა დაესწრონ შემდეგი ამხ. ამხ.: ციხელაშვილი, ადამიანი (თბ. კომიტეტი), ჩხარტიშვილი, ქ. ბუჯიაშვილი (საქ. ა.ლ.კ.კ. ც.კ.), გეგენავა (ამიერ-კავკ. კ. უ.), დ. ორაგველიძე, ორლოვი, გასან-საბრი, ნარიმანოვი, (თბ. გან. განყ.), ბოგდანოვი, ბელოზეროვი, მდივანი (თბ. კ.), კეოსელიძე, (ა. ლ. კ. კ. თ. ბ. კ.), დოიჯაშვილი (ლენრაიკომი), არუთინოვი (26 სახ. რაიკ.), ქშონზერი (ს. პ. კ. ს.), დელიბაში, ბარბარინსკი, პატარაია (ქარ. დივ.), მ. მანტკავა, ასკერ (თბ. კ.) ვასილიევი, კოზლოვსკი, მიკო, შტეპა, ტამრაზოვი, ლინეცკი, გიდონი, გურგენიძე (განსახკომი).

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. საგიტ. - საპროპ. ბეჭდვითი განყოფილება აცხადებს, რომ სამშაბათს, 21 მაისს, საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება კომუნისტ პედაგოგების, რაიკომების საგიტ.-საპროპ. — ბეჭდვითი განყ. გამგეების და, სასკოლო უჯრედების მდივნების თათბირი, რომელზედაც უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: კანდელაკი დ. (განათლების სახ. კომისარი), იმხანოვი (საქ. კომკავშირის ც. კ.), ბედია და ადამიანი (კომ. პ. თბ. კომ.), ჰიდროტექნიკუმიდან ამხ. ჩიჩუა, ოვანიანი, ვაწაძე, ბეუანოვი და მხიტარიანი; სამრეწველო - ეკონომიურ ტექნიკუმიდან — გვაზავა და მგელაძე; ქიმიურ ტექნიკუმიდან — არევაძე; ინდუსტრიალურ ტექნიკუმიდან ჩხეიძე და უმირია; ქიმიურ - საფეიქრო ტექნიკუმიდან — სოსელია და მიწადმოწყობის ტექნიკუმიდან — ფაჩულია.

სამშაბათს 21 მაისს, დილის 10 საათზე, ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ: ამხ. როზენფელდი, ელიაშვილი, კურინოვი, ვარდოიანი, ხუჭუა, ალავიძე, თანიაშვილი; ჯავაშვილი; ზებურიშვილი, ვანი, გოძიაშვილი, დნეპროვსკი, ვოლჩანეცკი, მანაგაძე, ხელაია, ფირუმიანი, ჩხარტიშვილი, მარუტიანი, ბაიანდუროვი, მიქელაძე, დრაგო; რაგავსკოი, („რაბ. პრავდა“), ბუაჩიძე, („კომუნისტი“) ჟორჟოლაძე („მუშა“), რიკოვი („ზარია ვოსტოკა“). ნიკოგოსოვი („პროლეტარი“).

სახ-უნტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ყველა იმ წევრ-კანდიდატებს კომკავშირისას, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა სტუდენტთა კვირეულის ჩატარებაში, გამოცხადდნენ დღეს 7 ნახ. საათზე პროფსაბჭოს დარბაზში.

ორშაბათს, 20 მაისს, დღის სრულ 12 საათზე შესდგება სახ-უნტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა. ბიურო-კოლექტივის წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

თბ სახ უნტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს, დღეს დღის სრულ 11 საათზე გამოცხადდნენ ყოველ მიზეზს გარეშე ქალაქის რაიკომში საკონფლიქტო კომისიაში: გ. სანაძეს, ტ. კვინტაძეს, გრ. კეკელიძეს, დ. ბარამიძეს, მ. ბენდიაშვილს და აბრამოვს.

[illegible]

თუ რა პირი ექნება მოსავალს. თუ მოსავალს კარგი პირი ექნება, ხორცისა და საქონლის მიწოდება შემცირდება, თუ ცუდი — გაიზრდება. ხორცის მოხმარება, გასულ წელთან შედარებით, მოსკოვში გაიზარდა 31 პროცენტით, ხოლო სხვა 14 დიდ ქალაქში — 34 პროცენტით. ხორცის დაგროვებისათვის ამჟამად მიღებული ზომები საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ წლის მეორე ნახევარში ხორცის მიწოდების საქმეში შეფერხებას ადგილი აღარ ექნება. (ადს).

სატრაქტორო სადგურების ქსელის გაფართოება

მოსკოვი, 18 მაისი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შრომისა და თავდაცვის საბჭოს წარუდგინა პროექტი სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ქსელის შექმნის შესახებ მთელ საბჭოთა კავშირში ოდესის ოლქში შევჩენკოს სახელობის საბჭოთა მეურნეობაში დაარსებული სამანქანო - სატრაქტორო სადგურის გამოცდილებამ დადებითი შედეგი გამოიღო და სადგურის მუშაობამ ხელი შეუწყო გლეხური მეურნეობის ნაყოფიერების გადიდებას, და ამ მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნას. ეყრდნობა რა ამას, სახელმწიფო საგეგმო კომისია დროულად სთვლის სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ფართო მშენებლობაზე გადასვლას. ქსელი უნდა მოეწყოს ისეთი ვარაუდით, რომ 1929 —30 წლის დამლევისათვის სადგურებმა დააკმაყოფილონ 2 მილიონი ჰექტარი ნახნავის მოთხოვნილება. მიმდინარე წელს უნდა მოეწყოს ოთხი სადგური 100.000 ჰექტარი ნახნავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. (ადს).

მწერალ პოტაპენკოს გარდაცვალება

ლენინგრადი, 18 მაისი. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მწერალი და დრამატურგი პოტაპენკო. ამ ბოლო დროს პოტაპენკო ლენინგრადის დრამატიულ და მუსიკალურ მწერალთა კავშირის აქტიური მუშაკი იყო (ადს).

ხელოვნების მუშაკთა კავში

მოსკოვი, 18 მაისი. ხელოვნების მუშაკთა კავშირის მე-6 საკავშირო ყრილობამ საკმაოდ აქტიურად არა სცნო კავშირის მონაწილეობა იმ იდეოლოგიურ ბრძოლაში, რომელიც ხელოვნების ფრონტზე სწარმოებს. ყრილობამ, კავშირის ახალ ცეკას დაავალა — დარაზმოს მასები ხელოვნებაში წვრილბურჟუაზიულ გავლენასთან საბრძოლველად. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რომ ხელოვნების მუშაკებმა მჭიდრო კავშირი დაამყარონ ინდუსტრიალურ საწარმოებთან, და მუშათა კლუბებთან. კავშირის ახალ ცეკას შემადგენლობაში არჩეულ იქნა 65 კაცი, სხვათა შორის: ბოიარსკი, ალექსეევი,

რესპუბლი... მცირე თე... კამერული... კინო -... დის დრ... ნის დრამ... ნიური ა... თურქულ... სხვ.

კავშ... ულ იქნ... კავშირი... ჩეულ... ხო მას...

საქ. მწერალთა დელ

(ტელეფონით ჩვენი სპეციალუ

ბაქო, 18 მაისი. დღეს საქართველოს მწერალთა დელეგაციამ აზერბეიჯანის 15 მწერალთან ერთად ინახულა 26 კომუნარის საფლავი. დელეგაციის სახელით საფლავი გვირგვინით შეამკო დელეგაციის თავმჯდომარე **გ. რობაქიძემ.** საფლავზე სიტყვები წარმოსთქვეს აზერბეიჯანის ცნობილმა მწერალმა, თურქული ლიტერატურის კათედრის პროფესორმა **ახვერდიევმა და პაოლო იაშვილმა.** მწერლების სახელით მათ სიტყვა მისცეს ერთმანეთს, რომ კულტურულ ფრონტზე მწერლობა განაგრძობს იმ საქმეს, რომლისთვისაც თავი დასდო 26 კომუნარმა.

შემდეგ დელეგაცია ესტუმრა განათლების სახ. კომისარიატს. განათლების კომისარ ამხ. კულიევთან საუბარში დელეგატები შეეხენ კულტურულ რ...

ვოლ... მონ... ვეჭზ... ზუბ... ლება... ხ... რის მ... კ... წლობა... მეთა... ხელი... როს... ტკბარ... კიკ... მა კ... დების... წაფე... ჰყავდ... წმობ... გაუვ... ში დ... ფის... აფ... კავშ...

სასამართლო

აფერისტების ორგანიზაცია

საბრალდებლო სკამზე ზის 17 ბრალდებული. ჩვიდმეტივე შეთანხმებულად და შეკავშირებულად მოქმედებდა უკანასკნელი წლების განმავლობაში თბილისში. მათი მამამთავარია მუშფაკელი (პარტიის ... კანდიდატი) ალ. კიკნაძე.

...ნაძე მეთაურობდა ყალბი საბუთებელთა ორგანიზაციას, რომელ...ისის სხვადასხვა დაწესებულებ...ოჰქონდა დიდძალი თანხები. კიკ...ში ხელის მოწერის გაკეთებაში ...დახელოვნებული, რომ თვით იმ ...მელსაც საბუთზე ხელი არ ჰქონ...რილი, ათქმევინებდა, რომ ხე...რა უეჭველად ნამდვილია.

...ა საბუთების მკეთებელთა ორგანი...მოქმედება დაიწყო სოციალურ ...ლყოფის სახალხო კომისარიატი...კნაძე გაეცნო კომისარიატში ფუ...დახმარების გაცემის წესს; შეისწავ...გორ აწერდა ხელს კომისარი, გაი...ა ხელი რეზოლიუციების წარწერა...შემდეგ მისდგა უზრუნველყოფის ...ო კომისარიატის სალაროს, საიდა...ა საიდუმლო ორგანიზაციის წევრების ...ებით სისტემატიურად გაჰქონდა თან... გარდა ფულისა, კიკნაძის „შაიკას“ ...არიატიდან გაჰქონდა რკინისგზის ...ო სამგზავრო ლიტერები.

აფერისტების ორგანიზაცია დღითი... ფართოვდებოდა. კიკნაძემ გაიჩინა ...ისა კაცი თბილისის დამზღვევ სალა...ში. ეს იყო შიკრიკი ვასილ ლაცაბიძე; ...რიკმა ლაცაბიძემ კიკნაძეს აცნობა, რომ ...დამზღვევ სალაროს სახელზე ფოსტაში მი...ღებულია 1,200 მანეთი, რომლის გაქრობა არც ისე ძნელიაო. საფოსტო უწყება ხელში ჩაიგდეს აფერისტებმა ლაცაბიძის მეოხებით.

კიკნაძემ მაშინვე გაამზადა მინდობილობა. დამზღვევ სალაროს გამგის და საქმეთა მართველის მაგიერ მინდობილობას ხელი მოაწერა კიკნაძემ. დამზღვევ სალაროს კუთვნილი ფული 1,200 მანეთი ჩაიტკბარუნეს აფერისტებმა.

კიკნაძემ და მისმა განუყრელმა მეგობარმა კაპანაძემ კავშირი დაიჭირეს შვიდწლედების და 9 წლედების უკმაყოფილო მოწაფეებთან, რომელთაც „გადამტირებული“ ჰყავდათ მასწავლებლები და სიმწიფის მოწმობებს არ აძლევდნენ სათანადო კურსის გაუვლელად. შანტაჟისტების გამჭრიახ თავში დაიბადა აზრი — სპეკულიაცია სიმწიფის მოწმობებით.

აფერისტებმა ამ საქმის მოსაგვარებლად კავშირი გააბეს მე-7-ე შრომის სკოლის მასწავლებელთან იოველ ფანჩულიძესთან, რომელიც ამავე დროს საქმის მწარმოებლის მოვალეობასაც ასრულებდა. იოველ ფანჩულიძეც მალე გახდა ამ საიდუმლო ორგანიზაციის წევრი. ამ უკანასკნელის დახმარებით კიკნაძემ მოახერხა შრომის სკოლის ბეჭდის დაკვეთა გრავიორ კაპელის სახელოსნოში.

ბეჭედის შექნის შემდეგ აფერისტებმა თავისი აგენტები გაიჩინეს განათლების სახალხო კომისარიატში. ასეთები იყვნენ კომისარიატის დარაჯები სერგო ტერტეროვი და მარო ზოდუნიძე, რომლებიც სისტემატიურად იპარავდნენ კომისარიატიდან შვიდ და ცხრაწლედების დამთავრების მოწმობების ბლანკებს.

აფერისტები აცხობდნენ „სიმწიფის მოწმობებს“, რომელთა გასავრცელებლად შექმნილი ჰქონდათ მთელი შტატი. ყალბი სიმწიფის მოწმობების გავრცელებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ალ. კიკნაძის მეუღლე ანა. თითო მოწმობა იყიდებოდა 100 — 150 მანეთად და ზოგჯერ მეტად. იძენდნენ მას გამოცდებით უკმაყოფილო მოწაფეები.

საინტერესოა ამ ბნელი ორგანიზაციის ამოჩენის ისტორიაც.

რკინისგზის მუშამ, მეისრე ჩიქობავამ, რომელიც თავის დღეში სკოლაში არ ყოფილა, ჩინებულად ჩააბარა საკონკურსო გამოცდა ოდონტოლოგიურ ინსტიტუტში. ისეთი პირები, რომლებიც მთელი წლობით ემზადებოდნენ, გამოცდაზე ჩაიჭრნენ.

ჩიქობავას გასტუდენტება ისეთი სენსაცია იყო, რომ საგამომძიებლო ორგანო ჩაერია ამბავის ნამდვილი ვითარების გამორკვევის საქმეში.

ჩიქობავა გამოტყდა, რომ გამოცდა მის მაგიერ ჩააბარა სულ სხვა პირმა, რომელსაც უმაღლესი ცოდნა აქვს მიღებული. სიმწიფის მოწმობა კი მას დაუჯდა ასი მანეთი.

ამ ამბავმა ფარდა ახადა აფერისტების ბნელ საქმიანობას და ორგანიზაციის წევრები სათითაოდ შეპყრობილ იქნენ.

გუშინ დაიწყო ბრალდებულთა დაკითხვა. აფერისტების ორგანიზაციის მეთაური ალ. კიკნაძე თავს დამნაშავედ სცნობს, სასამართლოს დაწვრილებით მოუთხრობს, როგორ იჩენს მიმართავდა ყალბი საბუთების და ბეჭდების გასაკეთებლად.

საქმეს არჩევს თბილისის მაზრა - ქალაქის სასამართლო ამხ. კუპრაშვილის თავმჯდომარეობით. პროკურორად გამოდის ამხ. გრიგოლია.

გერ.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე შუშანიკა (შუშუ), შვილები: ცოცო, ჭაპუტა, კატუტა, მერი, კოლია, ამბერკი, ვალოდია, ლევანი, ბიძინა; რძალი ტოტილა; სიძეები: ისაკი ჯიშკარიანი, ვახტანგ ცქიტიშვილი და ზესო ლომაია, დაი ნინო ქიქოძისა შვილით ვალოთი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ვლადიმერ ლევანის-ძე ლოლობერიძე

გამოსვენება 21 მაისს, დღით სამშაბათს 4 საათზე, ბინიდან, კომინტერნის ქ. (ყ. სასახლის) № 6 სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე.

ალექსანდრა მიხეილის ასული ლოლობერიძისა შვილებით: ლიზა, ლიოლია, ლილი, ბაბი და ლევანი იუწყებიან

ვლადიმერ ლევანის-ძე ლოლობერიძის

გარდაცვალებას

სენაკის სამომხმ. საზ-ბის გამგეობა თანამშრომლებით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს სუჯუნის სამომხ. საზ-ბის გამგეობის წევრის ძველი დაუღალავი სანიმუშო მუშაკის.

ამხ. იოსებ ნოდიას

უდროოდ დაკარგვ ის გამო. 1845

სუჯუნის მომხმარებელთა კოოპერატივის „სანიმუშო“-ს გამგეობა აუწყებს საზოგადოებას, რომ 15 მაისს სადგურ სვირში უეცრად გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი—გამგეობის თავმჯდომარე

იოსებ ალექსის ძე ნოდია

დაკრძალვა 19 მაისს სოფ. სუჯუნაში სენ. მაზრა. 1845

სუჯუნის მომხმარებელთა კოოპერატივის „სანიმუშო“-ს თანამშრომლები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 15 მაისს სადგურ სვირში უეცრად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი გამგეობის თავმჯდომარე ძველი კოოპერატორი

იოსებ ალექსის ძე ნოდია

დაკრძალვა 19 მაისს სოფ. სუჯუნაში (სენ. მ.) 1845

ცეკავშირის ინსტრუქტორი რუხაძე და მ. თოდრიძე აუწყებენ საზოგადოებას, რომ 15 მაისს სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს სადგურ სვირში უეცრად გარდაიცვალა ენერგიული მუშაკი ძველი კოოპერატორი სუჯუნის მომხმარებელთა კოოპერატივის თავმჯდომარე

იოსებ ალექსის ძე ნოდია

1845

თავზარდაცემული: მეუღლე სერგო, დედამთილი კატო, მაზლები: პეტრე, ვალიკო. რძლები: ნინა, კატუშა, მული ქეთო, აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ

ვერა ფარნაოზის ასული დუნდუას

გარდაცვალებას დაკრძალვა საჭილაოში 21 მაისს. 1846

დამწუხრებულნი მულები: ოლღა ქაცარავასი, დომნა გიოშვაძისა, იოგანე ქოიავასი და შურა ჯობაძისა ქმარ-შვილით აუწყებენ საზოგადოებას

ვერა ფარნაოზის ასული დუნდუას

უდროვოთ დაკარგვას. 1846

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ალექსანდრე შვილები: გიორგი, ივანე, ვახტანგი დაკოკი, დედა ანეტა, მამა იოსები, ძმაი ვლადიმერი, დები: თამარა და ქეთო აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 16 მაისს ქ. სოხუმში უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მარუსია ელიზბარის ასული გაბუნია-თენეიშვილი.

დაკრძალვა კვირას, 19 მაისს, სოხუმში ნ. 2719

დამწუხრებული დები: მაშიკო და ელენა თენეიშვილები, სიძეები: შალვა ზამთარაძე და ვალოდია ლობჟანიძე შვილებით აუწყებენ ნათესავებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი

მარია (მარუსია) ელიზბარის ასული თენეიშვილისა

დასაფლავება ქ. სოხუმში ა. წ. 19 მაისს.

ვარო და იუსტინე არველაძეები შვილებ თ; ინუცი, ხონა, შუშანა, კლიმენტი, პროკოპი და ვალოდია გელეიშვილები დარეჯანა და ლევენიანე დოლბაიები გლოვობენ სპეტაკ და დაუვიწყარ მეგობრის.

გრიშა ონისიმეს ძე სანიკიძის

უდროოდ დაკარგვას. 1836

გულმოკლულნი დები: თამარა, ოლღა, ელენე, ქეთო. სიძეები: პოლიექტი ჭიხლაძე, ილია ქათამაძე, აბრამ ფარსმანიშვილი და გრიშა გურგენიძე აუწყებენ საზოგადოებას, რომ 19 მაისს 12 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

შალვა მიხეილის ძე კალანდაძის

ხსოვნის აღსანიშნავათ. 1847

კვირას, 19 მაისს დილის 12 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ს დიდომში ტრაგიკულად დაღუპულ

შალვა მიხეილის ძე კალანდაძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ საზოგადოებას მეუღლე მარო და ძმა ვახტანგი 2 2 1809

ღრმად დამწუხრებულნი მამა სარდიონი, დები: ვერა, ლუბა, რძალი მელო, ძმის შვილი ეთერი ანთაძეები და სიძე ნიკოლოზ ქობულაშვილი აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ, რომ გარდაიცვალა საყვარელი

პეტრე სარდიონის ძე ანთაძე

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 5 საათზე ყოფ. არამიანცის საავადმყოფოს პროზექტურაში. გამოსვენება იქიდანვე. დაკრძალვა ორშაბათს, 20 მაისს 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. (შ)

ვერის ახალ-სასაფლაოზე კვირას, 19 მაისს, საღამოს 6 საათზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

პატარა ავთანდილ კავკასიძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებს საზოგადოებას განსვენებულის დედა.

კვირას, 19 მაისს, საღამოს 6 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ვერა ერასტის ასული სანაძე-ედიბერიძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც ნათესავებს და ნაცნობებს აუწყებს დამწუხრებული ოჯახი. 1850

რძალი ფეფო კირვალიძისა აუწყებს საზოგადოებას, რომ 21 მაისს სოფ. მერჯევში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელი

ელენე გიგოს ასული კირვალიძის

ხსოვნის აღსანიშნავად.

საერთაშორისო მ

კვირიდან--კვირამ

ამერიკის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა.— ინგლისი ს... კომპარტიის გავლენის ზრდა საფრანგეთში— ანტისაბჭოთა ა...

საბჭოთა კავშირში ამას წინად მყოფ ...

... წარმოდგენა

... ა მ ს

...ევის

...რგ. ს. შანშიაშვილის

ნ. პელიონკინი

...რექტ. ალ. ახმეტელი

... ნაწილის დირექტ. ალ. ახ...

2—2 ნ.

დასაწყისი სრულ 8 ნახ. საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის და მუშათა ზოლის სალაროებში

საბ. აკ. ოპერის თეატრი

ქუთაის-ბათომის სახელმწ. დრამის თეატრი

კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით გასტროლები თბილისში

კვირას, 19 მაისს — დილით უკ. ნასკნელად დაკლებულ ფასებში **ყვარყვარე თუთაბერი** დასაწყისი 12 ნახევარ საათზე; საღამოთი მე-3 აბონემ. მე-6 წარმ. **კაკალ გულში**

სამშაბათს, 21 მაისს — საბჭ. სავაჭრო ა/კ. მუშაკთა კავშირის უფუშევარ წევრთა სასარგებლოდ უკანასკნელად **კაკალ გულში**

ბილეთები იყიდება დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე. 2—2 ნ. 2715

სახელმწ. ოპერა

დღეს იწყება ბილეთების გაყიდვა **ოპერეტის თეატრის**

5 საგასტროლო წარმოდგენაზე

დასის შემადგენლობაში გარდა წინედ გამოცხადებულებისა შედიან მოსკოვის სახელმწიფო ოპერეტის პრემიერები ზ. ლ. სვეტლანოვი და მ. ი. დნეპროვი

შაბათს, 25 მაისს **მარიცა** | კვირას, 26 მაისს **თეთრი რჩილი** | სამშაბათს, 28 მაისს **სილვა** | ოთხშაბათს, 29 მაისს **ბაიდერკა**

ხუთშაბათს, 30 მაისს **„ЛЮДОВИК ...НАДЦАТЫЙ“**

ყველა ჩამოთვლილ წარმოდგენაზე ბილეთები იყიდება წინასწარ.

დღეს იწყება დარჩენილ აბონემენტების ინდივიდუალური გაყიდვა.

კინო პალასში ზოია ვილევსკაია, მიჩურინი, სემიონოვა სურათში **ნორდ-ოსტი** რეჟისორი საბინსკი

ორშაბათიდან 20 მაისიდან

კინო არფასტოში მხატვრული ფილმი **ვასილინა** რეჟისორი ფ. ლოპატინსკი

მთავარ როლებში: ზ. პიგულოვიჩი, ა. კომენკო, ა. რომანენკო

იყიდება სახლი 6 ოთახიანი

ამჟამად თავისუფალია 2 ოთახი

წითელი მთის (კრასნოგორსკი) შესახვევი № 5 პირობების გაგება პუშკინის ქ. № 4—სარეწაო კოოპერაციის თბილისის ურთიერთ დამხმარე სალაროში

გამგეობა

ჭრა-კერვის გაკვეთილები

ქართულ და რუსულ ენაზე

ბოლგარსკაია

კალინინის ქუჩა, № 83, მოწაფეების ჩაწერა საღამოს 4—7 სთამდე

24—11 64

მხატვრული სურათი

საქ. სახ. კინომრეწველობ. ნაწარმოები

საბა რეჟ. მ. ჭიაურელი ოპ. ა. პოლიკევიჩი

ორშაბათიდან 20 მაისიდან გრძელდება სურ. **საბა**

განთიადში 20 მაისიდან პომერის ცირკი

კინო-რევიუ **მუშის თვალი** 20 მაისიდან ნორდ ოსტი

მხატვრული სურათი **ნორდ-ოსტი** 20 მაისიდან ვასილინა

სრულიად საკავშირო სპარტაკიადა 20 მაისიდან მორალი

ტყის კაცი 21 მაისიდან ეკატერინე მეორეს კაპრიზები

სახელმწიფო კინოთეატრები: განთიადი, სოლეი, აპოლო, მინიონი, კალასი, არფასტო, დარბაზი, პროლეტარი

კვირას, 19 მაისს სოლეიში დღის სეანსი ჩანგ

სახ. სესხის რეალიზაციის დამხმარე კომისიების

საყურადღებოდ

სამშაბათს 21 მაისს საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის წითელ დარბაზში მოწვეულია სახელმწიფო სესხის რეალიზაციის დამხმარე კომისიების საერთო კრება. დამხმარე კომისიების წევრთა დასწრება ამ კრებაზე სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

დღის წესრიგშია:

ა/კ. ფინსახკომის, საქ. ფინსახკომის და სახბანკის ა/კ. საოლქო კანტორის მოხსენებანი ობლიგაციების ხელზე ხანგრძლივად გაჩერების კამპანიის შესახებ.

ნ. 2720 **საქართველოს ფინსახკომი:**

ქ. თბილ. მე-4 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებ. ა. გიორგაძე

აცხადებს, რომ ის 1929 წ. 23 მაისს, დღის 2 საათზე სახლში № 50 მალაკნების ქუჩაზე მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ვართანუშ შახბუდაგოვ-შოუს უძრავ ქონებას— აღნიშნულ ქუჩაზე მდებარე ერთ ოთხსართულიანი სახლის ნახევრის უფლებას ს. მ. უ. ს. თამბაქოს ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოს სასამართლო ბრძანებისა № 8241 —1926 წლის 15 დეკემბრის თარიღით. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ს. ს. ს. კ. 301, 310, 311, 312, 313, 315 და 316 მუხლებში გათვალისწინებული წესების დაცვით. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასებიდან. ნ. 2716

საქართ. სახ. კინო-მრეწველობის ნაწარმოები

საბა

სურათი არაჩვეულებრივ ინტერესს იწვევს!

ორშაბათიდან 20 მაისიდან

გრძელდება სურათის დადგმა

კინო-თეატრებში

აპოლო-სოლეი-მინიონი

გამოვიდა და იყიდება ფიზიკა

მოდესტოვისა II ნაწ. (რხევითი ძრაობანი და ბგერის მოვლენები, სინათლე, ელექტრული და მაგნეტური მოვლენები) შინაარსი ზედმიწევნით შეეფერება უნივერსიტეტში შესასვლელ ახალ პროგრამებს (1929 წ.) ორივე ნაწილი მოიკითხეთ სახელგამის მაღაზიებში. 3—3 1800

მათემატიკის მასწავლებელი

ილია ჯიშკარიანი

ქართულსა და რუსულ ენაზე ამზადებს ახალგაზრდობას ყოველგვარ სასწავლებლებისათვის

კახეთის მოედანი № 10, შემოსავალი ეზოდან 1851

ექიმი

ს. ი. ანდრეევისა

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა

მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ელსმენი—11—78. 25—1

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)

საღამოს 5—7 საათამდე. ძ ო ს კ ო ვ ი ს ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შენახვევი №

მიმდინარე მაისის 20-დან თბილ. სასკოლო

ყინულის ქარხანა

[illegible]

ნ. 2704

მათემატიკის მასწავლებელი

ივ. მაჩაიძე

ამზადებს მათემატიკაში

(არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ.) და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტექნიკ. (ინდუსტ. ქიმ. და რკინისგზ.) მე-8 და მე-9 ჯგ. შესავალი საკონკურსო, გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს.

პლეხანოვის ქ. და ჩერნიშევის ქუჩ კუთხე 25 და № 5. 9—12 ს. 4—6 ს. ქვ. 1294 5—1

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი თეიმურაზ ილიასძე თაქთაქიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1848

დავკარგე: განათლ. მუშ. კავშ. საწევრო წიგნაკი № 34372 ელენე ირაკლის ასული მოსეშვილის სახელზე, ჩ. გ. 1849

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი ეთერა გერასიმეს-ასული დაშნიელის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2717

თმის მკურნალობა

და

სამკურნალო კოსმეტიკა

ექიმ

ნ. გ. კონტოროვიჩისა

ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა

ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება

მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—11

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ა. 25—19.

ექ. დ. ლ. თევზაძე

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოუწესრიგებელი ხმის და მეტყველებისა

აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა

ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა.

ტელ. №25-73 25—6. 1240

თმის მკურნალობა

ვ. ი. დანილევსკაია

[illegible]

საღამოს 5-დან—8-მდე. 25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიქინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ. — მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

დავკარგე: პურის წიგნაკი № 15 პეტრე მანჯგალაძეს სახელზე, ჩ. გ. 1833

დავკარგე: მარტვილის სამხედრო საალრიცხვო ორგანოს მიერ მოცემული პირადი წიგნაკი № 484 კონსტანტინე ივანესძე გალდავას სახელზე, ჩ. გ 1832

ვიპოვე ინდუსტრ. მეორე სეზონის კუპონები გიორგი ყიფიანის სახელზე პატრონი გამოცხადდეს მე 3 შრომის სკოლაში ჟორესის ქ. № 40 გამგესთან 1838

დავკარგე: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი ფორმა № 4 გიორგი ზაქარიასძე მაჩაბლიშვილის სახელზე ჩ. გ. 1840

დაკარგული კავშირის წიგნაკი № 24609 ელიზბარ მომცემლიძეს სახელზე ჩ. გ. 1843

დავკარგე პურის წიგნაკი № 139 კოტე დუჩიძეს სახელზე, ჩ. გ. 184-

დავკარგე: პირადობის მოწმობა, ინვალიდობის მოწმობა და მუშაკოპის წიგნაკი აკაკი თემურაზისძე აჭარავას სახელზე, ჩ. გ. 1839

დავკარგე: ატესტატი № 56 მარგარიტა ინასარიძეს სახელზე ჩ. გ. 1844

ტირაჟი—40,445

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.